ზაზა
დარბაისელი

ეროვნული

თბილისი, „მეცნიერება“ 1985

ავტორი თავისი მოთხრობების ამ პირველ წიგნში მეტწილად ახალგაზრდობის ზნეობრივი ფორმირების პრობლემებს ეხება. მწერალი წარმოაჩენს ახალგაზრდობის შინაგან სამყაროს, მათ შეცდომებსა და მიღწევებს იმ გზაზე, რომლითაც ისინი ავტორს სიკეთისა და მაღალი ზნეობის გამარჯვებისაკენ მიჰყავს.

70303—167
Д ——————— 82—85
М 604(08)—85

© გამომცემლობა „მერანი“

„ი უ ბ ი ლ ე“

სახატავი რვეულები გამოეტანათ. ბავშვისთვის მინდოდა მეყიდა. დიდხანს ვიდექი რიგში. გვიან მივხვდი, რომ ჩეკიც უნდა ამეღო. სალაროსთან ათი კაცი მაინც იდგა... და გადავიფიქრე.

ამ დროს ყველგან ასეთი ამბავია, რა გასაკვირია, პარასკევია, სამუშაო საათები დამთავრდა.

„ოჰ, ნეტავი დღეს ამ საქმეს მოვრჩენილიყავი... ორშაბათამდე ცდა არ გინდა?“.

— რას ბუტბუტებ, ბიჭო, შენთვის, ხომ არ აურიე? — შემანჯღრია მიწისქვეშა გადასასვლელთან ვიღაცამ.

— ააა... — მივესალმე რეზო კალანდარიშვილს.

— როგორა ხარ? თქვენები როგორ არიან... ახალი რა არის?

— ისევ ისე... ძველებურად ვართ...

— ინსტიტუტში? ექსპედიციაში როდის მიდიხართ?

— რა ვიცი, ჯერ არ არის გადაწყვეტილი.

— ჩვენებიდან ხომ არავინ შეგხვედრია?

— არა.

— იცი, ვინ შემხვდა? ნინო ლეჟავა. ოკეანოლოგი... სანაპირო ზოლის გამაგრებაზე მუშაობენ ანაკლიაში. ზღვას კიდევ ოცი სანტიმეტრით წამოუწევია წინ... მაგარი თავსატეხი ამბავია, ჰა, რას იტყვი?

— ჰოო...

— მოგიკითხა.

რეზო ერთხანს შეწუხებული მაკვირდება.

— იყავი კალათბურთზე გუშინ?

— ტელევიზორში ვნახე.

— „ცსკას“ დამარცხება როგორ მოგეწონა? რა ითამაშეს ჩვენებმა!

— მართლაც.

— შენ რა?

— რა იყო?

— მარწუხით უნდა ამოგგლიჯო სიტყვები? — ხელი ჩაიქნია: კარგადო, გადმომიგდო წყალობასავით და წავიდა.

ოპერის თეატრთან ტროლეიბუსში ავედი.

ჩემს ბედზე, ადგილი განთავისუფლდა. ფანჯარასთან მოხერხებულად მოვკალათდი.

„ჩვენი დირექტორი სადღა დაიკარგა დღეს? მასაც ხომ აწუხებს ჩვენი ცეოლიტების ექსპედიციის ამბავი? წავიდა სამინისტროში და აღარ მობრუნებულა. ორშაბათს კი დაიწყებს ჯაჯღანს, უჩემოდ არაფრის გაკეთება არ შეგიძლიათო...“

ტროლეიბუსი აძაგძაგდა. აზრიალდა.

„ესე იგი ასე!“ — დავირტყი ხელი მუხლზე. გვერდით მჯდომმა მანდილოსანმა გაკვირვებით შემომხედა. სახე ფანჯრისკენ მივაბრუნე.

„ორშაბათს ჯერ გეოლოგიურ სამმართველოში წავალ, სანამ ფულს არ გადამირიცხავენ, ფეხს არ მოვიცვლი იქიდან. მერე უკვე სამინისტროსაც მივაკითხავ, მთავარია, სახსრები გვექნეს, იქ უარს ვეღარ გვეტყვიან...“

„... თავს იმშვიდებ, არა?“

სიმწრით ჩამეცინა.

ისევ დავიჭირე მანდილოსნის გაოცებული გამოხედვა.

„ოჰ, ერთი ამ ექსპედიციასაც დაადგეს საშველი...“

ტროლეიბუსი ხალხით გაიჭედა. ძლივს დავიძვრინე თავი და უკვე დაძრული ტრანსპორტიდან ჩამოვხტი ჩემს გაჩერებასთან. თავი ვეღარ შევიმაგრე და ინერციით მოხუც კაცს მივეხალე.

— ბოდიში, ბატონო! — შევწუხდი გულწრფელად.

მოხუცმა ნატკენ მხარზე ხელი მოისვა, ერთხანს მკაცრად მიყურა და მერე ზურგი შემაქცია.

დამნაშავესავით ვიდექი... უცებ მხარმარცხნივ ვიღაცის დაჟინებული მზერა ვიგრძენი.

— მიცანი? — გამიცინა ქალმა.

— ლანა?! — გული პატარა ჩიტივით შემიფრთხიალდა...

— სულ არ გამოცვლილხარ... — მოვიშველიე თავში გაელვებული გაცვეთილი კომპლიმენტი.

— კარგი ერთი, ხუმრობა არ დაგვიწყებია, — გაეცინა.

— ესე იგი, არც მე გამოვცვლილვარ! — გამიხარდა.

— ჰოო?.. — წარბი შეიკრა რატომღაც...

— სხვა, — როგორა ხარ? — სასწრაფოდ შეეცვალე საუბრის თემა.

— არა გვიშავს!

— შენი მეუღლის დაწინაურების ამბავი გაზეთიდან შევიტყვე, მომილოცავს.

ლანას არაფერი უპასუხნია...

— ბავშვები?

გამოცოცხლდა.

— გოგონა მყავს. უკვე რვა წლისაა, მეორე კლასში სწავლობს. შენ?

— მეც გოგონა მყავს. მალე ხუთის გახდება...

მერე ცოტა ხანს დაბნეული ვიდექი. ფეხს მალიმალ ვინაცვლებდი.

მისი ავტობუსი ჩამოდგა.

— ნახვამდის!

— მოიცა... — ავწრიალდი, რაღაცის თქმა მინდოდა...

— ნახვამდის! — გამიმეორა და ავტობუსისკენ გაემართა.

ისევ ის გამომწვევი მიხრა-მოხრა... ოცნებით მივაყოლებდი თვალს მის აშხვართულ ტანს, სანამ კარში არ მიიმალა. მერე გაფაციცებით ვეძებდი უკვე ავტობუსის სალონში... მწყალობელმა ღიმილმა მტრედივით ჩაიფრინა ავტობუსთან ერთად...

. . .

კარი ჩემმა გოგონამ გამიღო.

— მამიკო მოვიდა, მამიკო მოვიდა! — შესძახა გახარებულმა.

დავიხარე და ლოყაზე ვაკოცე. სასტუმრო ოთახში შევარდა.

— ხელები დაიბანე და ისადილე, სადა ხარ აქამდე? — გამომძახა მაიამ სამზარეულოდან. სასტუმრო ოთახიდან დედამ გამოიხედა. კაბის კალთაზე თამრიკო ებღაუჭებოდა.

— გამარჯობა!

— გამარჯობა, გურამ! აი, შენ რომ გიყვარს ის ლექსი თამრიკომ ზეპირად ისწავლა, ხომ, თამრიკო?

ბავშვმა დაიმორცხვა და ბებიას ზურგს ამოეფარა.

— ყოჩაღ!

— ისადილე, გურამ, და ლექსს მერე გეტყვით!

... მაია მაგიდასთან ჩამომიჯდა.

უხმოდ ვხვრეპდი ჩიხირთმას.

— რა არის ახალი ინსტიტუტში? ხელფასი ხომ არ ყოფილა?

— არა, ორშაბათს იქნება.

... მაიამ მეორე კერძი მომიტანა:

— გაზეთები ამოიტანეთ?

— კი. ამ საღამოს სადმე ხომ არ გავსულიყავით? რამდენი ხანია კინოში არ ვყოფილვარ.

— ვნახოთ.

— ხასიათზე არა ხარ?

— ისე, რა...

— აბა?

— რამდენი ხანი გავიდა?..

— კინოში რაც არ ვყოფილვარ?

გონებაში უმალ გამოვიანგარიშე.

— ათი წელი...

— ათი წელი? — ეჰვით შემომხედა მაიამ, — რაო?!

საწერ მაგიდასთან სავარძელში ჩავჯექი. „ლიტერატურული საქართველოს“ კითხვა დავიწყე.

— ახლა კი სცენაზე ვთხოვთ თამრიკო ჭეიშვილს! — გამოაცხადა დედაჩემმა.

გონებაგაფანტულმა მოვიხედე. ჩემმა გოგონამ ნაწნავები უკან გადაიყარა, წელში გაიმართა და დაიწყო.

„ენკი-ბენკი, სიკლი-სა
ენკი-ბენკი-ბა...
დღენი სიყმაწვილისა
გა-ვი-და...“

„გა-ვი-და ათი წელი... ნუთუ ამდენი ხანი გავიდა?“

„... მოდი კვლავინდებურად
დავუაროთ გარს.
არა თქვან, სიშაბუკეც...
გა-ვი-და.“

ცოლმა და დედაჩემმა ტაში დაუკრეს.

ძალისძალად გავიღიმე.

— მე კიდევ ვიცი, მამიკო, ახალი ლექსი, — ატიკტიკდა თამრიკო და ჩემს მუხლებზე შესკუპება მოინდომა.

— ახლა მაცალეთ. გაზეთებს წავიკითხავ და მერე!.. — ცოტა არ იყოს, უხეშად ვთქვი.

— დავასვენოთ მამა, დაღლილია, ალბათ, თამრიკო... — ირონიულად თქვა მაიამ, ბავშვს ხელი მოხვია და ოთახიდან გავიდნენ.

დედამ ფეხი აითრია...

— ... პოხონდრიამ მოგიარა? ცუდი ხასიათი სამსახურში უნდა დაგეტოვებინა! — თითი მუქარით დამიქნია.

განრისხებულმა ის-ის იყო პირი დავაღე და კარიც მოიკეტა.

სიგარეტს მოვუკიდე. სავარძლის საზურგეზე გადავწექი და მზერა ფანჯრისაკენ გამექცა. დღე ნელ-ნელა იწურებოდა. მკრთალ ქარვისფერ ზოლს გაერღვია მთაწმინდაზე წამოშლილი ღრუბლები...

„... დაბადების დღე (ვიღაცის)...

სუსტი, ცისფერი შუქია ოთახში. მაგნიტოფონი უკრავს და წყვილები ცეკვავენ...

პეპინო დე კაპრი... „ტამე... ტამერო-ო...“ იტალიური, ლამაზი, ქალაქის ატაცებული მელოდია...

მე და შენ...

— შეიძლება გაგაცილოთ?

— არა, მეგობრები მაცილებენ...

... უნივერსიტეტის შეხუთე კორპუსის ეზოში სამწყობრო მეცადინეობა გვაქვს სტუდენტებს. ფანჯრებიდან უცხო ენების ფაკულტეტის გოგონები გადმოგვცქერიან. იცინიან.

— ნალეე-ვო!.. ნაპრაა-ვო!..

წუთით შენი თვალებიც გამოჩნდება ფანჯარაში. ამას ველოდი დილიდან... დერეფანში ერთმანეთს დიდი მოწიწებით ვესალმებით: მიხარია, სამხედრო სწავლებაზე ყოველთვის პირგაპარსული რომ უნდა მოვიდე.

— ...გურამ, ხვალ ჩემი დაბადების დღეა... შენ და რეზოს გელოდებით, იცოდე, ხომ მოხვალთ?

— ახლავე დავურეკავ რეზოს! — აღტაცებას ვერ ვმალავ.

შენი მეგობარი ქეთინო კი გულიანად კისკისებს ტელეფონში. ხეირიანად არც კი ვიცნობ, უნივერსიტეტის საახალწლო საღამოზე გაგვაცანი.

... ისევ სუსტი, ცისფერი შუქი ოთახში, მაგნიტოფონი და წყვილები. საოცარია, მეჩვენება თუ ნამდვილად გაჭრილი ვაშლივით ჰგავდა ის საღამოები ერთმანეთს?

მე და შენ... და პეპინო დე კაპრი. „ტამე, ტამერო-ო, — ტამე, ტამეროო“.

— მამიკო, მღერი?

— რაო? — გამოვერკვიე ფიქრიდან. თამრიკოს შემოუყვია კარში თავი.

— თამრიკო, მაცალე ცოტა ხანს, ხომ ხედავ, სიგარეტს ვეწევი. არ შემოხვიდე!

— „დედამისმა შემოაგზავნა ალბათ“, — მინდა ჩემივე თავი გავიმართლო, ბავშვს რომ ასე მკაცრად ვექცევი.

... — შეიძლება გაგაცილო?

და სანატრელი თანხმობის ნიშნად, თავის უხმოდ დაქნევა...

გზაში თოვლი წამოგვეწია და შენს სახლამდე მიგვაცილა.

მერე სულელივით პირღია მოვსრიალებდი თეთრად გადაპენტილ ტროტუარზე და მოწყურებულივით ვყლაპავდი ფანტელებს...

სახლში დედა გაბრაზებული მიღებს კარს...

— სადა ხარ, ბიჭო, აქამდე?

ტელეფონის ხმა ისმის.

— სადა ხარ, ბიჭო? — შენი გაკვირვებული კითხვა.

...პირველი კოცნა... კიროვის ბაღში ოფოფის სავარცხელივით აშლილი ნაძვის ძირას...

გაცდენილი ლექციები...

ცარიელი აუდიტორიები...

მეგობრების გაოცებული კითხვა: — „სად დაიკარგე, ბიჭო?“...

და... ეს იყო და ეს...

ვცდილობ გავიხსენო... ვერ ვიხსენებ... რატომ? რისთვის?

რა მოხდა?

„სად დაიკარგე, ბიჭო“?

მაშინ პირველად „დავიკარგე“ სამი დღით. ესე იგი, არც დამირეკავს, არც შეგხვედრივარ.

— სად იკარგები, ბიჭო?..

უკვე ერთი კვირით „დავიკარგე“.

... იმ პირველი კოცნიდანვე ვატყობდი, როგორ იფერფლებოდა ჩემი გატაცება.

ვიტანჯებოდი, როცა შენს სითბოზე ყალბი გრძნობით უნდა მეპასუხნა.

ბოროტი არასოდეს ვყოფილვარ... პირიქით, რაც შემეძლო, ვცდილობდი, რომ გული არ ამცრუებოდა შენზე. „დამეჭირა“, „დამება“ ის... რასაც შენდამი თავიდან ვგრძნობდი... მაგრამ არაფერი გამომდიოდა.

და კვლავ...

...სად დაიკარგე, გურამ... არა გრცხვენია, სულ მე უნდა გიხეკო?

შენს წინაშე დიდი დანაშაული მიმიძღოდა... ჩემი თავი თვითონვე მეზიზღებოდა და მინდოდა შენც შეგძულებოდი.

უბადრუკი მიზეზები:

„ყველას უნდა აკოცო, ვისაც შეხვდები?“

შენ არც ერთ ნაცნობს აღარ კოცნიდი შეხვედრისას.

„რამდენ სიგარეტს ეწევი დღეში, ქალბატონო?“

სიგარეტს თავი დაანებე. ყოველ შემთხვევაში, ჩემთან აღარ მოგიწევია. უკვე გრძნობ ჩემს სიცივეს.

„რა არის ასეთი მოკლე კაბა? ლერწამივით რატომ იხრები სიარულისას?.. სულ ასეთი გამომწვევი გინდა იყო?“.

მოთმინებით იტან ჩემს უხეშობას...

„გუშინ ვის „ფიატში“ იჯექი?“

(აი, ყველაზე ხელსაყრელი „მიზეზი“).

— ჩემი ძმის მეგობარია, გიზო სიხარულიძე. ეს უკვე მეორედაა, რომ მაკითხავს უნივერსიტეტში! — ნიშნის მოგებით მეუბნები. ალბათ მოგწყინდა ჩემი გაუთავებელი ბუზღუნი.

— მანქანამ გაგაგიჟა?

ჩემი მწარე სიტყვები უპასუხოდ რჩება.

— ბილეთები მაქვს მარინო მარინის კონცერტზე, წამოხვალ? — ამას ისე თბილად მეუბნები, რომ გული მილღვება.

— რა თქმა უნდა.

— როდის შევხვდეთ?

— სპორტის სასახლესთან, შვიდ საათზე.

— კარგი.

და მე არ მოვსულვარ... შენც უკვე თავმოყვარეობამ შეგაწუხა... ხანდახან უნივერსიტეტში თუ მოვკრავთ ერთმანეთს თვალს.

„როგორა ხარ?“ მეკითხები გაბუტული თვალებით.

„არა მიშავს. სადა ხარ, როგორ დაიკარგე, ასე უნდა?“

თავი მეზიზღება, ახლა ჩემს სიყალბეს რომ ვიხსენებ...

„დაგირეკავ ამ დღეებში“, — და ხელს ხელზე მაგრად გიჭერ, ვითომ ძველი არ დამივიწყებია.

რისი დარეკვა... როგორ მოგარიდო თვალი, სად დაგემალო, იმას ვცდილობ. სინდისი კი მქენჯნის, მქენჯნის...

... თქვენი „გაპარვის“ ამბავი რომ გავიგე — გულიდან თითქოს დიდი სიმძიმე ჩამომეხსნა და მაინც, მეწყინა კიდეც, რატომღაც.

— ბიჭო, ამბობენ ლანა კი არ გაიპარა, მოიტაცა იმ გიზომო... — მითხრა რეზომ.

თავი იჭვნეულად გადავაქნიე.

— მაგრამ, არა მგონია. ძმაო, ჯერ ერთი, რას უჯდებოდა მანქანაში? მარტონი ყოფილან. თანაც, გურიაში, ამ სიშორეზე რამ წაიყვანა, ძალით რომ გაეტაცნა, რა, მახარაძემდე ჩაიყვანდა? კაცი საქესთან იყო. მართალი ყოფილხარ, მაგის იმედი რომ არ გქონდა.

რეზომ რომ მკითხა, რა მოხდა შენსა და ლანას შორისო, ვიცრუე. იმედი არა მაქვს, რომ ნამდვილად ვუყვარვარ-მეთქი.

დიდად არ მეპიტნავა ჩემი „სიმართლე“ ახლა.

რამდენჯერმე ვიღაც უცნობმა „მეგობარმა“ გოგონამ დამირეკა, ჩემი ჯანმრთელობის მდგომარეობას „შეეწუხებინა“ ლანას გაპარვის შემდეგ.

და ის საღამო...

„გისმენთ!“

გულმა რეჩხი მიყო.

„გურამ, არ შემიძლია... — სლუკუნებ ტელეფონში. — ახლავე, ფეხს დავკრავ და შენკენ გამოვიქცევი... იცოდე, თავს მოვიკლავ... შენთან მინდა... ხომ ვიცი, რომ გიყვარვარ...“

ელდა მეცა. ყურმილი კინაღამ ხელიდან გამივარდა. რა უნდა მეთქვა... მეორე დღეს ხელს აწერდით, ქორწილი გქონდათ. წარმოვიდგინე, რა შეიძლებოდა ამას მოჰყოლოდა...

„არ მიყვარხარ! — ვთქვი ცივად და მტკიცედ სიმართლე, — ეს მხოლოდ გატაცება იყო, გაიგე, გატაცება!“ — ახლა კი ნამდვილად უნდა დაგეჯერებინა.

სლუკუნი შეწყდა.

ყურმილი დავდე.

ერეკანტიკუნტი მითქმა-მოთქმაც შეწყდა და, როგორც ყველაფერი საერთოდ, ეს ამბავიც დავიწყებას მიეცა...

ერთხანს ბოლთას ვცემდი ოთახში, მერე სამზარეულოში გავედი.
— გვეშველა! — გამოაცხადა ჩემს დანახვაზე მაიამ.
დედაჩემი ბავშვს ჩაის ასმევს.
— გაგიარა პოხონდრიამ?
— კი! — ვუქნევ თავს სერიოზულად.
ბავშვმა გაიცინა.
წინკარში გავედი და ლაბადა ჩავიცვი.
— წავედი მე... მალე მოვალ! — და კარი მოვიჯახუნე.
„როგორ დაუმუავდება სახე მაიას!..“

ერთხანს ჩაფიქრებული მივხეტიალობდი.
ბოლოს გადავწყვიტე და ორკაპიკიანი ჩავუშვი ტელეფონ-ავტომატში. ნომერიც რომ არ დამვიწყებია!
— მიცანი?
— გიცანი.
— რატომღაც მეგონა, რომ შინ იქნებოდი.
— ჰო, გიზო მივლინებაშია, და...
— როგორ ხარ? — ხმას ვერ ვიმორჩილებ, ვღელავ.
.
— ლანა, ერთი თხოვნა მაქვს.
— გისმენ, გურამ.
„გურამ... გურამ... გურამ...“
— არ შეგიძლია, ხუთი წუთით შემხვდე?
— არა!
— სულ ხუთი წუთით, თუ გინდა შენს სახლთან მოვალ.
— მე არაფერიც არ მინდა!

— ერთი წუთითაც არ შეგიძლია?
— არა, გურამ.
— ასე?
— როგორ, თუ ასე?
— კარგი მაშინ, მშვიდობით!
— მშვიდობით!
ყურმილი არ დაკიდოს, მეშინია და ისევ ვეხვეწები:
— რა მოხდება, სულ ერთი წუთით, ძალიან გთხოვ.
— ბავშვები ხომ აღარა ვართ, გურამ...

„ბავშვები ხომ აღარა ვართ... ბავშვები ხომ აღარა ვართ, ბავშვები ხომ აღარა ვართ...“

— სულ ერთი წუთით, ძალიან გთხოვ, გესმის?

— რა დროს ეს არის?

— მაშინ... უბრალოდ, ფანჯარაში გამოიხედე და მე გ მოვიევლი, შეგხედო მინდა, მეტი არაფერი.

— ესეც დიდი ამბავია? უბრალოდ ფანჯარაში გამოიხედე... ძალიან გთხოვ...

— კარგი!

— ხუთ წუთში მანდა ვარ.

ძალზე ნაცნობი, ახლობელი ქუჩა ყოფილა ჩემთვის. ლამპიონები არ ანთია. ბნელა. ასევე ბნელოდა მაშინ პირველად... უნივერსიტეტში საახალწლო ნაძვის ხის კარნავალიდან ახალგაცნობილი ლანა რომ გამოვაცილეთ მე და რეზომ. მერე მისი ფანჯრების წინ დავდიოდით და ვმღეროდით:

„ახ, ტურფავ, ტურფავ... ნუთუ ვერა გრძნობ... გადარეული და-ვი-ა-რე-ბი“.

ძმამ გამოიხედა. ვინა ხართო, ბრაზით შემოგვძახა.

ჩუმად გავიძურწეთ.

პირველ სართულზე შუქი არ გინთია.

და მაინც შორიდანვე, გარკვევით ვარჩევ ლანდს ღია ფანჯარაში. შორიდანვე მხედველობას ვძაბავ. სიბნელეში მიჭირს სახის დანახვა, — მერე თვალი ეჩვევა სიბნელეს...

— გამარჯობა!

— გამარჯობა!

— გმადლობთ, რომ გამოიხედე, ლანა... — ლანა ეტყობა, — ყოყმანობს, ვერ გადაუწყვეტია, მიპასუხოს თუ არა. — მას შემდეგ, რაც გაჩერებაზე გნახე... შენზე ვფიქრობდი...

— კინაღამ გავგიჟდი, თურმე ათი წელი გასულა... როგორ გაირბინეს წლებმა?!...

ბოლოს მაინც გატყდა.

— აბა, — მასაც უკვირს, — თურმე, ათი წელი გასულა თვალისდახამხამებაში.

— ჰო!

— ერთად რომ ვყოფილიყავით, რა ტანჯვა-წვალებით, კუს ნაბიჯით გავიდოდა ეს წლები! არა, გურამ?

— ესე იგი? — უცებ ვერ მივხვდი.

ლანამ ჩაიცინა.

— ესე იგი, მეც დიდ მადლობას გიხდი... გახსენებისათვის!

— სხვანაირად არც შეიძლებოდა. ყველაფერი ხომ რაღაც კანონებით ხდება. ათი წლისთავის დღეა დღეს — იუბილე გვაქვს. ამიტომაც ვერ ავცდით ერთმანეთს.

იცინის...

მეც ვიცინი...

— მშვიდობით...

— მომავალ იუბილემდე! — იხტიბარს არ ვიტეხ მე.

თავისუფლად ამოვისუნთქე.

ქუჩაში თავქვე დავეშვი.

ვიღაც კაცი მოემართება ჩემს შესახვედრად, მგონი, — ნაცნობი უნდა იყოს.

— ოჰ, გაუმარჯოს თენგიზს! — თენგიზიც გეოლოგია, მხოლოდ სამშენებლო მასალათა სამმართველოში მუშაობს. შარშან ერთობლივ ექსპედიციაში ვიყავით.

— ააა... — მესალმება თენგიზი.

—. რას შვრები, როგორა ხარ?

— ისე, რა...

— ტელეფონი რომ მაქვს, იმიტომ არ მირეკავ?.. ვიცინი. თენგიზი უხერხულად იშმუშნება.

— ახალი რა არის, ცოლი არ მოგიყვანია? რას აპირებ?

— რა ვიცი, აბა?

— ველზე როდის გადიხართ... ე, ბიჭო, გვიანდება... ზაფხული მოგვადგა კარს...

— ჯერ, ხომ იცი, ვჩალიჩობთ...

— ძველებიდან ხომ არავინ შეგხვედრია, ზურა, ლალი, თორნიკე ისევ ჯგუფში გყავს, თუ?

— კი,

— არ შეეხვდეთ ერთმანეთს, მომენატრეთ თქვე კაი ხალხო...

თენგიზი შეწუხებული მიყურებს.

— უყურე გუშინ კალათბურთს? რა კარგად თამაშობდნენ ჩვენი ბიჭები, არა? „ცსკას“ თუ დაამარცხებდნენ, გეგონა?

— რა იყო, შე კაცო, ავად ხომ არა ხარ?

— რას მატყობ?

— აბა სიტყვა ვერ ამოგათქმევინე. ხასიათზე არა ხარ? კარგად...

.

— მაიააა! — გახარებული შევრბივარ სახლში.

— ჩუ... დედა ბავშვს აძინებს!.. — გაბუტული, საყვარელი თვალებით მიყურებს მაია. — სად იყავი, გიჟივით რომ გავარდი?

— საღამოს „თბილისი“ მინდოდა მეყიდა, — გადავდივარ ჩურჩულზე და ვეუბნები ჯერ კიდევ გზაში მოფიქრებულ მიზეზს. კინოში წავიდეთ, „რუსთაველში“ ახალი ქართული ფილმი გადის, „მიმინო“.

— გაზეთს ეპვის თვალით დაჰყურებს და ნელ-ნელა სახე ეხსნება.

— ლევან ნიკოლაევიჩმა დაგირეკა, მაგის ექსპედიციის საქმე გავაკეთეო, ძალიან წუხდა და ახარეთ ეს ამბავიო.

— კარგია! — თითქმის ვყვირი მე და მერე მახსენდება, ბავშვი რომ იძინებს. სასწრაფოდ პირზე ხელს ვიფარებ.

მაია თავს შეწუხებული ღიმილით აქნევს აქეთ-იქით.

— რა აწეწილი კაცი ხარ, გურამ!

— რას იზამ, ძალიანაც მინდა დალაგებული ვიყო, მაგრამ...

ქუჩაში მაია მხარზე მეკვრის და საყვედურით ჩუმად მაპარებს: — დიდი ხნით მიდიხარ ექსპედიციაში?.. ხომ აღმოაჩინეთ ეს ცეოლიტები, მეტი რაღა გინდათ?

— მეტი გვინდა, მაია, მეე-ტიი!..

გ ა ტ ა ც ე ბ ა

შუადღეა...

აგვისტოს პაპანაქებას გაუთანგავს სოფელი.

ჰაერში თითქოს შედედებული სიცხე დაბორიალებს და სხეულში ძნელად გადასაყლაპ ლუკმასავით ჩადის...

სოფლის ცენტრში უზარმაზარი მუხის ჩრდილს შეფარებიან ავტობუსის მომლოდინე მგზავრები და უინტერესოდ, სიცხისაგან ილაჯგაწყვეტილნი თითო-ოროლა სიტყვას თუ გადაუგდებენ ერთმანეთს.

ცოტა მოშორებით, გზის გასწვრივ ჩამორიგებულან კოლმეურნეობის, სკოლის, კლუბის შენობები... პირდაპირ საავადმყოფოა.

ასიოდე მეტრს იქით ხიდის თეთრი მოაჯირი მოჩანს. აქ ანკარა ხობისწყალი მოედინება... ხიდის ქვეშ კარგი საბანაოა, მთიდან სამოოთხი კილომეტრი სულ რაგრაგით მსრბოლი ჩხერიმელა აქ ჩამოიკაკებს და, თითქოს შეისვენაო, უკვე მდორედ, დაწანცულივით მიედინება.

ორივე ნაპირიც კარგა ფართოდ შეუსილავს მდინარეს. ჰოდა, მეტი რაღა უნდათ სოფლის ბიჭებს. პატარებს და მოზრდილებსაც აქ მოუყრიათ თავი. ჭყუმპალაობენ წყალში და ნაპირზე აღარ გამოდიან.

მუხასთან კი ისევ სიჩუმეა. ავტობუსი აგვიანებს. ერთი ჩოფურა, ლოყებაფორაჯებული კაცი უკვე ნერვიულობს, ბოლთას სცემს და თავისთვის რაღაცას იქადნება. მერე შედგება, ყურს მიაპყრობს იქით, საიდანაც ავტობუსი უნდა გამოჩნდეს, მაგრამ სანუგეშო არაფერი ესმის და უკვე ხმამაღლა აცხადებს: — არა, ბატონო, ასე საბამ უნდა გაგრძელდეს? — მერე თითს მუქარით აქნევს: — მე, მაგას ვუჩვენებ სეირს! — ამბობს, გამწყრალ თვალს თანასოფლელებს მიმოავლებს და რატომღაც ღიღინს იწყებს.

სხვები ეჭვის თვალით შესცქერიან. ალბათ ფიქრობენ, ავტობუსი რომ მოვა, კრინტსაც არ დაძრავს და მანქანაში ასვლასაც ყველას დაგვასწრებსო...

მგზავრებს შავებში ჩაცმული ორი ქალი შემოუერთდა. კარგა მოზრდილი ტომარაც მოათრიეს. ერთ-ერთმა, რომელიც უფრო ახალგაზრდა ჩანდა, სრულიად მოურიდებლად და უბოდიშოდ იქვე დაიწყო წინდების სწორება. ორ-სამ მამაკაცს თვალი მისკენ გაექცა.

... უცებ, ხიდის მხრიდან მანქანის საყვირის გაბმული ხმა მოისმა. მგზავრები შეჩოჩქოლდნენ, შეიქნა მიწევ-მოწევა. ქალებმა ტომარას სტაცეს ხელი, ორმა კაცმა თითქოს მიშველიებაც დააპირა, მაგრამ მერე გადაიფიქრეს და უბრალოდ ადგილი მოინაცვლეს.

მანქანის საყვირი კი არ ჩუმდებოდა, დასაკლავი გოჭივით ჭყვიროდა.

— რას აყვირებს თუ იცი?!.. — გაბრაზდა ისევ ჩოფურა, კისრიდან ცხვირსახოცი მოიგლიჯა და გაწურა.

— ფუჰ, ფუჰ!.. — დაიჭყანა, საიდანღაც შეუმჩნევლად შემომატებული სოფლის ინტელიგენტი, რომელსაც ამ გაგანია სიცხეში ყელამდე შეკრულ პერანგს შავი ჰალსტუხი უმშვენებდა.

მგზავრების გასაკვირად, მანქანა ავტობუსი არ აღმოჩნდა. „კოლხოზნიკი“ სოფლის ცენტრში შემოვარდა და საავადმყოფოს წინ ღრჭიალით დაამუხრუჭა.

მანქანის ხმაურზე დაფეთებული ძაღლები აყეფდნენ, აკრიახდნენ ქათმები, აქოთქოთდნენ ინდაურები...

მანქანის ორივე კარი ერთდროულად გაიღო. პირველად მძღოლი — მაღალი, ქერა, გაფითრებული ბიჭი გადმოხტა და ასფალტზე საშინელი ღრიალით დაემხო.

ხალხი ჯერ კიდევ ვერ მიმხვდარიყო ვერაფერს...

უცებ ქალის კივილმა იქაურობა შეძრა...

მანქანას წინიდან შემოუარა და მუხის ძირას გაშეშებული ადამიანებისაკენ წამოვიდა ტრუსების ამარა, სულ მთლად გასისხლიანებული ბიჭი. საცოდავად მოფარფატებდა და უაზროდ აცეცებდა თვალებს. მარჯვენა ხელის ადგილას ხორცის ნაფლეთები ეკიდა.

მერე შედგა... თვალები ხალხს მიაშტერა... და ნელ-ნელა ჩაიკეცა...

— ბექარ, ბექარ! — ეს რა დაგმართნია, ბიჭო! — პირველი გამოერკვა ჩოფურა, საზარელი ხმით აყვირდა, ბიჭისაკენ გაქანდა... ხელში ბავშვივით აიტაცა და საავადმყოფოსკენ წაიღო...

... სულ კივილ-კივილით გამოირბინა სოფლის ორღობე ბექარის ბებიამ და როცა საავადმყოფოსთან მიიჭრა, მის კივილს ბარე ხუთმა-ექვსმა ქალმა აუბა ხმა.

... — მზე უკვე ქვემოთ, ჭალის პირს ამწვანებული ცაცხვების კენწეროებს ჩამოეკონწიალა... სოფელში ოცინდალეს მთის ნიავმა ჩამოინავარდა და ჰაერი აკვანივით დაარწია. საავადმყოფოსთან სოფლელები შეგროვილიყვნენ და ჩურჩულით ლაპარაკობდნენ. ყველას შეწუხებული სახე ჰქონდა.

ავტობუსი უკვე რაიონული ცენტრიდან მობრუნდა.

ბევრი მგზავრი არ ჩამოუყვანია, ათიოდე კაცი თუ იქნებოდა. ყველამ უცებ საავადმყოფოსკენ ქნა პირი.

— რა იყო, რა მოხდა?

— რაიონში გავიგე, ბექარს ხელი მოწყვეტიაო, — შეერია საავადმყოფოს ღობესთან შეჯგუფულ ახალგაზრდებს მაღალ-მაღალი, ხმელი ბიჭი.

— გუშინ ჩამოვიდა ბექარი ბებიამისთან თბილისიდან და... ხომ იცი, მაგისი ამბავი, ანკესს დაავლო ხელი. ხობისწყალზე წასულა ნაშუადღევს, ერთი თევზი რა არის, წამლად ისიც კი ვერ დაუჭერია.

— ისე, მაგას სულ თევზები ახსოვს... მერე?

— ჰოდა, საღამოს კინოში მოვიდა. მე და მურმანი ერთად ვისხედით. დაგვიწყო აქეთურ-იქითური. ბოლოს მაინც თევზაობაზე ჩამოგვიგდო სიტყვა. ექვსი კაფსული მაქვს, მდინარის სათავისკენ წავიდეთო. მე აღ მეცალა დღეს, მექის ვაზის შეწამვლაში ვეხმარებოდი. მურმანი დაითანხმა. დილას თავმჯდომარე წაიყვანა ზუგდიდში, დათხოვია მერე და ბექართან ერთად წასულა სათავისკენ.

— ამონალი ვინ მისცათ?

— გახუს მიუცია, ცინდელიანს.

— გახუ არ ვიცი და... მურმანს ვუჩვენებ სეირს, მერამდენედ აკეთებს ამას. ხომ გახსოვს, დინამიტით თევზაობის გულისთვის კრებაზე სულ ბდღვირი რომ ავადინეთ! — ცოტა სიამაყე შეეპარა ახალმოსულს ხმაში, — ახლა დამაცადოს! — დაიქადნა ბოლოს.

— შენი კრება კი არადა... მწარედ ჩაიცინა ამბის მომყოლმა, — მილიცია ჩამოვიდა რაიონიდან, ახლა იქა ჰყავთ, აბა, ჩემო ვახო!

ბიჭები ერთხანს ჩუმად იდგნენ.

— როგორ გავარდნია? — იკითხა ისევ ვახომ.

— მოკლე პატრუქი გაუკეთებია, გვადის ხიდთან რომ მორევია, იქ უნდოდათ სროლა. კიდევ კარგი, ხელის მოქნევა მოუსწრია, თორემ თავსაც წააცლიდა.

— ეჰ! — ამოიოხრა თოხის ტარზე დაყრდნობილმა, აქამდე ჩუმად მდგარმა ბიჭმა. — საწყალი, არ გადაყვა ამ თევზებს? კოსტა ქირურგმა სულ ძირში მოხერხა მკლავი...

— მურმანის მამა იყო აქ, შენ გეძებდა, მილიციას კომკავშირის კომიტეტის დახასიათება უთხოვია.

ახალმოსულმა ხელი ჩაიქნია და საავადმყოფოს შესასვლელისაკენ გაემართა.

— კაი მოგეცა, კაი დახასიათებას მისცემს მაგი!.. — ბოროტად გამოსცრა კბილებში თოხის ტარზე ჩამოყრდნობილმა.

ბიჭებმა მოწყენილი მზერა გააყოლეს კომკავშირის კომიტეტის მდივანს.

— ბექარ...

— გისმენ, ქეთინო...

— ესე იგი, მაინც მიდიხარ ამ საღამოს?

— ჰო, ქეთინო, უნდა წავიდე, ძალიან მომენატრა სოფელი.

— მერე, მე?

— შენ? შენც ხომ ვერ წაგიყვან?

— არა, მაგიტომ კი არ მითქვამს... რატომღაც მგონია, რომ ველარ გნახავ.

— კარგი, რა ქეთი... არ გამაცინო, რაებს მეუბნები! სასიკვდილო ჯერ არაფერი მჭირს...

— ნუ დამცინი, რა, ბექარ. მართლაც ცუდი წინათგრძნობა მაქვს, — აქეთ ჩემი ძმის მისაღები გამოცდები, იქით შენი გამგზავრება... ღმერთო, რა ცუდი სიზმარი ვნახე წუხელ!

— პა-პა-პა...

— უსინდისო!..

— დიდი მადლობა!

— გაგაცილო?

— აბა რა!

— რომელ საათზე გადის ზუგდიდის მატარებელი?

— ათზე...

ვერ მოახერხა ბექარის გაცილება ქეთინომ, მთელი საღამო წვიმდა თბილისში გადაუღებლად.

ბექარი მარტო წევს პალატაში. ფანჯრებს ღამის სიბნელე მოსწოლია. ხანდახან ღრუბლებში გამოკრთება მთვარე და მკაფიოდ გამოიკვეთება მუხის ტოტები. ნიავი უბერავს და აშარიშურებს ფოთლებს.

ბექარი თვალებს ხუჭავს, იშმუშნება.

— რა იყო შვილო?

ბექარს ბებიამისის ხმა თითქოს შორიდან ესმის.

— დავიღუპე, ბებო?..

— არა, გენაცვალე, პირიქით... გადარჩი. — მოხუცი ქვითინს ვეღარ იკავებს და შვილიშვილის ფეხებთან საბანში რგავს თავს.

საბილიარდოში ხალხმრავლობაა. ბექარს ყველაზე ძლიერმა მოთამაშემ — გივიმ შესთავაზა პარტია. ბექარს თავის სიცოცხლეში არ უთამაშნია ალბათ ასე კარგად, მაგრამ არც გივი უდებს ტოლს. ორივეს თამაშს მთელი საბილიარდო შესცქერის. აი, ორი ბურთულაღა დარჩა მაგიდაზე. ვინც ერთს ჩააგდებს, მოგებულია.

გივი ურტყამს და ბურთულა ლუზაში ეჩხირება. მხოლოდ წაკარებაა საჭირო და თამაში მოგებულია... მაგრამ ეს რა არის? ბექარი მარჯვენას ვერ იმორჩილებს, წვალობს, კიას ხელშიც ვერ იღებს. მარცხენითაც ცდილობს, მაგრამ, არა... არაფერი გამოდის, მარცხენაც გაშეშებია. უკვე კბილებით ცდილობს, კია აიღოს, ვერ იღებს. მაგიდაზე გადაემხო, განწირული, გაფართოებული თვალები საცაა ბუდიდან ამოუვარდება... ბურთულა გაჩხერილი რჩება ლუზაში...

გივი უცნაური ხმით ხარხარებს.

უკანასკნელ ძალას იკრებს ბიჭი, იქნებ... მაგრამ თავს ზემოთ ძალა არ არის...

ბექარი საწოლში ბორგავს. რაღაცას ყვირის, ვიღაცას ემუქრება. ორი ექთანი ფეხებსა და მხრებში ჩაფრენია და აკავებენ, ექიმმა რაღაც სითხე შეუშხაპუნა. ნელ-ნელა იძირება ბიჭის გონება სიცარიელეში...

წყალში ყურყუმელაობს.

სისხლისფრად დაწინწკლული კალმახები ლაღად სრიალებენ მის გვერდით, თითქოს ბექარს ეჯიბრებიან სიმკვირცხლეში. ამ დროს წყლის სიღრმეში დინამიტი ეშვება შიშინით და ნაპერწკლებს ყრის. კალმახებმა არ იციან, რა საშინელებაა ეს... პირიქით, ცნობისმოყვარე თევზები გარს ეხვევიან დინამიტს, ბექარმა კი იცის, რაც შეიძლება დინამიტის აფეთქებას მოჰყვეს. პირს აღებს, უნდა კალმახები დააფრთხოს, დაიყვიროს, მაგრამ პირი წყლით ევსება და ხმის მაგივრად რაღაც ბუყბუყი ამოსდის. მაშინ ხელებით ერეკება აქეთ-იქით თევზებს, ისინი მაინც ცელქობენ... უცებ დინამიტი აფეთქდება...

ბურუსი იფანტება. კალმახები აღარ ჩანან. ცარცით გაუთეთრე-

ბიათ ირგვლივ თითქოს ყველაფერი. ამ სითეთრეს ფხრეწს და მისკენ მიიწევს რაღაც უზარმაზარი, ნახშირივით შავი... თევზის ფორმა აქვს, არა, უფრო ურჩხულის, აი, ისეთის, ზღაპრებიდან რომ ახსოვს. ურჩხული პირს აღებს და...

— ააა! — არაადამიანური ხმით ღრიალებს ბექარი და თვალებს აჭყეტს.

გათენებულა...

მისთვის ფეხები შეუბორკავთ და საწოლზე დაუკრავთ.

— თევზაობა და ბილიარდი, აი, ჩემი უსაყვარლესი გასართობი, უამისოდ ძალზე მოსაწყენი იქნებოდა ჩემი ცხოვრება.

— კი, მაგრამ, სულ თევზებზე რომ ლაპარაკობ, ჭამით ხომ მაინც არ ჭამ? ვერაფერი გამიგია...

— ქეთი, იცი რა? უბრალოდ, თევზაობა მონადირული ჟინია. ბილიარდი — სპორტული... ორივეს დიდი ნებისყოფა სჭირდება. თევზს რომ დავიჭერ, ხელში რომ ამისხმარტალდება... ან შორიდან ბურთულას მარჯვედ რომ ჩავაგდებ ლუზაში, თითქოს სიცოცხლის წლები მემატება.

— შენს საკონკურსო ქანდაკებას როდის ამთავრებ?

— აი, სახელოსნოს მოვაწესრიგებ და... მთავარია, შთაგონება მოვიდეს. ჩემი ხელების იმედი მაქვს.

— მეც მაქვს შენი იმედი... — თმობს ქეთინო პოზიციებს. მას არც ბექარის დაჭერილი კალმახი უნახავს და არც ლუზაში ჩაგდებული ბურთულა. ახალგაზრდა შემოქმედთა გამოფენაზე კი ბექარის ქანდაკებებით მოჯადოებული დარჩა...

— შინმოუსვლელთა ძეგლს ამთავრებდა ელენეს შვილიშვილი, თურმე ჩვენი სოფლის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს უთხოვია, — ჩურჩულებენ ერთმანეთში საავადმყოფოს ექთნები.

— უსასყიდლოდ გვიკეთებდა, თუ?..

— კითხულობს პირველი.

— უსასყიდლოდ. ბაბუამისიც ომში არ დაიღუპა, შე ქალო?! — უდასტურებს მეორე.

— მაშინ კი...

— საწყალი ბიჭი. რა უნდა აკეთოს ახლა მაგან ცალი ხელით?

— რატომ, ხელოვნურ პროთეზს ხომ გაუკეთებენ? — გულუბრყვილოდ კითხულობს მესამე ექთანი.

— სულელია ეს უპატრონო: ხის ხელით რა უნდა აკეთო?! — დამამცირებლად უხსნის პირველი ექთანი, — წადი, საქმეს მიხედე.

ორნი რჩებიან.

— ნეტა დედ-მამამ თუ გაიგო თბილისში?

— შეატყობინებდნენ!

— საცოდავები...

— აბა... ეს ერთი ბიჭი ჰყავთ.

— რას შვრება ახლა, გამოვიდა მდგომარეობიდან?

— კოსტამ ახლახან შეუხვია ჭრილობა. მორფი გავუკეთე. სძინავს ალბათ...

— ახსენით მაინც?

— კი!

გახუ ცინდელიანს ჩაუქინდრავს თავი ბექარის საწოლთან და ნაწყვეტ-ნაწყვეტად ლუღლუღებს.

— ჩემი ბრალია. მე საცოდავს მინდოდა, წამოგყოლოდი. იმისთანა სათევზაო ადგილები ვიცი ხობის წყალში, რომ... რად გვინდოდა დინამიტი?!. რა ვქნა, რა პასუხი გავცე თქვენებს?..

— გახუ... — უცნაურად უციმციმებს თვალები ბექარს. — თუ ძმა ხარ, ერთი კალმახი დამიჭირე და მომიყვანე, ეხლავე, ცოცხლად მომიყვანე!

— დედა! რად გინდა, ბიჭო, ერთიანად გამწყდარა ყველა.

— გახუ, შენი ჭირიმე, მომიყვანე!..

— ბექარ, ხომ არ გაგიჟდი... გინდა ჩამქოლოს სოფელმა?..

— გახუ, გეხვეწები!..

ბექარი მთლად მილეულა საწოლში. ცრემლები ახრჩობს.

.

მეორე დღეს რაიონულ გაზეთ „კოლმეურნის ცისკარში" დაიბეჭდა პატარა წერილი. აი მისი შინაარსიც:

„გუშინწინ ორი „მეგობარი", მურმან კ. და თბილისელი ბექარ ნ. დინამიტებით „შეიარაღებულნი" ხობის წყალზე უმწეო თევზებს დასახოცად ეკვეთნენ. ბრაკონიერებს, როგორც იტყვიან, კოკა წყალზე გაუტყდათ. ბექარ ნ-ს დინამიტი ხელში აუფეთქდა და მარჯვენა წააგლიჯა. იგი მძიმე მდგომარეობაში მიიყვანეს სოფლის

საავადმყოფოში. ხოლო მურმან ნ. დაელოდება მეგობრის გამოჯანმრთელებას იქ, „სადაც ჯერ არს“ და ერთად წარსდგებიან სახალხო სასამართლოს წინაშე. სწორედ ამაზეა ნათქვამი: „რაც მოგივა, დავითაო, ყველა შენი თავითაო“.

ცუდი სიზმარი

— ნანკა! იცი, ვინ იქნება დღეს ჩემთან?
— ვინა?
— აბა, თუ გამოიცნობ.
— ااا!..
— ჰოო...
— როგორც იქნა, ძლივს არ გავიცნობთ შენს ნიკუშას?!
— ჯერჯერობით არც ჩემია და...
— არც ჩემი! — გადაიკისკისა ნანამ.
— იცი, რა ბიჭია!
— აზრზე ვარ... მაღალი, სიმპათიური, გიტარაზეც კარგად უკრავს...
— მოკლედ, ბიჭია ბიჭური. ნახავ, რა...
— ბევრი ხალხი გეყოლება?
— ისე, რა, მარტო ახლობლები...
— რომელზე ვიკრიბებით?
— შვიდისთვის წავისადილებთ და დაღამდება კიდეც... მერე ვიცეკვოთ... შენ რა, ისევ ზაფხული ხომ არ გგონია. სექტემბერი თავდება. იცოდე, არ დააგვიანო. ყველა გავაფრთხილე — ზუსტად შვიდ საათზე ვსხდებით.
— ცოტას დავიგვიანებ, რაა...
— არავითარი... იცოდე არ შემოგიშვებ!
— კარგი.
— ნახვამდის.

— თამუნა ხარ?
— აპა, არა?!

— შე უსინდისო, სულ მე უნდა გირეკავდე?
— ხო იცი, არა...
— კარგი, კარგი. დღეს შვიდ საათზე ჩემთან ვიკრიბებით.
— ბლომად ხალხია?
— ჩვენები... და ნიკუშა...
— აჰ! ნი-კუ-შა? ძლივს დაგვაყენე საშველი!
— არც მე მინახავს ბიჭვინთის მერე. გუშინ დამირეკა. მოსკოვში ყოფილა თავის პროფესორთან და...
— კაი ტიპია, არა!
— გლი-ჯავს!
— რამდენი წლისაა?
— შარშან დაამთავრა სამედიცინო...
— ოცდაოთხის იქნება?
— ჰო, რა, ეგრე იქნება.
— ვნახოთ, ვნახოთ...

. . . . . .

— სალომე, შე „სალომე", შენა... როგორა ხარ?
— ძა-ლი-ან მოწყენილი...
— აბა, იცოდე, დღეს ეგ არ გამაგონო, იცი, ვინ იქნება ჩემთან?
— ვინა?
— აი, რომ გეუბნებოდი, ბიჭვინთაში გავიცანი-მეთქი... ექიმი. მოსკოვში რომ დაამთავრა.
— რა ჰქვია?
— ნიკუშა... არ გახსოვს, რომ გიყვებოდი?
— ჰოო, მახსოვს. გადარეული რომ იყავი, მაგარი ბიჭიაო...
— ოო!..

—

— წავედი, დედა!
პრიალა ვარდისფერ ხალათში გამოწყობილი, წითლად თმაშეღებილი, მსუქანი, ჯერ კიდევ ახალგაზრდა ეთქმოდა, ისეთი ქალი, ოქროსფერი ქოშების ბაკუნით გამოგვგმანდა შემოსასვლელში.
— ნიკა, დამენახვე ერთი, რა გაცვია?
ნიკას ჯინსის პერანგი და ჯინსისაეე შარვალი ეცვა. სარკეში თმას ისწორებდა.
— აბა, შენ იცი, ნიკუშა, — ქალმა ყურადღებით აათვალიერ-ჩაათვალიერა ბიჭი. — ხომ იცი, პროფესორ ცოტნიაშვილის ოჯახია.

ყველა შენ დაგაკვირდება, თავი ისე დაიჭირე, რომ...

— კარგი, კარგი... — გააწყვეტინა ბიჭმა. — ვიცი, როგორც უნდა მოვიქცე. არ დამიწყო ახლა...

— ნუ უხეშობ, ნიკა! — ქალმა თითი მუქარით დაუქნია. — მანქანას გამოიყვან?

ნიკამ მხრები შეიშმუშნა...

ნიკა მიდიოდა და მოწყენილი შესცქეროდა გამვლელებს. ბიჭებიც და გოგონებიც, ქალებიც და მამაკაცებიც ყურადღებას აქცევდნენ მაღალ, სიმპათიურ ახალგაზრდას, რომელსაც ეფექტური ჩაცმულობა კიდევ უფრო შესამჩნევს ხდიდა. ნიკა კი, ვითომც აქ არაფერიო, დაიჭერდა თუ არა ვინმეს დაკვირვებულ, ზოგჯერ დაუფარავად აღტაცებულ მზერას, იქვე გულგრილად თვალს აარიდებდა, თავის უპირატესობაში დარწმუნებული.

ფეხით ჩაუყვა ვარაზის ხევს. შორს არც მიდიოდა, თერთმეტსართულიანი სახლისკენ ჰქონდა გეზი აღებული.

ვარაზის ხევში ხალხი, საერთოდ, არ ჩანდა. მოპირდაპირე მხარეს მოჰკრა თვალი ორიოდე წყვილს და ცოტა ეწყინა კიდეც, ყურადღება რომ მოისაკლისა.

ნაბიჯს აუჩქარა... თბილისს მოკრიალებული ზეცა ეფარა. ირგვლივ ჩიტების ჟრიამულისაგან ყურთასმენა აღარ იყო.

— მეგობარო! — შემოესმა უცებ.

ტანმა რაღაც ცუდი უაზრა, ვითომც ვერ გაიგო, ნაბიჯი არ შეუნელებია.

— მეგობარო! — დაუძახეს ისევ, უკვე ახლოდან.

შედგა.

მისკენ დაბალი, გაწრიპული ბიჭი მოდიოდა.

— გამარჯობა! — გაუცინა ბიჭმა.

— გაგიმარჯოს!

ისევ ცუდი უგრძნო ტანმა.

იმ ბიჭს მიტკლისფერი ედო, თვალის უპეები ჩაშავებოდა, საოცრად არამეტყველი სახე ჰქონდა.

„კაცი არ ვიყო, თუ პირველად არ ვხედავდე“.

— როგორა ხარ? — დაცინვით, ხრინწიანი ხმით შეეკითხა ბიჭი....

„არავის არ მაგონებს... ჩემზე უმცროსიც ჩანს... ვინ უნდა იყოს? არ ვიცნობ...“

— როგორა ხარ-მეთქი? — ისევ გაუმეორა ბიჭმა და ჯერ ცხვირი მოიქავა, მერე კი თმაზე ჩამოისვა აკანკალებული ხელი.

„კაეფშია?"

— არა მიშავს, შენ როგორა ხარ? — თავისი დაჭიმული და მთრთოლვარე ხმის გაგონებამ კიდევ უფრო აანერვიულა ნიკა.

— უყურე შენ... მიცანი? — ისევ დაცინვით გაიკვირვა ბიჭმა და გაიკრიჭა. წინ ერთი კბილი აკლდა.

ნიკამ დაძაბულად, მაგრამ მაინც მოახერხა გაღიმება.

უცებ ბიჭმა ძალიან სერიოზული სახე მიიღო:

— ვერა, ძმაკაც, ვერ მიცანი. ძა-ლიან ცუდია... ერთი, აქეთ მაიწი! — სკვერში შეიწვია ჟესტით.

ნიკას ბიჭი მხრებამდეც ვერ სწვდებოდა. ცოტა გული მოიცა.

— რა იყო! — ჰკითხა და, ასე თუ ისე, თვალი გაუსწორა ბიჭს.

— არაფერი. წამო, დავსხდეთ! — პატარა სკვერის სიღრმეში სკამზე მიუთითა და იქითკენ გასწია.

ნიკამ იხტიბარი აღარ გაიტეხა.

ბიჭი მოტრიალდა. ნიკას დაუცადა და მერე ხელმკლავი გამოსდო.

ნიკამ ხელის განთავისუფლება სცადა.

იმან კი ჯიბიდან სწრაფად ამოიღო გაშლილი დანა და მუცელზე მიაჭირა.

— წამო... ნუ ჯიუტობ!

გააცია.

— რა გინდა? — ძლივს ამოილუღლუღა ნიკამ.

— წამო, კაცო, აგერ ჩამოვსხდეთ, ვილაპარაკოთ... არაფერი არ მინდა, რა უნდა მინდოდეს? — ისევ მშვიდობიან კილოზე გადავიდა ბიჭი.

ჩამოსხდნენ.

ბიჭმა დანა დამალა.

— აი, ასეე... რა გქვია, მეგობარო?

სასოწარკვეთილს, ლაპარაკის უნარიც დაეკარგა.

— რა გვარი ხარ? — ჩაესმა ისე, თითქოს ძილში ყოფილიყო.

— მილორავა! — ამოღერღა.

— ვაჰ! მეგრელი ხარ?

— ჰო!

— ჰო კი არა, დიახ! — გაუსწორა.

— სიგარეტი გაქვს?

— მაქვს! — ჯიბეზე მოისვა ხელი და გაუშეშდა, იქ მასაც დანა ედო.

— ჰა, ამოიღე, რაღა! — შეუტია ბიჭმა.

ნიკამ სწრაფად ამოიღო „მარლბორო" და გაუწოდა.

— შენ ისეთი ბიჭი ჩანხარ, „ზაჟიგალკაც" გექნება.

ნიკამ სანთებელაც ამოიღო.

ბიჭმა ორივე გამოართვა. სიგარეტს მოუკიდა. მერე კოლოფიც და სანთებელაც ხალათის გულის ჯიბეში ჩაიტენა და ბოროტად მოწკურა თვალები.

— სად გავჩერდით! — შეეკითხა მასწავლებელივით, — ჰო, სად მიდიოდი?!

— ამხანაგთან.

— რა გინდოდა?

— ისე, რა, არაფერი.

— მოიცა, ერთი არ გამაგიჟო! — ცოტა გამოცოცხლდა ბიჭი, — ამხელა კაცი ხარ და არაფერი არ გინდა, ისე მიდიხარ ამხანაგთან?

— არ მინახავს დიდი ხანია.

— ეგრე თქვი, შე კაცო...

— თუ ძმა ხარ, აგერ ოცდახუთი მანეთი მაქვს... — ნიკამ ფული ამოიღო და ხელში მიაჩეჩა.

იმას, თქვენც არ მომიკვდეთ, წარბიც არ შეუხრია. აუღელვებლად, დინჯად ჩაიდო ფული გულის ჯიბეში და მერე მოულოდნელად სტკიცა სილა ლოყაში.

ნიკას წამოხტომა უნდოდა, მაგრამ დანის აპრიალებული პირი დაინახა და კისერმოწყვეტილივით უიმედოდ ჩაქინდრა თავი.

— რა მოხდა, ძმაო, დაგიშავე, რამე? — ნიკას უკვე მუხლებიც უკანკალებდა.

— არა, არა გენაცვალე! — გაუღიმა.

— აბა?

— სონი ექ? — ჰკითხა უცებ მეგრულად.

— მარგალური გიჩქუნო? — გაუხარდა ნიკას.

— ااا! ალაპარაკდი?! — უხეშად, სიძულვილით შეაწყვეტინა. — ახლა რომ გამოგფაშვო, დღისით-მზისით, რას იზამ?

ნიკამ მხოლოდ მხრების შეშმუშნა შეძლო.

— გეშინია, თუ არა?

— მეშინია! — გამოტყდა მაინც.

— მშიშარა! — გველურად გაიცინა. — სხვანაირად, ხომ იცი, რაცა ხარ?

— არა!

— გითხრა თუ დაგანებო თავი? — დაინტერესდა ცინიკურად.

— შემეშვი, თუ ძმა ხარ! — ისევ ცოტათი გამოცოცხლდა იმედ-მოცემული, — ჩემი გაჭირვება მეყოფა.

— შენი გაჭირვება? — დასცინა ბიჭმა. — რა გაჭირვება, ვიყოთ აქ ცოტა ხანს, ვისაუბროთ.

„უჰ, შენი“,— გულში ამოიკვნესა ნიკამ. უკვე დაკარგა თავის დახსნის იმედი და ბედს დაემორჩილა.

ბიჭმა სულ აუშვა აღვირი. თმაზე ხელი გადაუსვა.

— ეს ჯინსები სად „დაიადე?“

— რაო?

— ჯინსები მომწონს!.. — ჩაფიქრებით თქვა და დადუმდა. მერე თითქოს სულ დაავიწყდა თავისი მსხვერპლი, ფეხით მიწას დაუწყო ჩიჩქნა.

— ნიკა! — დაიძახა ვიღაცამ ქუჩიდან.

გონებადაფანტულმა გაიხედა. სკვერში ზურა ჯანჯღავა იხედებოდა და ხელს უქნევდა.

— მოიცა, — უბრძანა ბიჭმა. — ხმა არ გასცე!

ზურა სკვერში შემოვიდა და მათკენ გამოემართა.

— რა იყო, ბიჭო, ხმას რომ არ იღებ?

— შეეკითხა მოახლოებული ნიკას და ბიჭს ეჭვიანად გადახედა. შეეტყო, არ მოეწონა.

— რა ვიცი! — როგორც იყო, წამოდგა ნიკა და გამოწვდილი ხელი ჩამოართვა.

ბიჭიც ადგა.

— ვინ არის ეს? — ჰკითხა ჩუმად ზურამ.

— ჩემი ამხანაგია.

ზურა გაოცებული შეჰყურებდა.

— ვერ გაიარე შენთვის? — ბოროტად გამოსცრა კბილებში უცებ ბიჭმა.

— რაო? — გაიკვირვა ზურამ ასეთი უცერემონიო მომართვა.

— რაო და, ის! მოუსვი აქედან! — მთლად ჩაეხრინწა ბიჭს ხმა და ჯიბისკენ გააქანა ხელი.

ზურამ უცებ მოწყვეტით გაიქნია მარჯვენა და ნიკაპში სთხლიშა-ბიჭი სკამზე გადემხო.

— ზურა, ფრთხილად, დანა აქვს!

— ამისი დანაც და ამისი!.. — მიაყოლა ზურამ შვიდსართულიანი, ბიჭის ადგომას დაელოდა და დანაგაშიშვლებულს ფეხი ჩააზილა მუცელში.

ბიჭი ახლა უკვე მიწაზე „წამოწვა"; ყველაფერზე ეტყობოდა, კარგა ხანს აღარ აპირებდა ადგომას.

— წამო, წავიდეთ აქედან... თუ დარჩები? შენს „ამხანაგს" ექიმი სჭირდება.

ზურამ ყოყმანით გადახედა ნაძირალას, რომელიც მუხლზე წამოჩოქებას ლამობდა...

— შენ რა, რა გგონია... ამის დედაც!, — ნიკამაც უცებ ფეხი ჩაჰკრა მუცელში.

— წამო, წამო, ბიჭო, არ მოკლა!..

— სად მიდიხარ?

— ღამის ცვლაში ვმუშაობ...

— სწავლა?

— მე ხომ დაუსწრებელზე ვარ... წელს ვამთავრებ...

— ძაან გაგგრძელებია, აი?!

— რას იზამ, ძმაო, თან ვმუშაობ, თან ვსწავლობ. ორივე ერთად, ხომ იცი, ცოტა ძნელია.

— შრომა აკეთილშობილებს ადამიანს! ხომ გაგიგონია, — ნიკას უკვე რიხი მისცემოდა ხმაში, თავსაც უფრო მსუბუქად გრძნობდა.

— ასეა! — გაიცინა ზურამ. — ისე, მე რომ არ გიკითხო, არც კი გაგახსენდები.

— აბა, ჯადოქარი ხომ არა ვარ, მოსკოვიდან უცებ, როცა შენ მოგენატრები, აქ გავჩნდე.

— შე კაცო, — ეწყინა ზურას. — ყოველ არდადეგებზე თბილისში ჩამოდიხარ. ორი წელია სულ არ გიკითხივარ.

— დედაჩემი მეუბნებოდა შენს ამბავს!

— ისიც კი არ იცი, ინსტიტუტი რომ არ დამიმთავრებია და...

— კარგი, კარგი, — შემწყნარებელი ღიმილით დაეთანხმა ნიკა, — წავედი, თორემ... მიცდიან, ჰო, მართლა, — გაახსენდა უცებ, — როგორ მომაგენი?

— დედაშენმა მითხრა, ჯერ ვარაზისხევი ჩავლილი არ ექნებაო და... გამოვიქეცი.

„რომ არ გამოქცეულიყო?“ — გაუელვა ნიკას და ისევ შიშმა მოიცვა.

— ჰა, შე ძველო, რა მოგივიდა? — შეაჯანჯღარა ზურამ.

ნიკა გამოერკვა. გაიცინა.

— „კაროჩე“, ცოტაც და, მივასიკვდილებდი იმ ნაბიჭვარს, შენ უშველე.

— უჰ, მაგის!.. ეგრევე უნდა გეგლიჯა.

— ცოტა ვაცადე, შემეცოდა მაინც, სული ძლივს ედგა... — საკმაოდ დამაჯერებლად იცრუა ნიკამ.

ზურამ მეგობრულად ჩაიკრა გულში.

— აბა, შენ იცი! დაგირეკავ ხვალ.

— ხვალ? ხვალ შეიძლება შინ არ ვიყო... ხომ იცი, ნათესავები... მერე ჩემი მოსკოველი ქართველებიც მელოდებიან, მანქანაც ვერა მაქვს წესრიგში. რაღაც-რაღაცები მოსაჭერია...

— ზეგ დაგირეკავ!

— ზეგ? მაშინ დილას დარეკე, საღამოს კათედრის გამგესთან ვარ... სალაპარაკო გვაქვს. გნახავ რა, მოკლედ!

— კარგი, კარგი... ვიცი შენი ნახვა...

— არა გრცხვენია, სიმონ?

ზურამ მეგობარი გადაკოცნა და ჩამომდგარი ავტობუსისკენ გაიქცა. დაბალი, გამხდარი, ნაადრევად გამელოტებული ბიჭი იყო თეთრი უბრალო პერანგი და პოლონური ჯინსი ეცვა.

— ლიკა, შენმა ნიკუშამ დახურა!

— რას გეუბნებოდი!

— როგორ უხდება გიტარაზე დაკვრა. კაი სიმღერებიც სცოდნია...

— მოკლედ, ბიჭია ბიჭური.

. .

— სალომე! როგორა ხარ შე „სალომე“, შენა!

— ძა-ლი-ან მოწყენილი.

— ბიჭი როგორ მოგეწონა?

— სიმპათიურია, მაგრამ „ჩერესჩურ“ ხომ არ იჭიმება?

— იცი, ამ დროს რა უბრალოა?!

— მე მგონი, ცოტას წაიძველბიჭებს კიდეც...
— რა ვიცი, აბა!

ნიკა იმ ღამეს და მეორე ღამესაც ყვირილით წამოახტუნა ფეხზე კოშმარულმა სიზმარმა. დედამ სედუქსენი დაალევინა.
მესამე ღამეს უკვე მშვიდად დაეძინა.
მერე კიდევ ერთხელ დაესიზმრა ცუდი სიზმარი, მაგრამ აღარ წამომხტარა.
ისევ დაუბრუნდა მშვიდი ძილი.
ეს იყო, ვარაზის ხევი შეიძულა.
მანქანით რომ ჩაივლიდა, შეშფოთებით, მალულად გააპარებდა ხოლმე თვალს სკვერისკენ.
ორიოდე თვეში ის შემთხვევაც გადაივიწყა.

ერთ საღამოს ტელევიზიის გადაცემას უყურებდა.
რამდენიმე ფოტო ანახეს.
ნიკამ ერთ-ერთში „ის“ ბიჭი იცნო.
„ოთხი წელი მიუსჯიათ“.
ნიკას უკვე საბოლოოდ მოეფონა გულს.

ბავშვობიდან...

— გადაშალეთ დედა-ენა. მონახეთ ასო „თ“... მონახეთ?
— დიი-ახ!
— ძალიან კარგი. აბა, თითი გააყოლეთ პირველ სტრიქონს. აი, თი-თი!
— აი, თი-თი!
წამოვდექი და სულ უკანა მერხზე მჯდომ გია სულაძესთან მივედი. გიამ გაოცებულმა ამომხედა.
— დღეს, გაკვეთილების მერე შტაბის შეკრება გვაქვს. იცოდე, დათოს და ვანიკოს არაფერი გააგებინო, — ჩავჩურჩულე, — ახალი ამბებია...
— მართლა მტრის ბანაკში გადავიდნენ? — მკითხა მანაც ჩურჩულით.

— დღეს ყველაფერი გაირკვევა.

— ზაზა! — მომმართა უცებ მასწავლებელმა. — რას აკეთებ მანდ?

დაბნეულმა კლასს გადავხედე. ყველა მე შემომცქეროდა. ვერა მასწავლებელმა კვლავ გამიმეორა შეკითხვა.

— რაღაც საქმე მაქვს გიასთან, პატივცემულო მასწავლებელო!

— დაბრუნდი ახლავე შენს ადგილზე! — ღიმილის შეკავებას ცდილობდა მასწავლებელი, — გაკვეთილის დროს ასე მოქცევა არ შეიძლება.

— აწი მეცოდინება, პატივცემულო მასწავლებელო.

— ჩურჩულიც არ შეიძლება საზოგადოებაში! — ალერსიანად დამიყვავა ჩემმა პირველმა მასწავლებელმა.

პეტრე

ჩემი დედულეთელი ნათესავი პეტრე სამოცდაათ წელს გადაცილებული კაცია. თავისი დღე და მოსწრება სოფელში გაატარა. ბებიაჩემს ყანის გათოხვნაშიც ეხმარება, ვენახის შეწამლვაშიც და სხვა კაცურ საქმეებში.

დღეს, სიმინდის ყანას ვთოხნით მე და პეტრე ბიძია. საოცარი კაცია, ამდენი ხანია ვიცნობ და მისგან ერთი ხმამაღალი სიტყვაც კი არ გამიგია. ისედაც სიტყვაძვირმა თითქმის ჩურჩულით იცის ლაპარაკი, ზოგჯერ ტუჩების ცმაცუნზე თუ შეატყობ, რომ რაღაცას ამბობს.

— რა იყო, პეტრე ბიძია?

— შევისვენოთ?

იქვე, ყანის შუაგულში ვეება წაბლის ხის ქვეშ სპილენძის თუნგში ცივი წყალი გვაქვს. პეტრე ბიძია ხარბად სვამს პირდაპირ თუნგიდან წყალს და მერე მე მაწვდის... ცოტა ხანს ჩუმად ვსხედვართ ხის ძირში. მზით გაბდღვიალებულ ცას შევცქერით.

— რამდენი ხნით ხარ ჩამოსული?

— ორი თვით, პირველ სექტემბრამდე.

— მეათეში ხარ უკვე, ხომ?!

— დიახ, გაისად ამდენი ხნით ველარ ჩამოვალ. უნივერსიტეტში მინდა ჩავაბარო, ფილოლოგიურზე.

— აბა, შენ იცი. არ დაგვივიწყო, მაინც...

— თქვენს თავს რა დამავიწყებს, პეტრე ბიძია.

ის თავს ნდობით მიქნევს და ტუჩებს ამოძრავებს. ნაწყვეტ-ნაწყვეტ თუ მოვკრავ ყურს სიტყვებს, თორემ...

„— როდესმე ხომ უნდა ვკითხო?“.

— პეტრე ბიძია, სულ ასე ჩუმად რატომ ლაპარაკობთ? რამდენი ხანია გიცნობთ, და...

იგი დაკვირვებით მიყურებს:

— განა ეს ცუდია?

— არა, მაგრამ...

— ხმამაღლა ლაპარაკი, ყვირილი, არ ვარგა, შვილო. ისედაც ხმაურიანია ეს დუნია, ისედაც გამაღიზიანებელი.

— ჰოდა, სწორედ ამას მიჩვეული ყურისთვის უცხოა თქვენი ჩუმი ხმა.

— ასე მირჩევნია, — დაბეჯითებით მეუბნება იგი, — ასე მიჯობს და შენც გირჩევ, ნურასდროს დაუყვირებ ვინმეს, არც ხმამაღლა ილაპარაკო.

აღარ ვაბეზრებ თავს კითხვებით. „ბებიას გამოვტეხავ, რაც იქნება-იქნება“...

... ადესის ყურძენს კრეფდა სოფელი. პეტრეს და მის ახლადშერთულ ცოლს ლიდიკოს კარგი ვაზი ჰქონდათ. პეტრე თუთის ხეზე გასულიყო. გიდელი გაავსო გიშერივით ადესით და თოკით ძირს ჩამოუშვა.

— ლიდიკო, ჩქარა დამიცალე გიდელი! — დაუყვირა ცოლს.

ის კი, თურმე იქვე, ძალიან მაღალი ბლის ხის თითქმის კენწეროში ჩამოკონწიალებული თვითონაც კრეფდა ყურძენს.

— ცოტა ხანს მაცალე, პეტრე!

— ქალო, შენ ვინ დაგავალა ეგ საქმე. ჩამოდი ახლავე, გიდელი გამიცალე! — გაბრაზდა პეტრე.

— ნუ მიყვირი. რა მოხდა, მეც მიხარია ყურძნის კრეფა.

პეტრე გაცეცხლდა.

— ჩამოდი ახლავე, ქალო, არ ჩამომიყვანო აქედან!

ლიდიკო აკისკისდა.

— ჩამოდი-მეთქი! — ბოლმისგან ხმა ჩაეხრინწა პეტრეს.

ქალი გაყუჩდა. მერე სასოწარკვეთილმა წარმოსთქვა:

— პეტრე, ნუ მიყვირი, თორემ...

— თორემ, რა?

— ჩამოვხტები, იცოდე!

— ჩამოდი ახლავე! — რაც ძალა და ღონე ჰქონდა დაიღრიალა პეტრემ და სწრაფად დაიწყო ჩამოსვლა ხიდან. ლიდიკომ დაასწრო. ხიდან გადმოფრენილი ჰაერში ორჯერ გადატრიალდა და კისრით დაასკდა ხორკლიან მიწას. ერთი თვის მოყვანილი ჰყავდა ოჯახში ცქრიალა ლიდიკო.

— ნუ იყვირებ, პეტრე!.. — ეს იყო მისი უკანასკნელი თხოვნა.

სიყვარული

მზის პირველმა სხივმა შემოანათა ოთახში და წამსვე ლოგინიდან წამომახტუნა. უჩვეულოდ განაბულიყო ქალაქი. მაგრამ ეს მხოლოდ ერთი გაელვება გახლდათ... აი, ჩაიხრიალა სატვირთო მანქანამ, ტრადიციულად აქოთქოთდნენ ქურთი მეეზოვე დედაკაცები. სწრაფად ჩავიცვი. ფეხაკრეფით გავედი დერეფანში, რომ დედა არ გამეღვიძებინა. კარიც უხმაუროდ გამოვიკეტე.

ერთი გოგონას სიყვარული ალმურივით მქონდა მოდებული. მთელი ღამე ფიქრში გავატარე. ვერ ვიტყვი, რომ უძილობას უსიამოვნება მოენიჭებინოს. არა, პირიქით, სულ უფრო სასიამოვნო საწვალებელი ხდებოდა ყოველი წუთი, ჩემს გონებაში სულ უფრო მტკიცდებოდა გადაწყვეტილება; დილას, ინსტიტუტში წასვლამდე სახლთან დავხვდები და... გამთენიისას ჩამძინებოდა.

ქუჩაში მივრბოდი. მივრბოდი თავგანწირული იმედით რომ მიმესწრო, არა, უფრო სწორედ დამესწრო საკუთარი მეორე გრძნობისათვის, რომელიც აუცილებლად სადმე მაინც გამაჩერებდა, შემაყოყმანებდა და განმეორდებოდა იგივე ისტორია, — მთელი წლის ისტორია ჩემი გაუმხელელი სიყვარულისა.

საბედნიეროდ, ძალიან კაშკაშა მაისის მზე იყო ამოგორებული ჰორიზონტზე და მისი სინათლე ანდამატივით მიზიდავდა. გოგონას სახლი სწორედ მზის მიმართულებით იყო.

... ადგილზე გავშეშდი. გული ამოვარდნას ლამობდა. ჩემს წინ მისი სახლი იდგა. მეოთხე სართულზე ფანჯრები ღია იყო. ნიავიც არ იძვროდა. ამ დროს ერთ-ერთ ფანჯარაში ფარდა შეირხა. არ ვიცი რამდენ წამს ვიყავი გაშეშებული.

მისმა ხმამ გამომარკვია.

— დილა მშვიდობის!

სადარბაზოს კარებთან იდგა. თეთრ ქათქათა პირსახოცის ხალათში და ოქროსფერი გაშლილი თმებით ზღაპრულ ფერიას ჰგავდა.

— მაია! — გაუბედავი ნაბიჯი გადავდგი მისკენ.

— ამ დილაუთენია რამ წამოგახტუნა? — ღიმილით მკითხა.

— მე?..

ჯარისკაცი და ძაღლი

ჯარისკაცი ბერლინიდან სახლში ბრუნდებოდა.

ზურგჩანთიდან ჩვილივით ამოეყო ყურებდაცქვეტილი თავი ლეკვს და გაკვირვებული შეჰყურებდა უცხო ქალაქის ქუჩას. გამელელნი ალერსიან მზერას გადაჰკრავდნენ ხოლმე.

ჯარისკაცი კი ნაღვლიანი სახით მიაბიჯებდა მშობლიურ ქალაქში. მერე მთავარი ქუჩიდან ვიწრო ასახვევს შეუდგა. ერთსართულიან პატარა სახლთან შეჩერდა. ჯიბიდან გასაღები ამოიღო, მიიხედ-მოიხედა. ახლო-მახლო არავინ ჩანდა. არც უნდოდა ვინმეს დაენახა და ეცნო. სწრაფად გააღო კარი და ჩაბნელებულ დერეფანში შევიდა. ჩამრთველი გადაატრიალა. სინათლე არ აინთო. ოთახში შევიდა, იქ მეტად ბნელოდა... ჩაკეტილი დარაბები გამოაღო. სინათლე უცებ შემოიჭრა.

ლეკვმა თვალები აახამხამა.

ჯარისკაცმა ზურგჩანთას თავი მოხსნა და ლეკვი ამოიყვანა. იატაკზე დასვა. მიეფერა. ზურგჩანთიდან შავი პური ამოიღო, ყუა მოტეხა და ლეკვს დაუგდო. ერთხანს დაჰყურებდა, როგორ გამალებით ღრღნიდა ლეკვი გაქვავებულ პურს, მერე ნელ-ნელა, მძიმედ გადაიტანა მზერა ბუხართან დაკიდებულ შავჩარჩოიან სურათზე. დედას ვერ უყურა დიდხანს. ჩანაცრებულ ბუხარს დააშტერდა.

თითქოს, უცებ გაახსენდაო, იქვე დაყრილ ნაფოტებს დაავლო ხელი და ბუხარში შეყარა. მერე ძველი, გაყვითლებული გაზეთი დაჭმუჭნა, ასანთს გაჰკრა, გაზეთს მოუკიდა და ისიც ბუხარში შეაგდო. დაბალ სკამზე მიჯდა და თავი ხელებში ჩარგო.

ცეცხლი ატკაცუნდა ბუხარში.

ლეკვმა პურის ღრღნას თავი მყისვე დაანება. დიდი შიში ჩაუდგა თვალებში. საბრალოდ აწკმუტუნდა და წამოვარდა ადგილიდან. პანიკური წრიალი დაიწყო ოთახში.

რკინის საწოლის ქვეშ მიაგნო თითქოს ყველაზე უსაფრთხო ადგილს. შეძვრა და თავი თათებში ჩარგო.

გერმანული სუფთა სისხლის ნაგაზის ლეკვი მაინც ვერ დამშვიდდა.

გამოვარდა საწოლს ქვემოდან და ჯარისკაცს კალთაში ჩაუხტა.

ჯარისკაცი გამოერკვა.

ლეკვს ცრემლიან თვალებში ჩახედა. ამოიოხრა. ცალი ხელით გულში ჩაიკრა ლეკვი. სურათთან მივიდა და ფრთხილად გადასწმინდა მტვერი.

„მაპატიე, დედა!“ — გაბზარული ხმით წარმოსთქვა. ბუხართან მივიდა და ჩექმით, უხეშად ჩააქრო ცეცხლი.

უჩინარი

გელას სამსახურში ისევ დააგვიანდა. რას იზამ, აწი ამ საქმეს არაფერი ეშველებაო, გაიფიქრა და ნელი ნაბიჯით გაუყვა რუსთაველის გამზირს.

გაზეთების კიოსკში „ლელო“ იყიდა. სახელდახელოდ გადაათვალიერა. მხოლოდ ფეხბურთის ამბები ჩაიკითხა დაწვრილებით. მერე ზანტი თვალი მიმოავლო იქაურობას. ხალხი შეთხელებულიყო ქუჩაში. უსაქმურები ჯერ არ გამოლალულიყვნენ, მაღაზიების გაღებამდე კიდევ ნახევარი საათი რჩებოდა. მოკლედ, საინტერესოს აქ ვერაფერს იპოვიდა.

— მეგობარო!

გელამ მოიხედა და გაოცებულმა აღმოაჩინა, რომ მის გვერდით

საშუალო სიმაღლის, ჭაღარათმიანი, მიტკალივით სახეთეთრი, შავებში ჩაცმული კაცი იდგა. იგი იღიმებოდა. გელამაც ძალაუნებურად გაუღიმა:

— გისმენთ, ბატონო.

კაცმა საკმაოდ დაიმორცხვა.

— იცით, ისე მიჭირს ამის თქმა...

გელამ, მიგიხვდიო, გაიფიქრა.

— არაა! — გადაჭრით გადაიქნია თავი კაცმა. — როგორ გეკადრებათ... მე სულ სხვანაირი თხოვნა მაქვს თქვენთან, თუკი, რა თქმა უნდა, ეს დაგაინტერესებთ...

გელას უცნობის დაშაქრული ლაპარაკი, რატომღაც აღარ ესიამოვნა.

— იცით, სამსახურში მაგვიანდება. — ჩამომდგარი ტროლეიბუსისკენ გაიწია, მაგრამ რაღაც უხილავმა ძალამ უკან დაქაჩა.

კაცი ისევ მორცხვად უღიმოდა.

— სამსახურში ხომ მაინც დაგვიანებული ხართ?!

— რა გნებავთ?

— თქვენ ისე ადვილად ღიზიანდებით...

— მეჩქარება-მეთქი... — ანერვიულდა უკვე გელა.

— ჰო, კარგით, კარგით... მაშინ პირდაპირ გეტყვით. მე შემიძლია უჩინარი გაგხადოთ, გინდათ?

— რაო?

— ფილმი ხომ გინახავთ „უჩინარი კაცი", უელსი ხომ წაგიკითხავთ?.. — უცნობი ცდილობდა როგორმე მიეხვედრებინა.

„დარეხვილია", — გაიფიქრა გელამ.

უცნობი ამ აზრსაც მიუხვდა, ალბათ, მაგრამ არ ცდილა გადაერწმუნებია და სწრაფად გააგრძელა:

— დიახ, დიახ, შემიძლია უჩინარი გაგხადოთ, თუკი მოისურვებთ... ეს ხომ ძალიან მიმზიდველია — იყოთ რამდენიმე ხნით უ-ჩი-ნა-რი... — დამარცვლა უცნობმა.

— კარგად, ბიძიკო, კარგად! — ხელი აუქნია გელამ და ადგილს, რომელზეც მილურსმულივით იდგა, როგორც იქნა, მოსცილდა.

უცნობს მოწყალედ გაეღიმა.

ხუთიოდე ნაბიჯი გაიარა და უკან მოიხედა. გაჩერებაზე აღარავინ იდგა.

— მე აქ ვარ! — თქვა უცნობმა.

ელდამ კინალამ წააქცია გელა.

— ეხლაც არ გჯერათ?

გელამ ჭადარს ახედა. ნიავი ნაზად ელამუნებოდა ფოთლებს. ხმადაბლა ლაპარაკით ჩაიარეს ოფიცრებმა.

უცნობი მოთმინებით უცდიდა.

— გადაწყვიტეთ... ასეთი შანსი მეორედ აღარ გექნებათ.

— არ მჯერა მაინც... — ყურები მოისრისა გელამ.

— შემახეთ ხელი!

გელამ მისი მხრისკენ მექანიკურად წაიღო ხელი და... ჰოი, საკვირველებავ, ხელი ჰაერში დაკიდებული შერჩა პანტომიმის მსახიობივით.

— ხელი სწრაფად დააბრუნა საწყის მდგომარეობაში. მიმოიხედა. თავი სიზმარში ეგონა.

— არა, სიზმარში არა ხართ, მე აქ ვარ. — თქვა უცნობმა, თითქოს ციდან ჩამოფრინდაო, მის წინ გაჩნდა, ხელი მაგრად ჩაჰკიდა.

კინოთეატრ „სპარტაკის“ შესასვლელთან ამერიკული ფილმის „დომინოს პრინციპის“ დიდი სარეკლამო პლაკატი გამოეკრათ. ქუჩის გამყოფ თეთრ ხაზზე მილიციელი დასეირნობდა გულარხეინად.

— კი მაგრამ... მაინცდამაინც მე რატომ ამომირჩიეთ?

— ამას კი ვერ აგიხსნით. რატომღაც ვიგრძენი, რომ თქვენ ეს შეიძლება დაგჭირდეთ... — უცნობმა აზრი აღარ დაასრულა.

— კარგით, ვთქვათ გამაუჩინარეთ, მერე?

— მერე... დავთქვათ შეხვედრის დრო და ადგილი... წამსვე უწინდელ მდგომარეობაში დაგაბრუნებთ საღ-სალამათს.

— კი, მაგრამ...

— ვგრძნობ, რომ ყოყმანობთ, შეიძლება გეშინიათ კიდეც... მე ხომ მხოლოდ თქვენთვის ვაკეთებ ამას, აბა რა მრჯის?

უცნობი გულწრფელი იყო. ძალზედ კეთილი, მშვიდი თვალები ჰქონდა.

გელა რაღაც უჩვეულოს მოლოდინმა შეაჩქვიფა, სასწრაფოდ მოუნდა გაუჩინარება. შეეშინდა კიდეც, ამ კაცმა არ გადაიფიქროსო.

— მაშინ ჩქარა, თუ შეიძლება, ჩქარა!..

— არა, თავიდან უნდა შეევთანხმდეთ! — მტკიცედ მოუჭრა უცნობმა. — თქვენ საღამოს შვიდ საათზე აუცილებლად მოხვალთ, აი, ამ მაღაზიის ვიტრინასთან. მაღაზია უკვე დაკეტილი იქნება. მეც აქ

ვიდგები. მოხვალთ და მეტყვით: — მე ვარ გელა სანიძე. მე მოვედი....

— საიდან იცით ჩემი სახელი და გვარი?

— ნუთუ გიკვირთ, ეს?

— არა, არა! — ისევ აჩქარდა გელა.

— მოხვალთ და მეტყვით...

— გასაგებია! — გააწყვეტინა გელამ.

— მოხვალთ და მეტყვით, — დაუინებით გააგრძელა უცნობმა. — მე ვარ გელა სანიძე. მე მოვედი!

— კარგით.

— ესე იგი 7 საათზე მოხვალთ. ათ, თხუთმეტ წუთს თუ დააგვიანებთ არაფერია, დაგელოდებით. ვიცი, გიყვართ დაგვიანება.

გელა უხერხულად შეიშმუშნა.

— არა უშავს. მე მგონი არ დააგვიანებთ. არა მგონია, ვინმეს ხელს აძლევდეს მთელი ცხოვრება უჩინრად დარჩენა. მოკლედ, შევთანხმდით?

— შევთანხმდით, ოღონდ ერთი პირობით.

— გისმენთ.

— მაინც, ყოველი შემთხვევისათვის, თუ შეიძლება, ჯერ საცდელად გამაუჩინარეთ...

უცნობმა გაიცინა.

— კარგით.

გელა დაიძაბა.

— თქვენ უჩინარი ხართ.

გელამ ხელებით ტანი მოისინჯა.

— რანაირად, მე ხომ ვგრძნობ ჩემს ტანს...

— მაგრამ ვერ ხედავთ მას...

— ვერა...

— აი, ეს არის თქვენი გაუჩინარების მთავარი პლუსი...

გელა იქვე ვიტრინასთან მივიდა. თავისი სხეულის ანარეკლი რომ ვერ შეამჩნია, სიხარულით აცმუკდა. ვიტრინასთან ქალი შეჩერდა. გამოფენილ ბროლის ჭურჭელს ათვალიერებდა.

— ქალბატონო!

ქალმა მიმოიხედა.

— ქალბატონო!

ქალი შეცბა.

— ღმერთო დიდებულო, — თქვა და სასწრაფოდ მოშორდა იქაურობას. უკან-უკან იხედებოდა და პირჯვარს იწერდა.

უცნობი გამწყრალი ჩანდა.

— იცოდეთ, ასეთი რამ მეორედ აღარ გაიმეოროთ! მაძლევთ პირობას?

— ეს ისე, უბრალოდ, საცდელად...

— არავითარი ამდაგვარი არ გაიმეოროთ. ნუ აშინებთ ხალხს. ისინი თავისთვის დადიან. იმათთან რა ხელი გაქვთ.

— ნახვამდის.

— ნახვამდის.

. . .

ხიდების კონსტრუქციების განყოფილების თანამშრომლებს თავიანთი უფროსისაგან ხის მოაჯირი ჰყოფდა. მაგიდა, სახაზავი დაფა და ორი სავარძელი იყო შემოღობილი. მაგიდასთან პატიმარივით იჯდა უფროსი და მთელი დღე გამუდმებით ტელეფონზე ლაპარაკობდა. თუკი თანამშრომლები ახმაურდებოდნენ, თან საქმეო, შესძახებდა ხოლმე. ეს იყო და ეს. „საქმის მკეთებლები“ ორიოდე წუთს მიყუჩდებოდნენ და...

... და მაინც ჭადრაკს აქ მხოლოდ შესვენების საათებში თამაშობდნენ.

გელა განყოფილების ოთახში ფეხაკრეფით შეიპარა. რვა სახაზავ დაფასთან ერთი ადგილი — თავისი — თავისუფალი დახვდა. დაწყებულ სამუშაოს დახედა. გული ეტკინა, უკვე მეოთხე თვეა, რაც ხიდის პროექტზე მუშაობდა. არ აინტერესებდა, თორემ ერთ კვირაში მორჩებოდა საქმეს. მაგრამ... თუნდაც დაემთავრებინა... ეს რა ხიდი იყო. ხიდი, აი, ის იყო, პირველი, რომელიც უსინდისოდ შეისაკუთრეს მისმა განყოფილების გამგემ და საპროექტო ინსტიტუტის დირექტორმა. მხოლოდ ნახევარი წლის შემდეგ გაიგო, რომ დაკიდული ხიდის პროექტი, კოლეგიის მიერ დაწუნებული, „შეალამაზა“; „შეაფასადა“... ორმა ცნობილმა პროფესორმა და საკავშირო ინსტიტუტის პრემიაც „დაიმსახურა“. პირში წყალი ჩაიგუბა მაშინ გელამ; ამათ, აბა, როგორ ვებრძოლო, ეს ადგილიც არ დავკარგოო. მითუმეტეს, პროექტი რომ ნახა?!... ისე ოსტატურად შეეცვალათ მისი „გარეგნობა“, რომ პლასტიკური ქირურგიის განთქმულ კორიფეებსაც კი შეშურდებოდათ... მოკლედ, ბიჭი იყავი და რამეში შეედავებოდი.

ორი ძმაკაცი დაკარგა მაშინ გელამ... ზაზა და ვახტანგი. მეგობრებმა მის მაგივრად დაიწყეს „ჩალიჩი“, მაგრამ ჯერი როდესაც გელაზე მიდგა... გელამ ილაჩრა. ყველაფერი წყალში ჩაყარა.

ფიქრებიდან უფროსის ხმამ გამოარკვია.

— თან საქმე! — დაიძახა განყოფილების „მამამ და მარჩენალმა“ და ტელეფონზე ნომერი აკრიფა.

„მამა და მარჩენალი“ განყოფილებაში შეარქვეს. მას მართლაც უანგაროდ, ყოველთვიურად, თანამშრომლებისათვის ე. წ. „ლევი“, ადვილზე-ადვილი სამხაზველო სამუშაო მოჰქონდა და ფულს აკეთებინებდა. ასე რომ, მადლიერი იყვნენ მისი ხელქვეითნი.

„მამა და მარჩენალი“ ამ წუთას ტელეფონის ყურმილში ვიღაცას გამწარებული უყვიროდა.

გელას ლოდინი მოსწყინდა. წამოდგა, სკამი გასწია, ფანქარს დასწვდა და... სწრაფად თავის ადგილზე დააბრუნა. ჩაიცინა... მის გვერდით, სახაზავ დაფასთან დახრილმა ქალიშვილმა გაკვირვებულმა გამოიხედა.

ერთ წამს თავში გაელვებული აზრი „ხომ არ გავაგიჟოო“, თავიდან ამოიგდო. ნელი ნაბიჯით უფროსისკენ გასწია.

— სანიძე არ გამოჩენილა, სანდრო ბატონო? — ჰკითხა ხმადაბლა მოაჯირს აქედან. უფროსს თავი არ მოუტრიალებია.

— ანიკო, დამავიწყდა რას გეუბნებოდი?

გელამ ხმას აუწია.

— სანიძე არ გამოჩენილა, დღეს, სანდრო ბატონო? ისევ დააგვიანა?

უფროსმა მოიხედა. ვერავინ რომ ვერ დაინახა, გაოცდა. ყურმილი დაადგა და წამოდგა.

თანამშრომლებმა კამათს თავი ანებეს და სახაზავ დაფებს მიუბრუნდნენ.

— გოგი, სანიძე არ გამოჩენილა?

პირველ დაფასთან ნაადრევად გაჭაღარავებულმა კაცმა თავი ასწია.

— არა, ბატონო სანდრო...

— ძალიან აიშვა, ეი... — ჩაილაპარაკა თავისთვის. — მე დირექტორი მეძახის... — თქვა ოდნავ გასაგონად და მოაჯირის კარი გამოაღო.

უფროსი ჩაფიქრებული მიაბიჯებდა დერეფნის ბოლოსაკენ.

— „შენ დიდი გაიძვერა ხარ!“ — ჩასჩურჩულა უცებ ყურში გელამ. უფროსი გაოცებისაგან შეხტა.

— „გახსოვს, სანიძეს როგორ მოჰპარეთ ხიდის პროექტი, გახსოვს?... — გველივით უწიოდა გელა დერეფანში უკვე ძუნძულით მიმავალ უფროსს, რომელსაც ყურები თითებით დაეცო. — პასუხი უნდა აგოთ, პა-სუ-ხი!

უფროსი დირექტორის კაბინეტში შურდულივით შევარდა. გელაც შეყვა. დირექტორი კვეს იღეჭებოდა და ლაქუცით შესციცინებდა თვალებში პიკანტური გარეგნობის ქალიშვილს. სანდროს დანახვაზე გულმოსული ფეხზე წამოიჭრა.

— სანდრო, ასე უცერემონიოდ რატომ მივარდები კაბინეტში?

სანდრო აქოშინებული მიიჭრა დირექტორთან და ყურში რაღაცა ჩასჩურჩულა. გელა მოთმინებით უცდიდა ორი პროფესორის ჩურჩულის დამთავრებას.

— შენ გიჟი ხომ არა ხარ? — გადაიხარხარა დირექტორმა. — ბლომად დაგილევია გუშინ...

სანდროს დირექტორის სიტყვებმა თითქოს ცივი წყალი გადაასხა.

„მომეჩვენა, ალბა რა?! სულელი ვარ?!“ — დაიმშვიდა თავი.

დირექტორი ქალიშვილს მიუბრუნდა.

— შენი ჭირიმე, მადონა, ერთ წუთს გარეთ დამიცადე...

ქალიშვილმა მხრები აიჩეჩა, პრანჭვით წამოდგა და კარები გაიხურა.

დირექტორმა მკაცრი სახე მიიღო.

— იცი, რას გეტყვი? შენ აქ ძალად პანიკას ნუ ქმნი, თორემ... „ახლა კი დროა, ჩავერიო“. — გაიფიქრა გელამ.

— სანდრო სწორია!

— რა? — ამოიხავლა საქციელწამხდარმა დირექტორმა.

— აი, ბატონო... — დირექტორის ზურგს ამოეფარა სანდრო.

— სანდრო სწორია! თქვენ ორივემ უსინდისოდ მოპარეთ გელა სანიძეს პროექტი, თქვენს სახელს კიდევ მეტი დიდება, პრემიაც შემატეთ, ახლა კი პასუხი უნდა აგოთ! — გელა ცდილობდა რაც შეიძლება მეტი მრისხანება ჩაექსოვა ხმაში.

— ვინ არის აქ? — გაფითრდა დირექტორი.

— ვინც ადრე უნდა ყოფილიყო, ვისაც ადრე უნდა აღმოეფხვრა თქვენი ბოროტება!

დირექტორმა მდივნის გამოსაძახებელი ზარისკენ წაიღო ხელი.

— ხელი უშვი! — დასჭყივლა გელამ.

დირექტორს ხელი მოკვეთილივით ჩამოუვარდა.

— განგებაა!.. — თქვა სანდრომ.

— მოკლედ, დაუბრუნებთ სანიძეს თავის პროექტს, თქვენ თავს თვითონვე ამხელთ, გასაგებია!

— ეს შეუძლებელია! — დირექტორი სავარძელში მოწყვეტით ჩაეშვა და თავი სასოწარკვეთით ჩაჰკიდა.

— რა არის შეუძლებელი! — სჭექდა გელა.

— ყველაფერი ეს... რაც ხდება და რასაც თქვენ გვთხოვთ...

— შეუძლებელი არაფერია ქვეყანაზე!

დირექტორმა უცებ თავი მაღლა ასწია, თითქოს რაღაცას მიხვდაო... წამოიჭრა.

— სანდრო, სანდრო. ეს ალბათ მაგნიტოფონია, ჩქარა, მოვძებნოთ...

— რისი მაგნიტოფონი, თქვენი!.. — დასჭყივლა გელამ და რაც ძალი და ღონე ჰქონდა მუშტი პირდაპირ ცხვირში გლიჯა დირექტორს.

დირექტორს სისხლი წასკდა.

გელამ ახლა სანდროს უთავაზა კეფაში.

— ესეც მაგნიტოფონია?..

სანდრო მაგიდის ქვეშ შეძვრა და ნაცემი ძაღლივით აწკმუტუნდა. დირექტორი ცხვირსახოცით სისხლს იწმენდდა. ხელი ციებიანივით უკანკალებდა.

— კი, ბატონო, კი... — უცებ ნაწყვეტ-ნაწყვეტ წარმოსთქვა მან. — დღესვე განვაცხადებთ, რომ პრემია დაუმსახურებლად მივიღეთ... რომ, იგი სანიძეს ეკუთვნის... რომ...

— მხოლოდ ერთი დღის ვადას გაძლევთ... ხვალ სანიძე სამსახურში რომ მოვა, ყველაფერს დამსახურებისამებრ მიუზღავთ. თორემ მე ვიცი, თქვენი...

— მაინც ვინ ბრძანდებით, ბატონო... დაგვენახეთ!.. — სთხოვა დირექტორმა.

გელა ერთ წამს შეყოყმანდა.

— მე თქვენი გაღვიძებული სინდისი ვარ! სირცხვილით ვიწვი, ვერ გამოვჩნდები. — მერე კმაყოფილმა, რომ ასეთი განმარტება გამონახა, სწრაფად დატოვა დირექტორის კაბინეტი.

სახტად დარჩენილი დირექტორი ამ სცენის კიდევ ერთ მოწმეს ღია ფანჯარაში შემომზირალ, უტყვ ალვის ხეს მიშტერებოდა.

მაგიდის ქვეშ კი „მამა და მარჩენალი", განყოფილების უფროსი სანდრო წკმუტუნებდა ნაცემი ძაღლივით.

. .

სამსახურის კარებში გამოსვლისას კიდევ ერთ კაცს მიაგო თავისი. ეს მეტაბელე გახლდათ, რომელიც ხშირად უშლიდა ნერვებს.

— ვინ არ მოსულა დღეს სამსახურში? — ჰკითხა ღვარძლიანად.

— ვინ და?!. — მეტაბელემ ვერავინ ვერ დაინახა, მაგრამ მაინც უპასუხა:

— გელა სანიძე!

აი, მაშინ წამოარტყა გელამ თავში. ქუჩაში გამოსულმა კი მწარედ გაიფიქრა, სამსახურში მხოლოდ მეტაბელეს ვახსოვარო.

„ეის ვეხსომები ყველაზე უფრო?"

.

ახალგაზრდა, ლამაზმა ქალმა გაღეღილი ხალათის ღილები შეიკრა, ქერა თმა გაისწორა, თავი კიდევ ერთხელ შეათვალიერა სარკეში და კარი გამოაღო.

არავინ ჩანდა.

გაოცებულმა ერთხანს ყური მიუგდო სადარბაზოში გამეფებულ სიჩუმეს. მერე დერეფანში გამოვიდა და კიბეს ჩახედა. არავინ ჩანდა. ყრუდ ისმოდა მხოლოდ ქუჩის გუგუნი. მომეყურაო, გაიფიქრა და შინ შებრუნდა.

ხალათზე ღილები ისევ შეიხსნა. ლიფი არ ეცვა და მკვრივი, ქათქათა ძუძუები ბურთებივით გამოუხტა ხალათიდან. უდარდელი მოძრაობით და ღიღინით ისევ სარკესთან მივიდა. ერთხანს გამომწვევად უცქერდა საკუთარ გამოსახულებას.

გელამ ზვირთივით მოწოლილი ვნებისაგან თავი ველარ შეიკავა და ქალს უბეში ხელი ჩაუყო. ძუძუებზე მიეალერსა.

ქალი ნეტარებისაგან აკრუტუნდა. ერთხანს გაირინდნენ ორივენი, მერე ქალს ეუცხოვა. სარკეს განზე გაუხტა. გამოფხიზლდა. აქეთ-იქით დამფრთხალი თვალებით მიმოიხედა და, საეჭვო რომ ვერაფერი შენიშნა, დამშვიდდა.

— რა მემართება ამ ბოლო ხანს? — გაიფიქრა და ტანი აიწურა ფეხის წვერებზე.

— ოოჰ!.. ამოიკვნესა. საწოლ ოთახში გაგოგმანდა. აულაგებელ,

თეთრი ხის ფართო საწოლზე ნებიერად შეცურდა. ხალათი იქვე იატაკზე დააგდო. გადაშლილ წიგნს მისწვდა და შეწყვეტილი კითხვა განაგრძო.

„კონსუელა“ — ამოიკითხა გელამ წიგნის ყდაზე რუსული წარწერა. ცდილობდა, თვალი აერიდებინა ლამაზი, თითქმის შიშველი ქალისათვის, გულს ბაგა-ბუგი ნელ-ნელა უცხრებოდა. ანგარიშმიუცემლად იქვე ქალის ფეხებთან ჩამოჯდა. საწოლის კიდე ჩაიწია...

ანიკო ჯერ კიდევ სკოლიდან უყვარდა. ინსტიტუტი რომ დაამთავრა, ხელიც სთხოვა. ქალიშვილი თითქოს ეთამაშებოდა, არც ჰოს ამბობდა, არც არას. პაემანზე რამდენჯერ შეხვედრიან ერთმანეთს, უკოცნია კიდეც. მაგრამ რა... ულალატა ქალიშვილმა. მინისტრის შვილი, ფუფუნებაში ცხოვრება და ყველაფერი მზამზარეული ამჯობინა, მისი მშობლების აზრით ჯერ კიდევ გზაზე დაუმდგარი ვაჟის სიყვარულს. თუმცა... ზაზამ და ვახტანგმა ერთხელ მაინც დაიყოლიეს... მშობლებს ყურს ნუ უგდებო... წაიყვანე, ხომ მოგდევსო... ანიკო მაშინ მართლაც თანახმა იყო... მშობლები მერე მაინც შეგვირიგდებიანო... გელამ იფიქრა, აწონ-დაწონა და იუარა... მე, მართლაც ჯერ გზაზე არა ვდგავარო.

ჰოდა, ზუსტად ორ დღეში მოაწერა ანიკომ ხელი მინისტრის შვილთან. ჰმ!..

ვისი ბრალია და შენიო, შეუტიეს დეპრესიაში ჩავარდნილ გელას ძმაკაცებმა. მაგრამ მერე შეეცოდათ და ასე თუ ისე დაეხმარნენ მდგომარეობიდან გამოსვლაში. გვერდიდან არ მოშორებიან, ზღვაზე ერთად დაისვენეს, სამსახურის შოვნაში დაეხმარნენ...

ქალმა წიგნის კითხვას თავი ანება და ოცნებით სავსე თვალები ჭერს მიაპყრო. ჭერზე მდინარის ტალღებივით ლივლივებდნენ ბროლის ჭაღიდან არეკლილი ათინათები.

— რა გინდა? — ჰკითხა გელამ.

ქალმა თვალები მილულა.

— რა გინდა? — გაუმეორა კითხვა და ხმაში იდუმალება ჩააქსოვა.

— რა მინდა? მე თვითონ არ ვიცი რა მინდა...

— არც არასოდეს გცოდნია რა გინდოდა?

— ალბათ...

— ინსიტუტი ხომ დაამთავრე?

— კი, აუცილებელი იყო.

— ხომ გათხოვდი, ისე როგორც შენს მშობლებს უნდოდათ?

— რატომ მარტო მშობლებს, მეც მინდოდა...

— ყოველთვის?

— არა, ყოველთვის არა... მე ხომ სხვა მიყვარდა...

— ქმარს რა, სიყვარულით არ გაყოლიხარ?

— არა, მაგრამ ახლა მიყვარს...

— სტყუი!

— რატომ ვსტყუი... კარგ თანამდებობაზეა, ჩემდენი სამკაული თბილისში ორს არა აქვს, ბინაც შესანიშნავია, რაც მომესურვება ყველაფერი მაქვს. რატომ არ უნდა მიყვარდეს?

— გელა აღარ გახსოვს?

— იშვიათად მახსენდება. მივხვდი, რომ მხოლოდ ერთი სიყვარულით ვერ გაძღება ადამიანი.

— რატომ?

— სიყვარული გადაგივლის აუცილებლად, დრო გავა და მოგწყინდება... მითუმეტეს თუ მატერიალური მხარდაჭერა არ ექნა...

— ნუთუ ასე უფრო ბედნიერი ხარ? შენ ხომ ქმარი ნამდვილი სიყვარულით არ გიყვარს. ეს ხომ ღალატია საკუთარი თავისაც და ქმრისაც.

— რატომაა ღალატი? რა უცნაური და უხეში სიტყვაა „ღალატი“. მე არასოდეს ვუღალატებ ქმარს...

— შენ ძალიან გამოიცვალე, ანიკო. მამაკაცებს ეპრანჭები წვეულებებზე, იმათ ყურადღებას იქცევ...

— მერე რა?.. ისინიც იქცევენ ჩემს ყურადღებას. მე ძალიან ახალგაზრდა ვარ იმისათვის, რომ ჩემი ლამაზი ქალობა დავივიწყო. ქალი მაშინ არის ნამდვილი ქალი, როცა ყველას მოსწონს, გამომწვევია, ყველა ოცნებობს — ნეტა ჩემი იყოსო... მეც ვეპრანჭები...

— მერე, ეს რა, ღალატი არ არის? განა ეხლავე არ უღალატე ქმარს, როცა მამაკაცის ხელი იგრძენი ძუძუებზე და კინაღამ დადნი? ასეთი რამ ხომ შეიძლება ცხადშიც მოგვიდეს?

— ყველა ქალი ასეთია... მთლად პატიოსანი ქალი არ არსებობს...

— შენ ასეთი არ იყავი.

— როდის?

— ყმაწვილქალობაში.

ქალს ეწყინა.

— მე ჯერ ოცდახუთისა ვარ მხოლოდ.
— გაიხსენე, როგორი იყავი ამ სამოოდე წლის წინ?
— არც მინდა გავიხსენო.
— რატომ?
— რა გასახსენებელია... ტუტრუცანა გოგო ვიყავი. მშობლებს არ ვუჯერებდი.
— მაშინ შენ გელას უყვარდი.
— თუნდაც...
— რომ გაყოლოდი გელას?
— კინაღამ მივქარე, ბავშვი ვიყავი.
გელამ მკერდში მწარე ჩხვლეტა იგრძნო.
წამოდგა.
საწოლი აჭრიალდა.
ქალი შეშფოთდა. ახლა კი იკადრა ჭერისათვის თვალის მოცილება და საბანი კისრამდე აიწია.
— აქ ვინ არის? — იკითხა ათრთოლებული ხმით.
გელამ ხმა არ გასცა.
ერთხანს ზიზღით დასცქეროდა...
... ჩქარი ნაბიჯით გავიდა წინკარში. ახალგაზრდა, ლამაზი, ქერათმიანი ქალი კარის ჯახუნმა შეაკრთო. თვალები გაახილა. კარგა ხანს ვერ შეძლო თავს დაუფლებოდა...
... — ალო!

— მე ვარ!

— როდის მოხვალ?

— შესვენებაზე გამოდი, რა, უკვე დროა!

— ძალიან გთხოვ, სასწრაფოდ წამოდი, რაღაც კარგად არა ვარ...

— გელოდები!

... გელას ბინა ახლოს იყო. ავალ, ცოტას დავისვენებო, გადაწყვიტა. თუმცა რა, ბოლო დროს ყოველდღე ასე არ აკეთებდა?! შეს-

ვენებაზე სამსახურიდან სახლში მოდიოდა და იძინებდა. რეფლექსი გამოუმუშავდა. ზუსტად 3 საათზე იღვიძებდა. ისევ მიდიოდა სამსახურში და გამოძინებული სამუშაო საათებს უკვე უმტკივნეულოდ და ყოველგვარი განცდის გარეშე ჩაათავებდა.

უჩინარი სხეული ქაღალდივით მსუბუქი ეჩვენებოდა, შიმშილს ვერ გრძნობდა, მაგრამ... ჰო, დაღლაზე რას იტყვის? სული ეტყობოდა იგივე დარჩენოდა და სწორედ აი, ეს — სული გადაეღალა, გადაეტვირთა, დაუმძიმდა...

ხედავდა, ესმოდა, დადიოდა, ხელით ეხებოდა...

არც თვალი, არც ყური, არც ფეხი, არც ხელი არ დაღლია...

აი, სული კი...

ამ აღმოჩენის დროს, გელა უკვე თავისი სახლის კიბეზე ადიოდა.

კარი დამ გაუღო.

უკვე ნაცადი ხერხით შეიპარა სახლში. დამ, მომეყურაო, გადაწყვიტა. თავის ოთახში შევიდა და დივანზე წამოგორდა. მერე ჩათვლიმა. რომ გამოეღვიძა, კარადის თავზე მოტიკტიკე საათს შეხედა სამს ათი წუთი აკლდა. ოთახის ღია კარიდან სიძის ხმა შემოესმა.

— როგორ მოხდა, ნუთუ დღეს არ მობრძანებულა დასაძინებლად ის უსაქმური?

და სამზარეულოში საქმიანობდა.

— რა გინდა, რას გიშლის ხელს? არ მოვიდა, რა მერე... ისევ იწყებ?

— მე რაც ამ სახლში ვარ, მგონი პირველი შემთხვევაა.

— შეიძლება სამსახურში დააკავეს .ან ვინმე ამხანაგმა დაპატიჟა სადმე.

— ღვინოს მაგი არა სვამს, — გაღიზიანებული პასუხობდა სიძე, — სამსახურში საქმეს ვერ მოაბა თავი... კაცო, სიგარეტსაც არ ეწევა! — ბოლო ფრაზა ისე დიდმნიშვნელოვნად გამოაცხადა, თითქოს უბედურება სწორედ ამ სიგარეტის არმწევლობაში იყო.

— დაანებე თავი, ჩემი ძმაა ბოლოსდაბოლოს! — საწყლად თქვა დამ.

— ბოლოს-და-ბოლოს, — გამოაჯავრა სიძემ, — როდის მოეღება ბოლოსდაბოლოს ბოლო მაგის კოტრიალს?.. ანდა, ნუთუ იმას ვერ ხვდება, რომ ზედმეტია ამ სახლში? მაგის გულისთვის ბავშვები „ზალაში" წვანან, თავიანთი კუთხეც კი არა აქვთ.

— ჩემი ძმისაა მთელი ეს ბინა და ერთი ოთახიც აღარ ეკუთვნის?

— კი ბატონო, წაიღოს მერე ეს ერთი ოთახი!..

— რა დაგიშავა მაინც ამ ბიჭმა? — აღელდა და, — არის თავისთვის, არავის აწუხებს, მაგის აქ ყოფნას ვერცა ვგრძნობთ.

— როგორ თუ ვერცა ვგრძნობ. ჩვენს საჭმელს ჭამს თუ არა?

— დაამადლე ლუკმა...

— შუალამემდე ტელევიზორს უყურებს, არ გვაძინებს...

— რაც შეუძლია ხმას უკლებს...

— ერთი „ტრუსიკი" რაა, ისიც არ უყიდია ბავშვისათვის. არა, საინტერესოა, სად მიაქვს თავისი ხელფასი, პური რაა... ისიც არ შემოუტანია სახლში...

— სად და... — დამ მორიდებულად ჩაურთო, — ლატარიის და სპორტლოტოს ბილეთებს ყიდულობს, ობლიგაციები აქვს. მითხრა, იქნებ „ვოლგა" ან დიდი ფული მოვიგოო... ნახევარს შენ მოგცემ მოგებულსო.

სიძე წუთით გაჩუმდა, მაგრამ ისევ იფეთქა:

— ვის რათ უნდა მაგის ფული!

— ბინა ხომ გინდა, მაგისი?!

— გასივდა კაცი ამდენი უსაქმურობით... დედამისის საფლავი დაავიწყდა სად არის. ისე ტყუილად მაინც მივიდოდი, დავხედავდი. მე უნდა ვუვლიდე დედამისის საფლავს?

დამ ხმა გაკმინდა.

გელას თავში თითქოს ურო ჩაარტყესო. დარეტიანებულივით, მძიმედ წამოიწია. სამზარეულოში გავიდა. და გაზქურასთან უხმოდ იცრემლებოდა. სიძე ფანჯარასთან იდგა და სიგარეტს აბოლებდა. და შეეცოდა.

უხმაუროდ გამოიხურა კარი.

სასაფლაოს მდუმარებას ქვისმტეხელების ხმამაღალი ყაყანი არღვევდა. იქვე, ვიღაცის საფლავთან, რკინის მაგიდაზე ღვინის ბოთლები აქეთ-იქით ეყარა. გვარიანად შემთვრალიყვნენ.

გელა დედის საფლავზე გადაემხო.

ღაპა-ღუპით მოსდიოდა ცრემლები. ტირილით გული ვერა და ვერ იჯერა. ყურში ყრუ, დახშული გუგუნი ჩაუდგა.

„ხომ არ ვგიჟდები, რა ხდება"? — ტირილს გაუძალიანდა გელა.

მერე ერთმა აზრმა შეაკრთო: „ახლა, როცა თვალები დახუჭული მაქვს, სრულიად აღარ ვარსებობ.

მე ხომ უჩინარი ვარ...

მაგრამ, როგორ არ ვარსებობ, ხომ ვფიქრობ, ხომ ვგრძნობ...

ბოლოს და ბოლოს თვალსაც გავახელ და ხომ ვხედავ...

შენი არც ხედვა ჩანს, არც ფიქრი, არც გრძნობა...

ეგეც მართალია.

მაშ როდის ვარსებობ?

როცა შენ გხედავენ, როცა შენ გგრძნობენ, შენს ფიქრს ანხორციელებ...“ — დაატანა თავს ძალა. გულაღმა ამოტრიალდა და თვალები ფართოდ გაახილა.

წამოდგა. ესიამოვნა ოდნავ შეყვითლებული სასაფლაოს ბუნება. დედის საფლავს რკინის მოაჯირი ჰქონდა გარს შემორტყმული. იქვე მიგდებული ცოცხი აიღო. გულმოდგინედ გადაგავა საფლავი. ჩვარი დაასველა და მოაჯირი გადაწმინდა.

„დღეიდან, ყოველთვის ვივლი, დედა!“ — თქვა გულში.

ყავისფრად მოკირწყლულ ბილიკს დაადგა, რომელიც მდიდრულ, მარმარილოს საფლავებს შორის იკლაკნებოდა.

ქუჩაში გამოსულს, საათი გაახსენდა.

გამვლელს ჰკითხა. გამვლელმა თითქოს ქვას ფეხი წამოკრაო, წაიბორძიკა.

ხალხი ბევრი ჩანდა ქუჩაში. ალბათ სამუშაო საათები დასრულდა.

„ვაიმე, მაგვიანდება!“

გელა ავტობუსის გაჩერებისკენ გაიქცა.

ავტობუსში ხალხის ნაკლებობა არ იგრძნობოდა. ერთი მამაკაცი სახელურს ჩასჭიდებოდა და პიჯაკის სახელო მაჯას ვეღარ უფარავდა. გელამ მის საათს დახედა. ექვსს რაღაც წუთები აკლდა. აქედან, დაახლოებით ნახევარ საათს მოუნდებოდა დათქმულ ადგილზე მისვლას. დამშვიდდა. საბილეთო სალაროსთან მოიკალათა და იმდღევანდელი თავგადასავლების ქრონოლოგიურად ჩამოყალიბება დაიწყო.

„დღეიდან ყველაფერი შეიცვლება. აი, ვნახოთ. მე უჩინრად რაც შევძელი, იმას გამოჩინებულიც შევძლებ — უფრო მეტსაც! კაცი არ

ვიყო, ყველაფერს ისე თუ არ მოვუარო, როგორც საჭიროა. არა, მაინც რა მხდალი და ლაჩარი, რა უგულო ვყოფილვარ...“

გელას თავში ციბრუტივით ტრიალებდნენ ფიქრები. იგი საოცარ აღტყინებას, აღმაფრენას გრძნობდა. მთელი მისი არსება ენერგიით გაჟღენთილიყო და ეს ენერგია შესატყვის გამოყენებას თხოულობდა.

„ცოტაც და... მე ისევ კაცად ვიქცევი. მერე ვნახოთ...“

გელამ ნაცნობი შენიშნა ავტობუსში. „ბაჩი... ჯიბგირი ბაჩი...“ ხაველდის ქურთუკში და ჯინსის შარვალში გამოწყობილი, შუბლამდე კეპჩამოფხატული ბაჩი „საქმეს“ შესდგომოდა. ვიღაცა მანდილოსნის ხელჩანთა უკვე გაეხსნა. „ჰოოპ!..“ — აღნიშნა თავისთვის გელამ და მანდილოსნის საფულე თვალისდახამხამებაში ბაჩის ჯიბეში აღმოჩნდა. ბაჩიმ სწრაფადვე დაუკეტა ხელჩანთა მანდილოსანს და ირგვლივ მყოფ ხალხს თვალი მიმოავლო. არა, გელას გარდა ვერავინ იცნო ბაჩი. ადამიანებს არაფრისმთქმელი, მეოცნებე ან შეწუხებული მზერა ჰქონდათ. ბაჩიმ, ეტყობა შვებით ამოისუნთქა, რადგან სახეზე ოდნავ დამცინავი ღიმი მოეფინა და წინა ჩასასვლელი კარისაკენ გაიწია. მანდილოსანიც მიყვა. ბაჩი წამით შეცბა, მაგრამ როცა ქალის მოქმედებაში ვერაფერი საეჭვო დაინახა, მშვიდად განაგრძო გზა ჩასასვლელისაკენ.

„ოჰ, ბაჩი, ბაჩი... შენ არ იყავი სკოლაში ისტორიისა და ქართული ლიტერატურის ცოდნაში რომ ვერავინ გჯობდა, შენზე არ იყო, რომ ლაპარაკობდნენ, მსოფლიო კლასის ფეხბურთელი დადგებაო?!. „დინამოს“ დუბლშიც კი გითამაშია... აყევი უბნელ ხულიგნებს, მორფინისტებს... და ციხის კარიც გაიღო შენთვის. მერამდენედაა ახლა, ამ „საქმიანობაზე“ რომ შეგესწარი? ბეწვის ხიდზე რომ დადიხარ, განა თვითონ არ იცი? ნუთუ ასე შეისისხლხორცე ქურდობა... ისევ გენატრება ციხე... კოლონია?.. არა, ძმაო! უნდა შეეშვა ქურდობას. ეგ შენი საქმე არ არის...“

ბაჩი და მანდილოსანი წინა კარიდან ჩავიდნენ, გელა უკანიდან.

— ბაჩი, ეხლავე დაუბრუნე ფული იმ ქალს! — უჩურჩულა გელამ.

ბაჩი დაფრთხა. გაქცევა მოინდომა. გელამ მკლავში მაგრად ჩასჭიდა ხელი. არ უშვებდა. ბაჩი გიჟივით იხედებოდა აქეთ-იქით, ეს რა ამბავია ჩემს თავსო.

— ბაჩი, ჯერ კიდევ გვიან არ არის. დაუბრუნე თავისი ფული იმ ქალს! — ბაჩიმ ირწმუნა, მამაზეციერი მარიგებს ჰკუასო.

— ღმერთო!.. — თქვა სასოწარკვეთილმა.

— დაუბრუნე! — გელამ ხელი გაუშვა.

ბაჩი მანდილოსანს გასტრონომთან დაეწია.

— ქალბატონო, ავტობუსში საფულე დაგივარდათ! — თავაზიანად მიმართა ქალს. დაბნეულმა ქალმა ჯერ გამოწვდილ საფულეს დახედა, მერე ხელჩანთა გახსნა, შიგ ჩაიხედა და კინაღამ ჩაიკეცა.

ბაჩიმ ხელი შეაშველა.

— დიდი მადლობა, დედიკო... — ქალმა ფული გადათვალა. — რამ დამაბნია ასე? მთელი თვის ბიულეტენის ფულს ვკარგავდი. შენ გაიხარე შვილო, შენმა მშობლებმა იცოცხლონ დიდხანს. შენ გაიხარე... ამ ფულით უნდა მეცხოვრა მთელი ეს თვე... — ლუღლუღებდა ქალი.

— კარგად ბრძანდებოდეთ! — არანაკლებ დაბნეული ჩანდა ბაჩი.

— შენ გაიხარე, შენ იცოცხლე, ღმერთო, დალოცე! — მისდევდა ბაჩის ქალის ლოცვა.

ქურდმა პატარა მანძილი გაიარა და იქვე სადარბაზოში შეუხვია. კედელს თავი მიაყრდნო და გულამოსკვნით აზლუქუნდა.

— ტირილი ვაუკაცს არ შეშვენის, ბაჩი. თუმცა რადგანაც ტირი, ყველაფერი არ დაგიკარგავს! — დაუყვავა გელამ.

ქურდი გაშეშდა.

— ჰო, ჯერ ყველაფერი არ დაგიკარგავს. შენ კეთილი გული გაქვს, ნიჭიერი ბიჭი ხარ. ადრე ყველას უყვარდი...

ბაჩი მკვეთრად შემოტრიალდა.

— ახლა? ახლა რომ აღარავის ვუნდივარ, ნაციხარი და ნაუბედურალი. მე ხომ ქურდი ვარ. ორი „სროკი“ მაქვს მოხდილი.

— ყველაფერს ეშველება. ხომ ხედავ ერთხელ დამიჯერე და...

— ჩემს ცხოვრებაში კარგა ხანია ასეთი რამ არ ჩამიდენია...

— „ჩამიდენია!“ შენ ყოველთვის დანაშაული ნუ გაკერია ენაზე. კი არ ჩაიდინე, კეთილი საქმე მოიმოქმედე. ხომ ხედავ რა შედეგიც მოყვა. იმ ქალის დალოცვა ყველაფერს ჯობია ამ ქვეყნად.

— კაცად მაინც არასოდეს ჩამთვლიან. ყოველთვის ლაქად დამრჩება ქურდის სახელი.

— „კაცად მაშინ ხარ საქები, თუ ეს წესი წესად დარგე: ყოველ დღესა შენს თავს ჰკითხო, აბა, დღეს მე ვის რა ვარგე!“ — გელას

ხვითონაც უკვირდა. ასეთი მაღალფარდოვანი და დიდაქტიკოსი არასოდეს ყოფილა. მაგრამ გრძნობდა, რომ ბაჩის ის ღმერთი ეგონა და ღმერთს კი მხოლოდ ასე უნდა ელაპარაკა მისი წარმოდგენით.

— ილია... — თქვა ჩაფიქრებით ბაჩიმ.

— დღეები ბევრი გაქვს წინ, ბაჩი. მიდი, მისდიე ამ დღეებს! ლაქაზე ნუ ფიქრობ. დრო ყველაფრის მკურნალია... დრო გავა და ყველას თვალში ამოიშლება შენი ლაქა. შევთანხმდით?

— შევთანხმდით! — თქვა მტკიცედ ბაჩიმ.

გელამ თავისი კეთილი მისია დამთავრებულად ჩათვალა.

ოცი წუთით ადრე მივიდა დათქმულ ადგილას.

ის კაცი ჯერ არ იყო მოსული.

გელას დრო კიდევ ჰქონდა. ვიტრინის გვერდით კედელს მიეყრდნო. მას უკვე თავში ათასი განსახორციელებელი აზრი უტრიალებდა. უჩინარ კაცს თუ ამდენი შესძლებია, სახიერი ხომ უფრო მეტის გამკეთებელიაო და ამის დამამტკიცებელ მრავალ არგუმენტს იშველიებდა.

თავის თავს დასცინოდა, რა დედალი ვყოფილვარ ადრეო. გამოჩენის საამო წინათგრძნობა ღვინოსავით უღიტინებდა სულში. ბედნიერი შესცქეროდა ხალხს. ერთ დედაბერს სანოვაგით გატენილი ჩანთის ავტობუსში ატანაშიც მიეხმარა. დედაბერმა სულ სხვა კაცს უთხრა მადლობა. იმ კაცმა უხერხულად — არაფერსო, — მიუგო და იქვე ავტობუსში იმ დედაბრისათვის ახალგაზრდა პორტფელიან წვეროსანს ადგილი დაათმობინა.

შვიდი საათი შესრულდა.

ის კაცი არ გამოჩნდა.

გელა ანერვიულდა. ვიტრინის წინ ბოლთის ცემა დაიწყო. მალიმალ ქუჩის საათს გაჰყურებდა.

ასე გაიარა ნახევარმა საათმა. ცახცახი დააწყებინა.

კიდევ რამდენიმე წუთიც და გელა გაილურსა ვიტრინასთან. „დღეიდან ყველაფერი შეიცვლება, ოღონდ მოდი ჯადოქარო, ოღონდ მოდი! ყველაფერი შეიცვლება!.. მე... მე... მე... ვიქნები — მეეე!!!“

გელა განწირული ხმით აღრიალდა, ადგილზე ხტოდა, ვიღაცას მუშტებს უღერებდა, თმებს იგლეჯდა...

სინათლე აინთო.

ნათელა გაკვირვებული შესცქეროდა თვალდაჭყეტილ, სულ მთლად ოფლში გაწურულ ძმას.

— რა იყო, რა მოგივიდა?

გელა ასე ადრე არასოდეს არ მისულა სამსახურში.

მეტაბელემ გაკვირვებისაგან პირი დააღო.

ახლა თავის სახაზავ დაფასთან იდგა და წუხანდელ თავგადასავალზე ფიქრობდა.

მერე ჯიბიდან „სპორტლოტოს“ ბილეთების მთელი დასტა ამოიღო. შუაზე გადახია და სანაგვე ყუთში ჩაყარა. შავი, სქელი ფლომასტერი აიღო. ერთხანს დაჰყურებდა დაწყებულ ნახაზს.

მერე მთელ სიგრძე-სიგანეზე გადახაზა პროექტი.

უფროსის მაგიდასთან საავარძელში ღრმად ჩაჯდა და მოთმინებით დაელოდა ბატონი სანდროს გამოჩენას.

გელას ხმამაღლა გაეცინა პირველი თანამშრომლის გაკვირვებული სახის დანახვაზე.

მზე... და ზამთრის იები

თბილისი რის თბილისია, თუ რაიმე სასიამოვნო სიურპრიზით არ გააცილა ძველი წელი.

დალოცვილს! — ბუნებაც რომ მხარს უჭერს?!

დეკემბრის შუა რიცხვებში ისეთი კვირა დილა გათენდა, ისეთი მზე გადაგორდა ცის კამკამა კაბადონზე, რომ მაისსაც კი შეშურდებოდა.

აღელდა, ახმაურდა, ამჩატდა დედაქალაქი.

შნოიანად გაუსწორა თვალი ბუნებას.

მხოლოდ გატიტვლებული ხეები იდგნენ მხრებჩამოყრილნი და დარცხვენილნი...

ჩემი ბიჭუნა დილიდანვე ცქმუტავდა, ვერ ისვენებდა.

— წამიყვანე, რა, მამა, გამასეირნე რა! — მეხვეწებოდა ყელგა-

ძოწევით. მე, მე კი რა, არ მინდოდა გარეთ გასვლა? გადასარევად ლამაზი დღე იყო, მაგრამ გული მაინც მეთანაღრებოდა, რაღაცა მაწუხებდა. ალბათ ის, რომ გაზაფხულამდე ძალზე შორს იყო, ჯერ ზამთარი უნდა გაგვეტარებინა. ეს დღე კი... ეს დღე დივერსანტივით იყო შემოპარული „მტრის ზურგში“.

ფეხით შევუყევით მთაწმინდას.

გია წინ მირბოდა. გამვლელებს ფეხებში ებლანდებოდა.

ბოლოს, როცა ონავარმა კინაღამ მანქანის ბორბლებქვეშ ამოყო თავი, დავეწიე, დამსახურებული „საჯარიმოც“ მივართვი, ხელი მაგრად ჩავკიდე და აღარ გამიშვია.

მზე კარგა გვარიანად გვათბობდა. აღმართში გავოფლიანდი. პალტო ხელზე გადავიკიდე. მაინც დამცხა. მეცოდებოდა თოვლის პაპასავით შეფუთნული ჩემი ბიჭუნა, მაგრამ რას ვიზამდი. დედამისმა ისეთი რჩევა-დარიგება გამომატანა მეგზურად, რომ კარგი ბიჭი ვიყავი და მის სიტყვას გადავიდოდი...

— ია!

— ვის გინდათ ია, იები!..

მე ფიქრებში ვიყავი გართული, ნუთუ მომეყურა?

გიამ სახელოზე დამჭაჩა.

— მამიკო! — მიმახედა.

— ია, ია! ვის გინდათ ია?!

ფანჯრებგაღებული, ორსართულიანი, ფართო აივნიანი სახლის კარების წინ სკამზე იჯდა მიმჭკნარი, დაჩიავებული მოხუცი ქალი და წინ გამოშვერილ ხელში ლურჯი ყვავილების კონა ეჭირა.

— იეს რა უნდა ამ ზამთარში? — გაკვირვებული გია ხან მე მიყურებდა, ხან იმ ქალს.

მართლაც...

იმ ქალთან მივედით.

ჩვენს მიახლოებაზე უცებ გამოცოცხლდა, მის მიმქრალ, ოდნავ მბეუტავ თვალებში ნაპერწკლებმა გაკვესეს.

— მოდით, შვილებო, მოდით, წაიღეთ იები!

იებს შევხედე.

ქაღალდის იყო, საკმაოდ ცუდად მიმსგავსებული.

გიაც, ეტყობა, მიხვდა და ის-ის იყო ამის ხმამაღლა თქმას აპირებდა, რომ თვალით ვანიშნე, გაჩუმებულიყო.

— თქვენ გააკეთეთ, ბებო?

გონებადაფანტული მზერა მომაპყრო და წამსვე ვინანე ჩემი გაუფრთხილებელი სიტყვა.

ხმა აუთრთოლდა.

— როგორ, შვილო?.. ამ დილით დავკრიფე ბაღში. გაზაფხულის მოსვლა მათ მახარეს. კიდევ რაღაცა უნდოდა ეთქვა, მაგრამ უცებ ცხვირი დააცემინა და სანამ ცხვირსახოცს იღებდა, მოვასწარი მეთქვა:

— შემეშალა, ბებია, შემეშალა. რა ღირს თაიგული?

მოხუცი ცოტა დამშვიდდა.

— როგორ გეკადრება, შვილო? ეს ხომ გაზაფხულია — თაიგულზე მანიშნა, — გაზაფხული განა იყიდება?

დავიბენი. გიჟმ რატომღაც ჩაიხითხითა. თვალები გადავუბრიალე.

— აბა? — მივუბრუნდი ისევ მოხუცს.

— ისე წაიღეთ, გენაცვალეთ, ისე. თუ გინდათ, კიდევ მოგიტანთ. მოხუცი შეფუცხურდა, სკამიდან წამოდგომა მოინდომა, ხელი მივაშველე. ორად იყო წელში გაკეცილი.

— რა კარგი ბიჭია! — კეთილად შესცინა გიას, — „კანფეტი“ მქონდა შენთვის. ჯიბეებში დაიწყო ქექვა და გაზინთულ ქაღალდში გახვეული „კოწახური“ იპოვა.

გიას გაუწოდა.

ჩემს ბიჭუნას კი ეხამუშა „კანფეტის“ ღება, მაგრამ მაინც მოწიწებით გამოართვა და ზრდილობიანი მადლობაც გადაუხადა.

— ღმერთმა დაგლოცოს, შვილო! — თავისთვის თქვა მოხუცმა.

მესიამოვნა, რომ ბავშვი დალოცა.

უცებ სახლის კარი გაიღო და ვიღაც შუახნის, თმაშეღებილმა ქალმა გამოყო თავი. ჯერ ჩვენ შეგვათვალიერა ეჭვით, მერე უცებ მოხუცს დაადგა ავი თვალი.

— უყურეთ ერთი ამას? შენ, შენ აქ რა გინდა? რამდენი ხანია გეძებ. აი, სად გამოსულხარ! „А, ну-ка, сейчас-же, марш домой!“ — დაუტატანა უხეშად ქალმა.

მოხუცმა თავი მორჩილად დაუქნია. უნდოდა ჩვენსკენ გამოეხედა, მაგრამ გადაიფიქრა. საცოდავად შელასლასდა სახლში. ქალი ქორივით დაჰყურებდა ზემოდან.

— „Ты посмотри, а?!“ — მიაყოლა უკან და მერე ჩვენ მოგვიბრუნდა.

— თქვენ?.. უცებ თაიგული შემნიშნა ხელში.

შემკრთალი გია ჩემს ზურგს ამოეფარა.

— აა! — ეტყობა, მიხვდა ყველაფერს, — ამისათვის წვალობდა ეს გამოჩურჩუტებული მთელი დილა?

— ქალბატონო... — აღარ მახსოვს, რა მინდოდა მეთქვა.

არ მათქმევინა. უკმეხად შემომიტია.

— რა, ქალბატონო? ნახეთ გასართობი, არა? ჭკუაგამოცლილ ქალს ამასხარავებთ? მიბრძანდით აქედან! — ცოტაც და შემოგვიკურთხებდა კიდეც. კარები ჯახუნით გაიხურა.

მე და გიამ სულ დავკარგეთ მთაწმინდაზე ასვლის ხალისი...

„ძველი მენშევიკი“

ჩაფიქრებული და დარდიანი მიუყვებოდა ქალაქის სიცხით გათანგულ ქუჩას ლევან ოსაძე. რატომღაც ეგონა, რომ მის გარდა, ირგვლივ, ყველა გამვლელ-გამომვლელს საქმეზე მიეჩქარებოდა, ან უბრალოდ, საქმეზე მაინც ფიქრობდა. ის კი, ლევანი, უკვე 80-ს გადაცილებული პარტიის ვეტერანი, საკავშირო მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი, მთელი ცხოვრება ქვეყნის აყვავებას და აშენებას რომ შეალია, აღარავის ჭირდებოდა, აღარავინ ენდობოდა საქმეს.

კიროვის ბაღის პენსიონერებმაც კი „მოიშორეს“ თავიდან, — წადი, ლევან, დაისვენე, საავადმყოფოდან ახალი გამოსული ხარო.. თვითონ კი პიონერული ბანაკის საინსპექციოდ წავიდნენ.

ლევანმა მაშინ, ბაღში, საათს დახედა, უკვე სამი სრულდებოდა. კი, მაგრამ 12 საათიდან აქა ვარ, ასე სწრაფად როგორ გავიდა დროო, გაუკვირდა, — ჩვენ რომ აქ ვბჭობდით, თავიდან შენც იღებდი მონაწილეობას, მაგრამ მერე უცებ ჩაგეძინა, და აღარ გაგაღვიძეთო, — აუხსნა ყოფილმა ლოტბარმა შოთა ქათამაძემ.

ლევანს შერცხვა. — წავალ სახლში, რაღაც მართლა შეუძლოდ ვგრძნობ თავსო, — გამოაცხადა და ბაღიდან გამოვიდა.

შეუძლობას კი არა, ძალების მოზღვავებას გრძნობდა ლევანი. კარგად უმკურნალეს ბალნეოლოგიურ საავადმყოფოში. მარილები აწუხებდა, ახლა გაუყუჩდა ის მძაფრი ტკივილი, გულიც მაგარი ჰქონია. პროფესორმა რომ გასინჯა, სწორედ ასე უთხრა: „ნეტა მე მომცა თქვენისთანა გული, კიდევ ეს წელს ვიცოცხლებდიო“...

ლევანმა ტროლეიბუსის გაჩერებაზე წითელსამკლაურიან კაცს მოკრა თვალი. „ეს ხომ ალექსანდრეა, ქეშეშევი?“ — გაიფიქრა და მისკენ გაეჩქარა. — ალექსანდრეს გუმარჯოს! — მიესალმა ხანში შესულ მელოტ კონტროლიორს, რომელიც ის-ის იყო ტროლეიბუსში ასვლას აპირებდა.

ალექსანდრემ ხელი მაგრად ჩამოართვა.

— რასა იქმ, ლევან?

— არაფერს, ასე უსაქმოდ დავეხეტები. — ნაღვლიანად მიუგო ლევანმა.

— ბედნიერი კაცი ხარ. მე მოვკვდი დილიდან ამ უბილეთოების დევნით, — შესჩივლა კონტროლიორმა და შუბლიდან ოფლი პერანგის სახელოთი მოიწმინდა.

— გინდა მოგეხმარები?! — შესთავაზა ლევანმა.

ალექსანდრემ გამომცდელად ახედ-დახედა.

— წადი, კაცო, დაისვენე, საავადმყოფოდან ახალი გამოსული ხარ.

— შენ საიდან იცი? — გაკვირვებით ჰკითხა ლევანმა.

— ბაღში ვიკითხე, რომ არ ჩანდი... ჰო! თქვენები სად არიან?

— ვაჟა ისევ ენგურზე დაბრუნდა. შვებულება გაუთავდა, ცოლშვილიც წაიყვანა. ბავშვებს არდადეგები აქვთ.

— ჰოო. მარტო დარჩი?

— მარტო. კაკოც სოფელში წავიდა. ამოდი ამ საღამოს, ნარდი ვითამაშოთ.

— ამოვალ, ამოვალ... — აჩქარდა ალექსანდრე, რადგან ტროლეიბუსი ჩამოდგა გაჩერებაზე.

— ჰა, წამოგყვე, თუ არა? — შეეკითხა ლევანი.

— კარგი, წამოდი, — შეეცოდა ალექსანდრეს, — აი, გაიკეთე! — და ჯიბიდან კიდევ ერთი წითელი სამკლაური ამოიღო.

ტროლეიბუსი ხალხით იყო სავსე. სულის ხუთვა თუ გინდათ, აქ იყო. ლევანი წინიდან ავიდა და რის ვაი-ვაგლახით მიიკვლევდა მეორე ბოლოსკენ გზას. ბედად, უბილეთო არავინ შეხვედრია, უკა-

ნა კარებთან ჩოჩქოლი ატყდა. ალექსანდრეს აღელვებული ხმა ისმოდა.

ლევანმა სასწრაფოდ იქით მიაშურა.

ალექსანდრეს ვიღაც მაღალ-მაღალი, აპილპილებული ქალი უკოდა. — დამიხედეთ ამას! — ავიღე-მეთქი ბილეთი და დამივარდა, როგორ გინდა, დააჯერო?

— ქალბატონო, ბილეთი ყოველთვის ხელთ უნდა გქონდეთ, ასეთი წესია, თქვენ რა, პირველად გესმით! — დაუყვავა ლევანმაც

— ეს კიდევ ვინ არის? კიდევ ერთი გამოყრუებული ჭკუის მასწაელებელი არ გამოჩნდა! — კიდევ უფრო გაცეცხლდა ქალი.

— გადაიხადეთ ჯარიმა! — ქვითარს აჩეჩებდა ქალს დაბეჯითებით ალექსანდრე.

— მე დავინახე, რომ ამ ქალბატონმა აიღო ბილეთი. — ჩაერია კაფანდარა, მწვითური, სახეაფორაჯებული კაცი.

— მერე, ბილეთი სად არის, რატომ არა აქვს? — დაეკითხა ლევანი.

— დამივარდა-მეთქი. ძალიან თუ გინდათ, მოძებნეთ! — დაცინვით უთხრა ქალმა. — ჩემი ჩასვლის დროა.

მართლაც, ტროლეიბუსი გაჩერდა თუ არა, ქალი უკანა ჩასასვლელიდან ჩავიდა.

კონტროლიორებიც ჩაყვნენ.

—ქალბატონო!..

გაცოფებულმა ქალმა ხელჩანთიდან მანეთიანი ამოიღო და დემონსტრაციულად გადაუგდო. — აჰა, მათხოვრებო, ჩახეთქეთ! — გესლიანად დააყოლა ხმამაღლა, ისე რომ გაჩერებაზე მდგომ ხალხს გაეგონა და გზა განაგრძო.

— ლევან, დაეწიე 50 კაპიკი და ქვითარი დაუბრუნე, მე აღარ შემიძლია მაგისი ატანა, — სთხოვა ალექსანდრემ.

ლევანი მართლაც ასე მოიქცა. მაგრამ, როდესაც ქალს ფულს და ქვითარს აძლევდა, ძალიან ეშინოდა, სახეში არ მომაყაროსო. თუმცა ქალმა რატომღაც ლევანი ჩხუბის ღირსად აღარ ჩათვალა და უსმოდ გამოართვა ყველაფერი. ლევანს ეუცხოვა.

დამნაშავეებივით იდგნენ პენსიონერი კონტროლიორები გაჩერებაზე. ტროლეიბუსი რომ ჩამოდგა, ლევანმა ისევ დააპირა ასვლა, მაგრამ ალექსანდრემ შეაჩერა:

— აღარ შემიძლია, ლევან. გავწამდი კაცი... იცი რა, ცხელა, ხალხი ისედაც განერვიულებულია, წავედი მე სახლში.

ლევანი ისევ მარტო დარჩა...

— „საინტერესოა, მამა, რას აკეთებ, რატომ იკლავთ თავს. ხომ შოგცათ მთავრობამ დამსახურებული პენსია, გითხრათ, რომ თქვენ თქვენი საქმე უკვე გააკეთეთ, ახლა დაისვენეთ, თქვენს ნებაზე იცხოვრეთო. რატომ არ ისვენებთ? სხვებსაც აწუხებთ... აგერ სამი შვილიშვილი გყავს. ამათ ასწავლე, აღზარდე... ესეც საზოგადო საქმე არ იქნება? არა ბატონო... თურმე დილას გადიხარ იმ დასაწვავ ბაღში და ღამე შემოდიხარ... რაო, რას ვხელმძღვანელობო, ბუნების დაცვის ჯგუფსო?..

— კი, მაგრამ, შვილო, შენს ბავშვებს მე ვინ მანდობს აღსაზრდელად? დილას სკოლაში არიან, მერე ინგლისური, ცეკვა, მუსიკა, ცურვა... ჩემთვის ვის სცალია?

— ახლა ხომ სცალიათ. წამოდი ენგურზე, მშენებლობასაც ნახავ, გაერთობი.

— არ შემიძლია, შვილო, უსაქმოდ...“

... ახსენდებოდა ლევანს შვილთან საუბარი და ეკვობდა, ვაითუ სჯობდა მართლაც ენგურზე წასვლა?..

ფიქრებიდან მანქანის დამუხრუჭების ხმამ გამოარკვია...

შოფერმა სულ ლანძღვა-გინებით აიკლო ბავშვიანი ქალი, რომელიც გადასასვლელზე არ გადადიოდა.

— არც შენა ხარ მართალი! — გამოენთო უკან მანქანაში ჩამჯდარ შოფერს ლევანი. — როგორ არის, ქალს რომ ელაპარაკები, შე უზრდელო?

— კიდევ ერთი გიჟი... — ჩაიბურტყუნა შოფერმა და მანქანა დასძრა.

— თქვენც, ქალბატონო, არა გრცხვენიათ, რას ასწავლით ბავშვს? — შიუბრუნდა ლევანი იქვე საცოდავად გაჩერებულ ქალს.

ქალი ჯერ კიდევ გაოგნებული იყო, მერე გონებაგაფანტულმა შეხედა, ამას კიდევ საქმე არა აქვსო, — ვითომ შვილს მიმართა და სწრაფად გადავიდნენ ქუჩის მეორე მხარეს.

„სჯობია სახლისაკენ გასწიო, ლევან! — ეუბნებოდა შინაგანი ხმა. — დღეს რაღაც ცუდ ფეხზე ხარ ამდგარი. გამოყრუებულო, მათხოვაროო, გიჟოო, უსაქმუროო, რა ეპითეტებით არ შეამკეს

დღეს, არა, სიმართლე უნდა ითქვას, მართალია ალექსანდრე, ძალიან ცხელა, ხალხი განერვიულებულია...

ლევანმა გზად პურის მაღაზიაში შეიარა. პური იყიდა. მის ქუჩაზე იმდენი ხალხი და მანქანები უკვე აღარ იყო. აი, ეს არის, თვალს ეხამუშა, სახლის კუთხეში, ასახვევთან, სამი პერანგგაღეღილი ბიჭი იდგა და მზესუმზირას აკნაწუნებდნენ. ჩენჩოს დაგვილ ტროტუარზე ყრიდნენ.

— ახალგაზრდებო, სირცხვილია, ნუ ყრით ქუჩაში მზესუმზირას, ვერ ხედავთ, ტროტუარი რას დაამგვანეთ?

— მიდი, რა ბიძაჯან! — გულგრილად უთხრა გამხდარმა, ქერა ბიჭმა და მზესუმზირას ჭამა განაგრძო.

არც სხვებს უთხოვებიათ ყური. შარვალში გამოწკეპილმა გოგონამ ჩაიარა და იმას გააყოლეს დაინტერესებული თვალი. — ლამაზოო! — დაადევნა ერთმა უკან.

— ჰო, აბი, ამაბ წაიღო თქვენი გონება. არ ჯობია, დაჯდეთ სახლში, წიგნი წაიკითხოთ, რადიოს მოუსმინოთ, გაიგოთ, რა ხდება ამ ქვეყანაზე. დარწმუნებული ვარ, არც ერთს დღევანდელი გაზეთი არ გადაგიშლიათ...

კიდევ რაღაცის თქმას აპირებდა ჭარმაგი, სიმპათიური მოხუცი კაცი, მაგრამ ისევ იმ გამხდარმა, ქერა ბიჭმა გააწყვეტინა სიტყვა:

— რას გადაგვეკიდე, ბაბუა. შენ თვითონ დაჯექი სახლში, შვილიშვილებს მიხედე. ვინძლო, ისინიც გარეთ დაყიალებენ.

ბიჭებმა გაიცინეს.

ლევანმა მშვიდად განაგრძო:

— არ გინდათ, ბიჭებო, სხვისი დაცინვა. ყური მიგდეთ. მე ბევრი მინახავს თქვენისთანა...

ახლა ორმა გოგონამ ჩამოიარა. ჭრელპერანგიანი; ჯინსებიანი ბიჭი წინ გადაუდგა. გოგონებმა გვერდი უქციეს. ბიჭი მკვირცხლად ისევ წინ გამოეჭიმათ. დამფრთხალი გოგონები გაიქცნენ და ბიჭებმა სიცილი დააყარეს.

— როგორ, მე, — ამხელა კაცი აქა ვდგავარ და თქვენ მაინც არ იშლით თქვენსას? სულ დაკარგეთ სინდისი? — გაცეცხლდა ლევანი.

— მართლა, აღარ შეგვეშვები, რა გინდა, რას ვაშავებთ? — ბოროტად შეუტია ისევ იმ გამხდარმა.

— ვაა... ეს ვინ ყოფილა? — გაიოცა ჯინსებიანმაც.

— მე ვინ ვყოფილვარ?.. — ლევანს რაღაცის თქმა უნდოდა და უცებ ელდა ეცა...

— წადი რა, ნე ძველო მენშევიკო! — გაიცინა მესამემ, ჩასუქებულმა, სახეაჭარხლებულმა ბიჭმა, რომელსაც აქამდე სიტყვაც არ დაუძრავს.

— რაოოო! — ამოიღრიალა რაღაც არაადამიანური ხმით ლევანმა — მეე... ძველი მენშევიკი? — ხელები გაასავსავა. — მეე... ძველი მენშევიკი?.. — უკვე ხრიალებდა.

თვალთ დაუბნელდა, დედამიწა ამოყირავდა, ხეები თავქვე დაეკიდნენ...

სასწრაფო დახმარების მანქანა მალე მოვიდა. ექიმმა უიმედოდ გადააქნია თავი: — მკვდარია! — „rubturo cordis“.

— რაო? — იკითხა ერთმა მოხუცმა ქალმა.

— გული გაუსკდა, ქალბატონო...

ცივი ოქტომბერი

უეცრად აცივდა ოქტომბერში.
ადრეულად გამოშრნენ ხეები და მოიბუზნენ ნირწამხდარნი...

ბაღში სკამზე კაცი იჯდა და ტიროდა.
ცოტა ხანს შორიდან შევყურებდი.
თავი ხელებში ჩაერგო და მხრები უცახცახებდა.
შემეცოდა.
შორი-ახლოს არავინ ჩანდა.
გვერდით მივუჯექი.
გაკვირვებულმა ცრემლიანი თვალებით შემომხედა... ცოტა ხანს მიყურა და მერე თვალი ამარიდა.
შუახანს მიღწეული იყო, მელოტი, საფეთქლებთან მეჩხერად შემორჩენილი თმა გაჭაღარავებოდა.
— რა იყო, რა გატირებს, შველა ხომ არ შემიძლია?
არც გატოკებულა.
ვუცდიდი.

— რა გინდა, რას მომეტმასნე?! — განრისხებული წამოიფოფრა, ხელიც მკრა. არ მოველოდი? ვერ გეტყვით. ჰოც და არაც!

მეც წამოვდექი, ოღონდ უფრო დინჯად — ბოდიში-მეთქი, — ვუთხარი და თავი სინანულით გადავაქნიე.

— გაიარე!.. — ცოტა დამშვიდდა კაცი და ისევ დაჯდა. ორიოდე ნაბიჯით გავცდი თუ არა, მისი ხმა შემომესმა.

— მეგობარო!..

მივტრიალდი, ხელით მიმიხმო.

უკვე ვორკოფობდი, მივსულიყავი თუ არა. მერე მივედი, თუმცა გვერდით აღარ დავუჯექი.

— აი, შენ... მოდიხარ სრულიად უცნობ კაცთან. მე ჩემთვის ვზიეარ და ვტირი, რამეს ვაშავებ? არ შეიძლება, რომ ყველგან არ ჩაეჩხიროთ, ყველგან თავი არ გამოყოთ? მაცალეთ, მარტოკა ტირილი მაინც... — ისევ აღელდა.

ისევ გაცლა ვამჯობინე.

— ბოდიში, ბატონო, შემეშალა... მე ცუდი არაფერი გამივლია გულში.

— ძალიან საინტერესოა, ძალიან! — ბრაზით ამოილაპარაკა კაცმა, — ჯერ გეჩრებიან... მერე ფეხებზე გიკიდებენ... არა?!

— ბატონო! — სულ დავიბენი.

— აი, მაგალითად, თქვენ რომ ჩემს ადგილას ყოფილიყავით... მე ხომ არ მოვიდოდი თქვენთან, არაფერს გკითხავდით, გულს არ გადაგაშლევინებდით... ტირილს გაცლიდით, — ბოლოს დააყოლა მან.

— აი, სწორედ მაგითი განვსხვავდებით ადამიანები... ყველა ჩემსავით ხომ არ არის.

— საუბედუროდ, თქვენისთანები ბევრია. — ბოროტად გამოსცრა კბილებში კაცმა.

ძალიან უხერხულად ვიგრძენი თავი.

— კარგად ბრძანდებოდეთ...

— არა, — კატეგორიულად განმიცხადა, — ეხლა ვერსად წამიხვალთ, სანამ არ მოგიყვებით ყველაფერს. ხომ ძალიან გაინტერესებდათ რაზე ვტიროდი. კეთილი ინებეთ და მომისმინეთ...

ცოტა ხანს ჩაფიქრდა. მიწას დააშტერდა და ნერვიული, აკანკალებული ხმით დაიწყო:

— დღეს, ქუჩაში, ავტობუსის გაჩერებასთან ერთი ძველი ნაც-

ნობი, უფრო სწორად, თანაკურსელი შემხვდა. კარგა ხანია ერთმანეთი არ გვინახავს ვილაპარაკეთ აქეთური, იქითური... ძველებიც გავიხსენეთ და ახლებიც. ენაკვიმატი და მხიარული ბიჭი იყო ყოველთვის. ანეკდოტის მოყოლაც მოასწრო...

კაცმა თავი ჩემსკენ მოატრიალა.

— რა ანეკდოტი იყო, არ გაინტერესებთ? — კი მკითხა, მაგრამ, რა თქმა უნდა, პასუხს არც დალოდებია. სიმწრის ღიმილით გააგრძელა თხრობა. — ორი მეგობარი შეხვედრია ერთმანეთს. მოიკითხეს ოჯახებით ერთმანეთი. ერთმა უთხრა, ძალიან განერვიულებული ვარ — რაზეო? — ცოლზე ვეჭვიანობო. მგონი, აგრონომი უნდა იყოს ჩემი დამღუპველიო. — რაღა მაინც და მაინც აგრონომიო? — იმიტომ, რომ, სახლში დაბრუნებული საბნის ქვეშ ხელს რომ შევყოფ სულ რაღაცის თესლებს, მარცვლებს, ბალახებს ვპოულობო. — ბიჭოსო! — გაიკვირვა მეორემ. რომ იცოდე, მეც ვეჭვიანობ ჩემს ცოლზეო. — შენ ვიღაზეო? — ჰკითხა პირველმა. — ძე რკინიგზელზეო. — რაღა მაინც და მაინც რკინიგზელზეო? — რატომ, ბატონო და ებრუნდები სახლში, გადავწევ საბანს და ლოგინში რკინიგზელი წევს ხოლმეო.

ჩამეცინა.

კაცი ცოტა ხანს გამომცდელად მიყურებდა თვალებში, აბა, რა შთაბეჭდილება მოვახდინეო. — აი, სწორედ ასევე გავიცინე მეც, მერე კი, როცა დავშორდით ერთმანეთს, შემოვედი ამ ბაღში. ეს უკაცრიელი ადგილი მოვნახე და დავიწყე ტირილი. ამ დროს მომისწარით თქვენ.

— უკაცრავი კითხვაა, მაგრამ... რატომ?.. — მორიდებით ვკითხე.

კაცი წამოდგა. ტყავის პალტო ეცვა. გაისწორა. შლაპა დაიხურა. ამ პროცედურას რომ მორჩა, მითხრა: — იცით, რა? გადავწყვიტე... გეტყვით და წავალ. რატომღაც, მინდა გითხრათ.

— ორი შვილი მყავს. ბიჭი უკვე 18 წლისაა, გოგონა — 13-ისა, ცოლი მყავს ათი წლით უმცროსი. სიდედრთან ვცხოვრობ. ცოლი მღალატობს. უკვე კარგა ხანია, ერთთან.

კიცი ვისთანაც. მე კი ძალიან მიყვარს. ვერ ვშორდები. თან ამას ისე მოხერხებულად აკეთებს, რომ ჩემს გარდა ვერავინ ვერ მიხვდა. მისი საყვარელიც ცოლ-შვილიანია. ასე, რომ მე მგონი, სამარემდე ვერავინ გაიგებს მათს ამბავს. მე კი... ვერ... მოკლედ მიყვარს. ისედაც... ისე იქცევა სახლში, ჩემს წინაშე, რომ ვერ შეედავები. ალ-

ბათ ვეცოდები... გულწრფელად მივლის... ღამეც ხშირად მეფერება. ალბათ ლოგინშიც ვეცოდები... იცის, რომ მე არ შემიძლია და არც მიღალატია მისთვის. ვერ შეედავები, გესმით? თუ? — აქ კაცმა ცოტა ხანს იყუჩა — მეც ვერ შემედავები? — მიყვარს... გაიგონეთ?! ბავშვებიც მიყვარს, გესმით?.. გესმით?.. — გამიმეორა სასოწარკვეთილად და დაჟინებით.

მე შეძრწუნებული, თავდახრილი ვიდექი მის წინაშე.

— ჰოდა, მიშველით რამეს? — დაცინვით შემეკითხა... — წადით რა, ყველამ თქვენს საქმეს მიხედეთ! — დააყოლა გესლიანად და ჩქარი ნაბიჯით, თითქმის სირბილით გასწია ბაღის გასასვლელისაკენ.

მალე თვალს მიეფარა.

იდგა სუსხიანი ოქტომბერი და ბაღში ნელ-ნელა სიბნელე შემოიპარა.

დასაწყისი

რეზომ პალტოს ღილები გაიხსნა. ჰალსტუხი გაისწორა. ცოტა ხანს კიდევ იდგა კარებთან, აყოვნებდა. როგორც იქნა, ზარი დარეკა.

კარი ახალგაზრდა, სანდომიანი სახის ქალმა გაუღო.

— კიდევ კარგი ვინმე მახინჯი არ შემხვდა, — გაიფიქრა რეზომ და იკითხა:

— მგონი ტელეფონი გაქვთ გაფუჭებული, არა?!

ქალმა ეჭვით ახედ-დახედა.

— მობრძანდით! — მის ტონში თითქმის ბრძანება ისმოდა.

რეზო შევიდა... მის პირდაპირ უზარმაზარი სარკე ეკიდა და თითქმის მთელ კედელს ფარავდა. სარკის ელვარებამ თვალი მოსჭრა. ქალის ხმამ გამოაფხიზლა:

— ეს ტელეფონი კი არა, ჯართია, სად იყავით ამდენ ხანს? თქვენს გამოჩენას არ დაადგა საშველი...

— რა ჩემი ბრალია, ქალბატონო — ეწყინა რეზოს. — დისპეტჩერი გვაძლევს მისამართებს. თანაც მე დღეს პირველად...

— კარგი, კარგი! დამიწყებენ ეხლა აქ თავის მართლებას, — შეაწყვეტინა ქალმა, — აგერაა ტელეფონი და შეუდექი საქმეს!

რეზომ ტელეფონთან სკამი მიიჩოჩა და პატარა ჩემოდანი გახსნა.

ქალი თავზე ადგა და მის საქმიანობას თვალს ადევნებდა.

ბიჭს შუბლი ოფლით დაეცვარა. ტელეფონის შეკეთებას კარგა ხანი მოუნდა. ყურმილში რომ ზუმერის ხმა გაიგონა, ცოტა გულზე მოეშვა. შემდეგ კომუტატორს დაურეკა...

— ყველაფერი წესრიგშია, — თქვა მან და წამოდგა.

— მოიცა, მოიცა, — ქალი ტელეფონს დასწვდა და რაღაც ნომერი აკრიფა.

— ალო, ალო, ნინო ხარ?!. ნუ მკითხავ, მეორე დღეა ჩემი ტელეფონი არ მუშაობს. თორემ ხომ იცი... რას მეუბნები?! მოიცა ერთი წუთით!

ქალმა ხალათის ჯიბიდან სამმანეთიანი ამოიღო და რეზოს მოწყალებასავით გაუწოდა.

ამას კი რეზო არაფრით არ ელოდა. უნებლიეთ ხელები ზურგს უკან დამალა.

ქალს გაეცინა.

— აიღე, აიღე! მართალია გაგიჯავრდი, მაგრამ არა უშავს, აიღე!..

— როგორ გეკადრებათ, ქალბატონო!

— ფულს არ იღებ?

— არა!

ქალმა გაკვირვებული სახით გაუღო კარი. რეზო ელვის სისწრაფით დაეშვა კიბეზე და ქუჩაში გამოვარდა.

„ჯერ ერთი, პალტო მაინც გაეხდევინებინა. ფული რად მინდოდა... მადლობაც კი არ უთქვამს“.

დღეს დილით პირველად გამოცხადდა სამსახურში. სატელეფონო სადგურის უფროსი ძალზე გულთბილად შეხვდა. ათასი რჩევა-დარიგება მისცა და როდესაც დააპირა ეთქვა, არამც და არამც შემოძლეული ფული არ აიღოო, ბიჭის თვალებმა შეაჩერა. მიხვდა, ბიჭს გაფრთხილება არ სჭირდებოდა.

— აბა, ყოჩაღად, იცოდე, არ შემარცხვინო.

დისპეტჩერი შუა ხნის ქალი იყო.

— დღეს ახალბედა ხარ, მხოლოდ სამ მისამართს მოგცემ. ესეც იცოდე, თუ ბევრს მოიტან, ბევრსაც წაიღებ. რეზო მაშინ ვერ მიუხვდა გადაკრულ სიტყვას და ახლა გაახსენდა.

— ჰმ! აი, თურმე რა ყოფილა!

რეზომ ქუჩა თითქმის ბოლომდე ჩაათავა და ორსართულიან, ჯერ დაუმთავრებელ სახლთან შედგა.

სახლის მეორე სართული დაუმთავრებელი იყო. პირველ სართულს კი წინა ფასადზე არც ფანჯრები ჰქონდა და არც კარები. რეზომ სახლს შემოუარა და ძლივს იპოვა უკანა კარები. ზარი დარეკა. კარი რომ არავინ გაუღო, ხელით ატეხა ბრახუნი. ეს დღე რა ცუდად ამეწყოო, — გაიფიქრა. ბოლოს და ბოლოს ნაბიჯების ხმა გაისმა... კარი წვერგაბურძგნულმა, დაბალმა, ძალზე მსუქანმა კაცმა გააღო. ეტყობოდა, ნამთვრალევი იყო.

— უჰ, ბოდიში. ბევრი გაცდევინეთ, თურმე ზარი რეკავდა. მე კი მეგონა ტვინში რეკავს-მეთქი რალაცა. კიდევ კარგი, თორემ ჰა... ჰა... ჰა... — უცებ სიტყვა გაწყვიტა და გაჩუმდა. ცოტა ხანს ჩუმად იდგნენ და ერთმანეთს გაკვირვებულნი შეჰყურებდნენ.

მერე ისევ რეზო გამოერკვა.

— მე ტელეფონის თაობაზე ვარ მოსული. მგონი გაფუჭებული გაქვთ.

მასპინძელს სახე გაებადრა.

— მობრძანდით, მობრძანდით!.. — შინ შეიპატიჟა, — პალტო არ გაიხადოთ, ჯერ არ თბება, აქეთ მობრძანდით!

რეზოს ეგონა მუზეუმში მოეხვდიო, უზარმაზარი ოთახი აჭრელებული იყო ნახატებით, კედლები ფრესკებით იყო მოხატული. აქა-იქ ჭედურობა და ქანდაკებებიც მოჩანდა. ბიჭი პირველად მოხვდა მხატვრის სახელოსნოში და განცვიფრებული იყო.

— აი ტელეფონი, ხმას აღარ იღებს. რა ჭირს არ ვიცი. გასინჯე ერთი თუ ძმა ხარ! — მხატვარი უცბად გადავიდა „შენობით“ ლაპარაკზე.

რეზომ, ექიმი რომ ავადმყოფს სინჯავს, ისეთი ყურადღებით გასინჯა აპარატი და გაიცინა.

— ეს სულ უბრალო საქმეა, — თითით ყურმილზე ანიშნა, — კონტაქტია აი აქ, გაწყვეტილი! — უნდოდა ეთქვა, ამას ბავშვიც კი მიხვდებოდა და გააკეთებდაო, მაგრამ აღარაფერი თქვა. მართლაც ერთ წუთში მორჩა საქმეს.

— როგორ, უკვე შეაკეთე? — მხატვარს სკეპტიკური გამოხედვა ჰქონდა.

— თუ არ გჯერათ, გასინჯეთ.

მხატვარი ტელეფონთან მიიჭრა და ნომერი აკრიფა. ზუმერის ხმა გაიგო თუ არა, პასუხს არ დალოდებია, სასწრაფოდვე დააგდო.

— შენ ყოფილხარ ძმაო, ვინც ყოფილხარ. ერთი კვირაა ამ „ოხერს“ ხმა არ ამოუღია! — მხატვარმა ტელეფონს ბრაზიანად გადახედა. შემდეგ კუთხეში მდგარ კარადასთან მივიდა და კონიაკის ნაკლული ბოთლი გამოიღო.

— მოდი აქ! — დანჯღრეულ მაგიდასთან მიიწვია რეზო.

რეზოს გაეხარდა. „ეს არ ჯობია ფულის მოცემას. მაინც ეტყობა, რომ მხატვარია, გაგებულია, პატიოსანი“.

— აბა, დავლიოთ! — შეავსო მხატვარმა ჭიქები.

— გაგიმარჯოთ, იხარეთ, იბედნიერეთ, ღმერთმა ხელი მოგიმართოთ! — დაილოცა რეზო.

— აი, ეგ ხელი ვერ მომიმართა ერთი, თორემ სხვა ყველაფერი წესრიგშია. — ჩაიცინა მხატვარმა, — აი, შენს ხელებს არავითარი მომართვა არ ჭირდება. „ოქროს“ ხელები გქონია, ძმაო. შენი ხელებივით სწრაფად რომ მუშაობდნენ ჩემებიც...

— კი, მაგრამ მე გაფუჭებული ტელეფონები უნდა შევაკეთო, თქვენ კი ახალს, ლამაზს ქმნით. მე, მართალია, მხატვრობაში არაფერი გამეგება, მაგრამ, მგონი, რაც კი კარგია დახატული ან გამოქანდაკებული, ყველაფერი დიდი შრომითა და ჯაფით, თვეობით იქმნებოდა.

მხატვარი წამით ჩაფიქრდა. მერე ისევ დაისხა კონიაკი.

— ჰო, შენ სწორი ხარ. აბსურდია ჩვენი საქმიანობის შედარება, არაფრით არ შეიძლება! — მერე რეზოს ჭიქაზე მიუთითა.

— დალიე, რაღა!

რეზომ გადაჰკრა.

მხატვარმა ისევ შეუვსო და შეწყვეტილი ლაპარაკი განაგრძო.

— მაგრამ ახლა, შენ — მე მჯობიხარ, — მხარზე ხელი მეგობრულად დაჰკრა, — იმიტომ რომ შენ სასარგებლო საქმეს აკეთებ, მე კი... აი უკვე რამდენი ხანია, — იქვე დაყრილ დაუმთავრებელ ნახატებზე მიუთითა, — არაფერი არ გამომდის. ხომ ხედავ, ამ მომენტში შენ მჯობიხარ. — მხატვარს შეეტყო, რომ კონიაკმა სიმთვრალე შეუბრუნა.

— მოდით, დავლიოთ სადღეგრძელო იმისა, რომ თქვენ მარტო ჩემთვის კი არა, ბევრისთვის გეჯობნოთ, მათივე სიამოვნებისათვის! — გულწრფელად წარმოსთქვა რეზომ და კონიაკი გადაჰკრა.

— რამდენი წლისა ხარ?

— თვრამეტის.

— აბა, ნახვამდის! — მხატვარმა ჯიბიდან ხუთმანეთიანი ამოიღო და რეზოს გაუწოდა.

— როგორ გეკადრებათ! — ძლივს წამოილუღლუღა ბიჭმა და კარისაკენ წავიდა.

— მოიცა, სად მიდიხარ? ფული აიღე!

მაგრამ რეზოს მისი უკვე აღარ ესმოდა. მთვარეულივით გამოვიდა მხატვრის სახლიდან.

„როგორ მოვტყუვდი. მხატვარმაც კი ვერ გამიგო". რეზომ პალტოს საყელო აიწია.

„შენ მე მჯობიხარო... ვჯობივარ, აბა რა? ეგ მე ვერც ვერასოდეს მაჯობებს... მადლობის მაგიერი ახლა ფული გამხდარა".

რეზოს დილიდან არაფერი ეჭამა. კონიაკმა მოაშია და სადმე სასაუზმეში შესვლა გადაწყვიტა. ჯიბეში სულ ორი მანეთი აღმოაჩნდა. ამითი ნეტავ რამდენ დღეს გავძლებო, გაიფიქრა...

ახლა ერთი მისამართიღა ჰქონდა დარჩენილი...

კბილის ექიმი ელიავა ოთხსართულიან სახლში ცხოვრობდა. სწორედ მასთან, უფრო სწორედ, მის ტელეფონთან ჰქონდა რეზოს საქმე. კარი ექიმის ქალიშვილმა გააღო.

— მამა ავადმყოფებს 7 საათის შემდეგ იღებს! — განუცხადა მან.

— მე ავად არა ვარ, ტელეფონის შესაკეთებლად მოვედი.

— ბოდიში, მაგრამ ისეთი შეშინებული სახე გქონდათ, რომ ვიფიქრე, ნამდვილად კბილი ტკივა-მეთქი. მობრძანდით!

პალტო გაახდევინა და ოთახში შეიყვანა.

სანამ რეზო ტელეფონს ჩაჰკირკიტებდა, გოგონა იქვე დივანზე იჯდა და წიგნს კითხულობდა. რეზოს ხნისა იქნებოდა, ლამაზი და კოხტა გოგო იყო. ძალიან მოკლე კაბა ეცვა და რეზოს მისკენ მიხედვისა რცხვენოდა.

ტელეფონი შეაკეთა და წამოდგა.

გოგონას წიგნიდან თავი არ აუღია.

— რა წიგნს კითხულობთ?

გოგონამ დაფანტული მზერა მიაპყრო.

— უკვე მორჩით?

— დიახ, — წაუხდა საქციელი რეზოს.

— რა მკითხეთ? — გაახსენდა გოგონას.

— არაფერი.

— ერთი წუთით თუ შეიძლება, ეხლავე მოვალ! — გოგონა წინკარში გავიდა. „ფულის მოსატანად გავიდა“, მიხვდა რეზო.

გოგონა მალევე შემობრუნდა. სახეზე დარცხვენა ეტყობოდა.

„ერიდება ალბათ ფულის მოცემა. ნუ წუხდები, მაინც არ ავიღებ“.

მაგრამ გოგონა სწორედ რეზოს ფიქრების საწინააღმდეგოდ მოიქცა.

— ძალიან დიდი მადლობა. თქვენ ნამდვილად „ოქროს“ ხელები გქონიათ.

„ოქროს“ ხელები გაქვთ“ გაახსენდა რეზოს მხატვრის ნათქვამი და ჩაიცინა.

— ნამდვილად!

გოგონა პალტოს ჩაცმაში მოეხმარა.

— მგონი არაფერს არ მაძლევს, — ეხლა კი დაეჭვდა რეზო. გოგონამ კარები გაუღო.

„ნუთუ მართლა არაფერს არ მაძლევს?!“

— ძალიან დიდი მადლობა! კარგად ბრძანდებოდეთ! — მომხიბლავი ღიმილით დაემშვიდობა გოგონა.

— ნახვამდის!

რეზო ზეიმობდა. ღიღინით ჩაირბინა კიბე და ქუჩაში გამოვიდა. გაზაფხულის პირველი დღეები იყო, მაგრამ მაინც ძალიან ცივოდა.

რეზომ ჩემოდანი იღლიაში ამოიდო და ხელები პალტოს ჯიბეებში ჩაიწყო.

გულმა რეჩხი უყო.

— ფუი, შენი! — შეიკურთხა ხმამაღლა, ხელში სამმანეთიანი ეჭირა.

ჰალსტუხი მოიგლიჯა კისრიდან და მოისროლა. ისედაც ბოღმა ახრჩობდა...

ასიოდე მეტრი გაიარა და სახლის კუთხეში, კედელთან ატუზული ყოჩივარდების გამყიდველი ბიჭი შეამჩნია.

თავში რაღაც აზრმა გაუელვა...

რამდენიმე წუთის შემდეგ აქოშინებული რეზო კვლავ კბილის ექიმის კარებზე რეკდა ზარს.

გოგონამ, მისკენ გამოწვდილი ყოჩივარდების დიდი კონა რომ დაინახა, შეცბა.

— ეს თქვენ, ჩემი უდიდესი პატივისცემის ნიშნად!

მერე რეზო მხედრულად შემოტრიალდა და კიბეზე დაეშვა. გულში რა უტრიალებდა ღმერთმა იცოდა.

ერთის დღის ქრონიკა

მოთხრობა

ვესტიბიულში, განცხადებების დაფაზე, შავი არშიით შემოვლებული სურათი მოხვდა თვალში. შემოსულები გულდასმით აკვირდებოდნენ და მერე წრფელი სინანულით თავს აქნევდნენ, ოხრავდნენ. სახტად დარჩა. საკმაოდ მხიარული სახე ჰქონდა გარდაცვლილს... რა იცოდა, რომ ამ ფოტოს გამოაკრავდნენ მისი სიკვდილის მაუწყებლად, თორემ ალბათ უფრო ნაღვლიანი გამოხედვა ექნებოდა. ეწყინა. ახლაღა მიხვდა, რომ თვე იქნებოდა, რაც ეს კაცი თვალში დააკლდა.

ხელის მაგარი ჩამორთმევით ესალმებოდა. ფეხბურთის ქომაგი გახლდათ... „უნდა დავრეკო მის განყოფილებაში და ვიკითხო, რამ მოკლა". თათბირზე კიდევ ერთხელ გაახსენდა, მაგრამ მინისტრმა სწორედ მაშინ დაიწყო დავალებების ჩამორიგება.

თათბირიდან გამოსული გზადაგზა, დერეფანშივე აანალიზებდა დავალებებს. მერე კანცელარიიდან განყოფილებაში დარეკა. დავალება აუხსნა მოადგილეს. არა, სამინისტროში მოხსენებითი ბარათის მიტანას ვეღარ მოასწრებს, ბუნების დაცვის კომიტეტში დაგვიანდება. ბოლოსდაბოლოს რა მოხდა, იქ ვინმეს გაგზავნის, რომ მდივანს დაუტოვოს მოხსენებითი ბარათი. მისი მისვლა სულაც არ არის აუცილებელი. ვესტიბიულში შემობრუნდა და ისევ დაურეკა მოადგილეს. ჩამოვიდა სიმპათიური ახალგაზრდა ქალი. მოთმინებით მოუსმინა და სამინისტროში წასაღები ფურცლები გამოართვა.

როდესაც ბოლო აბზაცი ჩაათავა, ცნობისმოყვარედ გადახედა მოთათბირეებს. თავმჯდომარემ თავი დაუქნია, ხნიერი აკადემიკოსი. რომელიც აქამდე თელემდა, გამოფხიზლდა:

— მე მგონი, საკითხისადმი საკმაოდ ორიგინალურ მიდგომასთან გვაქვს საქმე.

— ყველა გამოსულ ამხანაგს მოვუსმინეთ. თბილისის გარშემო მწვანე ზოლის შექმნა ფრიად საპასუხისმგებლო, სამწუხაროდ, გაჭიანურებული და სადღეისო ამოცანაა. არავინ გვაპატიებს მისდამი ზერელობას და კამპანიურობას. გთხოვთ, ამხანაგებო, დღეიდანვე აქტიურად ჩაებათ საქმეში! — თქვა დასასრულს ბუნების დაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ.

ყველას საამო ღიმილი დაეფინა სახეზე.

„... ესეც ასე... ახლა რაიკომში წავალ... მერე ძეგლების დაცვის კომიტეტში“. რაღაც ჩაინიშნა წიგნაკში და წამოდგა.

გარეთ წვიმდა. ქუჩის მეორე მხარეს, ტროლეიბუსის გაჩერებასთან, ბავშვი ჯერ კიდევ მაშინ დაინახა, სანამ მიწისქვეშა გადასასელელში ჩავიდოდა. ქოშინით მიირბინა.

— გამარჯობა! — გულში ისე ჩაიკრა, თითქოს ვიღაცისგან იცავდა. ბავშვს არც აღტაცება გამოუხატავს და არც სინანული.

ხელი გაუშვა. მუშტარივით ახედ-დახედა. შეაფასა თითქოს. მოეწონა მოვლილი, ასაკთან შეუფერებლად სერიოზული შვილი.

— ჩემი ტროლეიბუსია! — თქვა ბავშვმა მშრალად.

— მოიცა ცოტა ხანს... იქნებ ერთი გაჩერება ფეხით გაგვესეირნა?

— წვიმს! — ირონიულად წარმოთქვა ბავშვმა. — თანაც რას მოგვცემს ეს რამდენიმე წუთი? — მტრულად, ოღონდ დასწავლილივით გამოუვიდა.

„დედამისის სკოლაა“.

— დიდი ხანია მარტო დაიწყე სკოლაში სიარული? — მეტი ველარაფერი მოიფიქრა აშკარად გაწბილებულმა.

— რაც ჩვენ ერთად აღარა ვართ! — გესლიანად მიუგო ბავშვმა.

— როგორ გშვენის ტყავის ქურთუკი?! — არ გაიტეხა მაინც იხტიბარი.

— მალე „დუბლიონკაც“ გექნება. შემპირდნენ.

— კარგი იქნება! — თავი დაუქნია ბავშვმა; მისი ფერმკრთალი სახე არ მოეწონა.

როდესაც ფრთხილად აიყვანა ტროლეიბუსში, გულიც კი აუჩვილდა.

„ფუჰ, შე ბებერო!“ — გაუწყრა ზიზღით საკუთარ თავს.

წვიმს... აგონდება: ოთხი წლის იყო, მამამისი რომ გარდაიცვალა. მჭრქალად მხოლოდ ერთი მოგონება შემორჩა მის ხსოვნას: ტელეფონმა დარეკა. გაიქცა, ყველას დაასწრო ყურმილის აღება. ამ დროს უკან მსუბუქი პანღური ამოჰკრეს. მამამ სიცილით ყურმილი წაართვა. ის კი განადგურებული დარჩა. ახლაც არ გაუვლია იმ წყენას.

კაბინეტში იჯდა და კოლეგიაზე გასატან საკითხს სწავლობდა. წვიმის წვეთები მონოტონურად, წკაპუნით ეცემოდნენ ფანჯრის მინას. ქარი უბერავდა.

ის კი ისევ ქაღალდებს ჩაღრმავებოდა. რამდენი ხანია, კადრების დენადობა აწუხებთ. გამოსავალი? უცებ მანქანის დამუხრუჭების ხმა და ვიღაცის პირმოხეული ყვირილი გაისმა. ფანჯარას მივარდა. აქედან არ ჩანდა, სახლის კუთხეს იყო მოფარებული შემთხვევის ადგილი.

ნელ-ნელა ერთმანეთს მიაწყდნენ მანქანები და გაქვავდნენ. აჭყვიტინდნენ მოუთმენელი საყვირები. რა განიასია!.. ამ ქალაქში უკვე ყურთასმენა აღარ არის. ხვალ კომისიაზე იხილავენ საკითხს: „როგორ ვებრძოლოთ ხმაურს“. სულ დაავიწყდა, აუცილებლად უნდა დაესწროს, სავალდებულოა!

ისევ წვიმს... ნაცრისფერი, მოსაწყენი დღეებია. ზამთარიც მალე დადგება...

ტელეფონის ზარმა დარეკა.

— ალო!

ამ დროს კარიც შემოაღეს:

— შეიძლება?

— მობრძანდით!

— გისმენთ! — საათს ახედა. ორი შესრულებულიყო: „დაიწყო“...

— დაბრძანდით! გისმენთ, გისმენთ... დიახ...

— მე თქვენთან გადმომიყვანეს.

— ერთი წუთით?! — გადახედა ქალს და შეცბა. კინაღამ ყურმილი დადო.

— ილაპარაკეთ! — შესთავაზა ქალმა.

— რომელ საათზე? თერთმეტზე?! თვის გეგმაც წამოვიღო? აჰა, კვარტლის და თვის ერთად! კი, ბატონო, ნახვამდის... არა მიშავს. შენ როგორა ხარ?..

— კარგად!

— იქნებ არ გცალიათ? — ზრდილობიანად მოუბოდიშა ქალმა.

გაწითლდა. დიდი ხანია იცნობდა, მაგრამ მხოლოდ „გამარჯობა-გაგიმარჯოს“ ურთიერთობა მოახერხა. მეორე კორპუსში მუშაობდა ინფორმაციის განყოფილებაში. ყოველთვის ლამაზად, გემოვნებით იცვამდა, ზომიერად იყო შეღებილი, ფართო, სქელტუჩებიანი პირი ჰქონდა და ოდნავ დამცინავად უღიმოდა ყოველთვის. რატომღაც ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებდა, თითქოს ეს-ესაა თეატრიდან გამოვიდაო ან პირიქით. თითები? ლამაზი გრძელი თითები ახლა რატომღაც მაგიდაზე ნერვიულად აუკაკუნა.

— მე გადავწყვიტე... თქვენთან გადმოვდივარ სამუშაოდ.

— ჩვენთან? — გაუკვირდა.

— იცით, იქ რამდენად უინტერესო გახდა ჩემი მუშაობა... მერე თქვენთან ძალიან მინდოდა.

„ოცდაათი წლის იქნება. უჰ! ბიჭიკოს მეუღლეც ოცდაათი წლის ხდება.

შაბათს დაპატიჟებული ვარ! საჩუქარი? ახლა ცოტა ქესეტად კი ვარ. რამეს მოვიფიქრებთ!“ — კალამს დასწვდა. კალენდარზე შაბათის ფურცელს მიაწერა ეს ღირსშესანიშნავი თარიღი.

— თქვენ მე არ მისმენთ?

— პირიქით.

— როგორ „პირიქით“? — წარბი ასწია ქალმა.

„ამას მგონი მამა ჰყავს აკადემიკოსი. უცნაურად ლამაზი ქალიკია“.

— მე ისე მინდოდა თქვენთან გადმოსვლა. — ცოტაოდენი ყოყმანის შემდეგ კვლავ გააგრძელა ქალმა.

დარეკა ტელეფონმა.

„დიდი ხანია არ დაურეკავს“ — გაიფიქრა. შინაარსიანად ისაუბრეს მან და რელიგიის საქმეთა რწმუნებულმა. ბლოკნოტში იწერდა მოცემულ დავალებებს.

— აი, ასეა! — დამნაშავესავით გაუღიმა ქალს.

მასაც ლმობიერი ღიმილი გადაეფინა სახეზე. ტელეფონმა მესამედ რომ დარეკა, ქალი დემონსტრაციულად წამოდგა.

— ქალები მეუბნებოდნენ, რომ მოგწონვართ. მეც შემიმჩნევია თქვენი დაჟინებული მზერა, მართალია? — ძიახალა მოულოდნელად. კაცი გაოგნდა. ყურმილიანი ხელი ჰაერში გაუშეშდა. მერე ყურმილში წყვეტილი ზუმერი გაისმა. ნელა დაუშვა. მართლაც, საკმაოდ საეჭვოდ ადვილად გამოუტყდა ქალი.

სასწრაფოდ რაიმე უნდა ეღონა. რა?.. ბოლოს, ძალზედ გაკვირვებული, ნასიამოვნები სახე მიიღო.

— რა ვქნა? დიდხანს უნდა დავლოდებოდი, როდის მოიცლიდით ჩემთვის?

ხმა არ ამოუღია.

„მაღალია, შეიძლება ჩემზე მაღალიც... თავნება“.

— მე... მე სიტყვები არ მყოფნის... — უნდოდა ცოტა სარკასტულად გამოსვლოდა.

— ამ საღამოს თუ მოიცლით, დამირეკეთ! — არ შეიმჩნია მისი დაცინვა ქალმა.

ტელეფონი ისევ აწკრიალდა. ყურმილი გადადო. მერე მეორე ტელეფონის ყურმილიც გადადო. დაბნეულად გაუღიმა: „ხომ ხედავთ, რა ჩემი ბრალიაო“!

ქალმა მისი მაგიდიდან კალამი აიღო და კალენდარზე წაუწერა ტელეფონის ნომერი.

— მიდიხართ?

— სამზე კოლეგიაა, არ დაგაგვიანდეთ! — ალერსიანად დაუყვავა და კარი გაიხურა.

ბედნიერი, თვინიერი წამოდგა სავარძლიდან. ტუალეტში სარკესთან შეყოვნდა. არცთუ მოღუშული, ოდნავ მოკუტული თვალები, ინტელიგენტის ნაკვთები, ქერა, სწორი თმა... რომ გაიცინებს, ჯანსაღი კბილები უელავს. რითაა ცუდი ბიჭი? ჯერ ხომ ოცდაცამეტისაა. მერე ხელი აუქნია თავის თავს...

კოლეგიაზე გამოიყვანეს. მერე მინისტრის მოადგილემ დაუძახა, ტელეტაიპი იყო ბაქოში გასაგზავნი....

ვესტიბიულში კვლავ შეყოვნდა შავარშიიან სურათთან. შეამჩნია, ბევრი უკვე ზედაც აღარ უყურებდა ფოტოს...

დღის ბოლოს მინისტრისგან მითითებები მიიღო და თავქუდმოგლეჯილი გავარდა მილიციაში.

— თქვენგან ექვსი რაზმელი უნდა ყოფილიყო, მაგრამ მხოლოდ სამნი მოვიდნენ! — უსაყვედურა მორიგე ლეიტენანტმა.

— მეც მეოთხე!.. ვინ მოვიდა, თუ შეიძლება, მათი გვარები მაინტერესებს.

— ჭილაძე, ზარდალიშვილი და კვალიაშვილი.

„გია და ბესო არ მოსულან“...

საბურთალოს ქუჩაზე ლამპიონები ჯერ არ აენთოთ. სკვერში ბავშვები თამაშობდნენ. იდგა, ხელზე წითელი სამკლაურით და გამვლელ-გამომელელებს აკვირდებოდა: ბიჭებს ვერსად მოჰკრა თვალი. კინოში თუ შევიდნენ.

ორმა ჩამოსულმა სასტუმროს როგორ მივაგნოთო, ჰკითხა. თავაზიანად აუხსნა.

„მოსკოვში აუცილებლად ამანათი უნდა გავუგზავნო ბორის მიხეევს. სულ გადამავიწყდა“.

საიდანღაც მთვრალი გამობანდალდა, შუა ქუჩაში ქანაობდა.

„გაუჩერეთ რა ვინმემ?!.“

ვიღაც ღვთისნიერი შოფერი გამოჩნდა მართლაც...

დედები და ბებიები ბავშვებს სკვერიდან ნელ-ნელა ელალებოდნენ.

კვლავ წამოწვიმა. „ნატა როგორ მკაცრი ბავშვია!“ „მკაცრის“ გაფიქრება ეხამუშა.

— ამხანაგო!

მოიხედა.

შლაპიანი ხანშიშესული კაცი სათვალიდან უნდოდ შესცქეროდა.

— გისმენთ, ბატონო.

— ამხანაგო, თქვენ რისთვის დაგაყენეს აქ, წესრიგის დასაცველად ხომ?! — უხეშად მიმართა მოხუცმა.

— რა გნებავთ, ბატონო? — კვლავ თავაზიანად ჰკითხა.

— აი იქ, ეზოში, — მოპირდაპირე სახლის ალაყაფზე მიუთითა, — ვიღაც ვიგინდარები გოგონას აწვალებენ... ეღლაბუცებიან... სახლში არ უშვებენ.

— აბა, წამომყევით, მანახეთ...:

— კეთილი ინებეთ, ამხანაგო და... თუმცა წამოვალ! — გადაწყვიტა მოხუცმა.

... ახლოს რომ მივიდა, რაც მყისვე დაინახა, ქალიშვილის შეძრწუნებული, გაფართოებული თვალები იყო. ისინი-და უჩანდა, ვიღაცის ზორბა ზურგს მთლიანად დაეფარა კუთხეში მიმწყვდეული. ორნი იყვნენ. ზორბა უხეშად ეჯაჯგურებოდა ქალიშვილს და რაღაცას დაჟინებით უმტკიცებდა. ქალიშვილი ტიროდა. მეორე კი, სუსტი ხმელ-ხმელი ბიჭი გამოთაყვანებული, პირდაღებული, იდიოტური კეთილმოსურნე ღიმილით უყურებდა მას და შლაპიან მოხუცს.

— ამხანაგო, მე თქვენ მოგიწოდებთ წესრიგისაკენ! — წამოიკივლა მოხუცმა.

— რაო! — მოიხედა მოძალადემ. მის გალექებულ სახეს კაცისა არ ეთქმოდა, უფრო პირუტყეს ჰგავდა.

შეკრთა. გულმა რეჩხი უყო.

— ეხლა აქედან „მოხიეთ“ დროზე! — თვალი დაადგა მის წითელ სამკლაურს... — ეს ჩემი საცოლეა, რასაც მინდა იმას ვუზამ! — გამოსცრა კბილებში ბოროტად. ქალიშვილმა დრო იხელთა და ხელი ჰკრა. ბეჭებქვეშ უნდოდა გამოსძრომოდა, მაგრამ მოძალადე კვლავ შემოტრიალდა და ქალიშვილი უკვე მის მკვალებში აფართხალდა უმწეოდ.

— მიდი რა, ძმაკაც!.. დიმა თვითონ მოუვლის თავის საქმეს. — დაეჭყანა სუსტი.

— ამხანაგო, მე მილიციას დავუძახებ! — აღშფოთდა მოხუცი.

— ვისაც გინდა დაუძახე! — არც კი გამოუხედია დიმას.

მოხუცმა ასაკთან შეუფერებელი სისწრაფით მოკურცხლა.

მარტო დარჩა. ამდენი ხანი ხმა არ ამოუღია. შეიძლება იმიტომაც, რომ ეგონა, არცთუ ისეთი საგანგაშო და ჩასარევი სიტუაცია იყო.

გოგონამ განწირულად იკივლა. დიმას ერთი ხელით გაეკავებინა, მეორე კი უბეში ჩაეყო და რაღაცას ელუღლუღებოდა.

— ე... შე ნაძირალავ, რას შვები! კაცი არა ხარ?! — სისხლმა აასხა ტვინში. ქეჩოში ჩაავლო ხელი მოძალადეს და უკან გამოქაჩა.

— ნაძირალაო?! — უცებ გადმოღვარა იმან თვალებიდან ბალღამი და მუშტი გამოაქნია.

ოდნავ გასწია თავი. მუშტმა შხუილით ჩაიქროლა და სადღაც

მარცხენა ყურთან ჩამოეკიდა. თავით გაქანდა და პირდაპირ ბუცელში დაეტაკა. დიმა ღმუილით ჩაიკეცა, მაგრამ მუცელში შერგულ თავს ახლა ნიკაპს ქვემოდან აძგერა მუხლი და ჯახანი გაადენინა. ზრიალით უკან გადაქანდა და ვეება ლოდივით დაეხეთქა.

გასწორდა და უეცრად ფერდში ბასრი ეკალივით შეესო რაღაც.

„უუხ!“ — აუტანელი ტკივილისაგან იყვირა და შემობრუნდა. სუსტს ხელში დანა ულაპლაპებდა.

— ეს რაა... შენი! — სასოწარკვეთილმა ამოიკვნესა. ამ დროს გოგონას კივილმა გაკაწრა ჰაერი. ვეღარ მოასწრო თავის გაწევა. გავეშებული დიმას გამძანდგურებელი ფუთიანი მუშტი დაეცა კეფაზე და მოკვეთილივით ჩაიკეცა.

თვალთდაუბნელდა. მხოლოდ შეძახილს მოკრა ყური: „ავითესოთ დროზე!“.

მერე სასტვენის ხმაც გაისმა შორიახლოს.

გოგონამ მოასულიერა. წამოაჯინა. მტვერი ჩამობერტყა. თმაზე ეფერებოდა. ამასობაში შლაპიანმა მოხუცმა მოირბინა. „ეს ხალხია, ამხანაგო?!“ — სინანულით მიუთითა გარშემო შემოკრებილ ცნობისმოყვარეებზე. მოწყალედ გაეღიმა.

— სასწრაფოს გამოვუძახოთ! — შეეხვეწა გოგონა.

მძაფრ ტკივილს უკვე აღარ გრძნობდა ფერდქვეშ. — „ალბათ იმდენი არაფერია“. — გაიფიქრა და წამოდგა.

— არა, არაფერია, მე წავალ! — თქვა და მოხუცს ხელი გაუწოდა.

— ვაჟკაცი ყოფილხართ, ამხანაგო! — ჩამოართვა ხელი მოხუცმა.

გოგონას თვალი ჩაუკრა სანუგეშებლად.

გოგონა სლუკუნებდა: „ლაჩრები... ველურები...“

ცდილობდა მტკიცედ გადაედგა ნაბიჯი.

ფერდქვეშ სისველე ახლა წებოვანი გახდა. ასიოდე მეტრის გავლის შემდეგ კვლავ მოუმატა ტკივილმა. ინანა, გოგონას რომ არ დაუჯერა.

ნება-ნება ინთებოდნენ ლამპიონები...

სადღაც ცნობიერებაში ამოტივტივდა და ვეღარ მოიშორა ვესტიბიულში გამოკრული გარდაცვლილის ფოტო. მერე იმავე ადგილას შავ არშიაში უკვე საკუთარი სახე წარმოიდგინა. გული აუჩუყდა.

„მთვრალია!“ მიაღწია მისდამი ვიღაცის მწარე რეპლიკამ.

„არა ვარ მთვრალი, ბატონებო... მე დაჭრილი ვარ...“ თავის გულში ლაპარაკობდა.

წვიმდა... „რატომ არ გამახსენდა, რომ დამერეკა და გამეგო, რამ მოკლა ის კაცი... მაინც რამდენ ხანს ჩამოკიდებენ ჩემს სურათს? სჯობია პირველივე დღის მერე ჩამოხსნან, თორემ მერე...“

თვითონვე შეეშინდა იმის გაფიქრების, თუ რა მოხდებოდა მერე...

ასფალტი ფეხქვეშ რის ვაი-ვაგლახით მიიზლაზნებოდა. წვიმა უთქაშუნებდა სახეზე. მთავარ ქუჩაზე მექანიკურად გამობარბაცდა. სადარბაზოს კარების წინ შედგა. სცადა ღრმად, ხარბად შეესუნთქა ჰაერი...

— შენ რა, მთვრალი ხარ? — კინაღამ კარი მიუხურა ნანამ.

— არა, დაჭრილი!.. — და უღონოდ მიეყრდნო კარს.

— დაჭრილი?

— ნატას მინდა შევხედო.

— როგორ გალუმპულხარ, შე საცოდავო!..

— ნატა!.. — ჩურჩულით თქვა და პირქვე წაიქცა...

ანაზდად მოვიდა გონს. თავზე თეთრხალათიანები ადგნენ.

— ნატა...

ბავშვი მოვიდა, სიბრალულით ჩახედა თვალებში. ერთხანს უყურა. მერე გაერიდა.

— მიეფერე, შვილო! — დაუყვავა დედამ.

ნატა ისევ მივიდა, დაიხარა და ლოყაზე აკოცა.

დედას თვალები დაენამა, მერე ცრემლიც ჩამოუგორდა ღაწვზე.

ახლაღა მიხვდა, იმ ქალიშვილის თვალები საოცრად ჰგავდნენ მისი ყოფილი მეუღლისას...

ერთხელ...

(ნოველა)

აგვისტოს საღამო დგება. მას შემდეგ, რაც საათის ისრებმა წელიწადში ორჯერ ხან წინ და ხან უკან დაიწყეს გადაწევ-გადმოწე-

ვა, შესაბამისად იცვლება დღე-ღამის მონაცვლეობის ზუსტი კურსი. ზამთარში ეს ფაქტი სულაც არ გვსიამოვნებს, (ყოველ შემთხვევაში, მე...), ზაფხულში კი — პირიქით.

აი, ამ „პირიქით“ განწყობილებით ვუახლოვდები კიროვის სახელობის ბაღს.

ცოლ-შვილი სოფელშია, დედას ჩემი ასე ადრე მისვლა ალბათ მხოლოდ გააკვირვებს და შეაშფოთებს... (ცუდი ხომ არაფერია მისი შვილის თავს სამსახურში?!).

სამწუხაროდ „კიროვის ბაღელი“ ფეხბურთის გულშემატკივართათვის ეს დრო ალიონს წააგავს, ამიტომაც ჯერ არ შეკრებილან, თორემ აქ ყოფნას და მათთან მასლაათს რა სჯობია.

... ესეც სატიოს უბნისაკენ მიმავალი ოღრო-ჩოღრო გზა... ნურას უკაცრავად, ასეთი დანგრეული ადრე არ ყოფილა ეს გზა, უზარმაზარ ბიბლიოთეკას აშენებენ და იმიტომაა ასე. ბიბლიოთეკის გულისთვის მოითმენს კაცი...

აი, სატიოს უბნელი ბიჭებიც.

ყველანი პირზე კოცნით და, ცოტა არ იყოს, მოწიწებითაც კი მხვდებიან. მეხამუშა?! სულაც არ მინდა „ოფიციალური პირი“ ვჩანდე და ამიტომ მყისვე ანეკდოტს ვუყვები. ზურა და ვანიჩკა სიცილით „იხოცებიან“, ალიკა მხარზე ხელს მიტყაპუნებს „შე, ძველო!..“

ერთი წუთით ჩვენი ყურადღება გოგონებმა მიიპყრეს, რომელთაც ჟრიამულით და უდარდელად ჩაგვიარეს.

„ჰო მართლა, მოსკოვის თვითმფრინავზე მინდა სამი ბილეთი ამ დღეებში, მიშველი?“

„ხვალ დამირეკე“ — ვაწერინებ ტელეფონის ნომერს.

როგორც კი ბილეთებზე ჩამომიგდო სერგომ სიტყვა, მაშინვე გამიფუჭდა ხასიათი.

სკვერში, ქვის სკამებზე ვიყავით ჩამომჯდარნი და წამოვდექი. შებინდებულა კიდეც.

ამ დროს ზემოდან, ღამბაშიძის ქუჩიდან, სამმა ბიჭმა გადმოჭრა ქუჩა და ჩვენსკენ წამოვიდნენ.

„იმას ხომ იცნობ, გახსოვს, მახარაძელი, რეზო? — ქურდია! — მიხსნის კოტე.

„რაო?“

„ჰო, ის ორნიც! ქუთაისლები არიან“.

ქურდების წინ, უცებ „ჟიგული“ გაჩერდა. სამნი გადმოვიდნენ. ერთ-ერთმა, ბუმბერაზმა მილიციელმა რეზო მიიხმო.

„ქურდი“ მისკენ წავიდა. წამებში მოხდა ყველაფერი.

იგივე ღამბაშიძის ქუჩიდან ანთებული ფარებით და გაბმული სირენით „ვოლგა“ ჩამოიჭრა, ქუჩა გადმოკვეთა და „ჟიგულის“ ცხვირწინ ღრჭიალით დაამუხრუჭა. „ვოლგიდან“ ვერც კი მოვასწარი დათვლა, (ექვსნი მაინც იქნებოდნენ, ყველანი სამოქალაქო ტანსაცმელში), გადმოხტნენ და იმ სამეულს 'შემოერტყნენ გარს. საკმაოდ გაუძნელდათ გაკავება, — ჯიკავ-ჯიკავით მანქანებში ტენიდნენ.

ზურამ მკლავში ხელი გამიყარა და თითქმის ძალით გამომარიდა იმ ადგილს. მერე, ანაზდად, ჯიბეში პატარა რევოლვერი ჩამიდო. „წადი, შენ ხელს ვერავინ გასლებს...“ — დააყოლა და უკან გაბრუნდა. ცივმა ოფლმა დამასხა. უკან აღარ მომიხედავს, ანგარიშმიუცემლად ნელა წავედი ვერის დაღმართისაკენ და იქ, სადაც ბიბლიოთეკის მშენებარე ნაგებობას ტროტუარისგან ღობე ჰყოფს, ბინდ-ბუნდში გამორღვეული ადგილი შევნიშნე. თვალისდახამხამებაში მივიღე გადაწყვეტილება და შიგნით შევვარდი. თავქუდმოგლეჯილი გავრბივარ. რაღაცას ფეხი წამოვდე, გავიშხლართე ძირს. ამომვარდნოდა მაინც იარაღი, შენც არ მომიკვდე. გული კი, მე შგონი, ამომივარდა... უკვე, ისეთი სისწრაფით ვეღარ მივარღვევ ათასგვარ მავთულებიან, ბეტონის უზარმაზარ ფილებიან, აქა-იქ დაყრილ ფიცრებიან სიბნელეს. დიახ, ბნელა უკვე. ეს სად ჩავვარდი?.. რაღა დღეს?

უცებ წინ კაცი დავლანდე. გავჩერდი. ჩამოვიფერთხე შარვალი და ქვეშეცნეულად ვიგრძენი, რომ საფრთხე მომიახლოვდა... თუ მე მივუახლოვდი, ამას რა მნიშვნელობა აქვს. გავუარე. ხმა არ გაუცია. ჩაიარა?..

— ამხანაგო!

— გისმენთ! — შემოვტრიალდი. სახეს ვერ ვარჩევ, ყმაწვილის ხმა კი აქვს.

— აქ რას დაეძებთ?

— იგივე კითხვით შემიძლია მოგმართოთ! — ვგრძნობ, რომ არც ისე დამაჯერებლად ვამბობ.

— მობრძანდით აქეთ, — სინათლისკენ მეპატიჟება, ქუჩასთან ახლოს.

— ვინა ხართ?

— მე, ორგანოს მუშაკი ვარ!

— რაო, მერე რა გინდათ? — ვერ ვიტყვი, რომ ხმაში სიმტკიცე გამრეოდეს.

— მე, ქუჩის მეორე მხრიდან გითვალთვალებდით, რატომ შემოვარდით, აქ?

მეყსეულად მივაყურადე იქით, სადაც ერთი წუთის წინ ის ინციდენტი მოხდა. არაფერი მესმოდა საეჭვო. რატომღაც გულმა მიგრძნო, რომ იქ... ყველაფერი დასრულდა. „ოპერაციამ წარმატებით ჩაიარა“. იმედი მომეცა, რომ მარტო იყო და თავისი ინიციატივით გამომეკიდა.

— გამიჭირდა და იმიტომ შემოვედი, რა, არ გაგჭირვებიათ?!

— ეგ ზღაპრები ბებიაშენს მოუყევი! — (აი, ეს უკვე ჰგავს მათ...) — უხეშად მომმართა და იმას, რომ შენობით დამიყვავა, ხაზი გაუსვა.

ინსტინქტურად ხელი ჯიბისკენ წავიღე.

— ამოიღე ხელი!

ჯიბიდან ხელი ამოვიღე და შუბლში დავუმიზნე ალაპლაპებული რევოლვერი.

— ეეე... — უცებ ხრინწი ამოუშვა და ძლივ-ძლივს ამოილუღლუღა. — რას მიშვები, ბიჭო, არ მომკლა.

— წადი ეხლა, შეტრიალდი! — ხმადაბლა ვუბრძანე. — ხელები უკან შემოიწყვე და კედელთან მიდი!

— არ მესროლო, ბიჭო, არ დამღუპო! — შემეხვეწა იგი.

— რაც გითხარი, ის გააკეთე. დადექი კედელთან. ასამდე დაითვალე და მერე შემოტრიალდი. შენი ხმა არ გავიგო. არა, ორასამდე დაითვალე — გასაგებია!

— ათასამდე დავითვლი! — შემევედრა.

— წადი!

— მორჩილად მიბორძიკდა ბიბლიოთეკის ბეტონის კედელთან.

— არ მესროლო!

— ნუ გეშინია, თუ ჭკვიანად მოიქცევი, არ გესვრი. ჩვენ ორივენი შემთხვევის მსხვერპლნი ვართ.

— მეც ეს მინდოდა მეთქვა... — წამოიკნავლა.

— ჩუმად. ათასამდე დათვალე გულში... თავის მოტრიალება არ გაბედო. ხელები, ხელები უკან!..

— არა, ბატონო!..

მივხვდი, რომ უკან გამომხედი კარგა ხანს არ იყო. გავიქეცი. აქედან უკვე ადვილად გავაგენი საშშვიდობოს. ღობეს გადავეელე და ქუჩაზე გამოვედი. საბედნიეროდ იქვე ავტობუსის გაჩერებასთან ტაქსი იდგა თავისუფალი.

— ჩელიუსკინელების ხიდზე!

— სად?

— სადგურისკენ! — გამოვერკვიე ტაქსისტის შემობრუნებული, გაკვირვებული სახის დანახვაზე.

და მაინც, კინაღამ ყელი გამოვიღადრე, ისე ვთხოვე, მანქანა ხიდზე გაეჩერებინა. „ვიცი, რომ_არ შეიძლება, ერთი წამით-ძეთ-ქი“, და... მართლაც, წამში რევოლვერმა მტკვარში „ამოყო თავი“.

უკან დავაბრუნებინე მანქანა.

სკვერთან ჩამოვედი. კაცის ჭაჭანება აღარ იყო.

ქვის სკამზე ჩამოვჯექი და თავი ჩავქინდრე (ეხლაა ადვილი გასახსენებლად, თორემ მაშინ...) სიზმარივით მინდოდა აღმედგინა ყველაფერი ის, რაც დროის იმ მცირე მონაკვეთში გადამხდა.

მანქანა გაჩერდა. ნომრებზე ვიცანი, მილიციის მანქანა იყო. ორნი ჩამოვიდნენ. ერთი ხანობა ეჭვის თვალით მიმზირეს.

წამოვდექი. სინათლისკენ წავედი...

ერთ-ერთი ნამდვილად ის იყო. ინტელიგენტური გარეგნობის ახალგაზრდა.

ჯიქურ მიყურებდა. მეც არ დამიხრია თვალი.

მერე მეორემ რაღაც გადაულაპარაკა.

ჩასხდნენ მანქანაში და წავიდნენ.

მანქანა სანამ თვალს არ მიეფარა, ფეხი არ მომიცვლია.

„ნუთუ, ვერ მიცნო?“

„რომ ვეცნე?“

„რა?!“

მუხანათები

(ნოველა)

— არა, არა!.. ასე, არ გამოვა. — გადაჭრით გადავაქნიე თავი. — თვითონ მოყვეს ამირანი, ერთმანეთს არ აცდით და აბა როგორ გავიგო?

— ამირანმა, რა იცის, ჭირიმე! — გადაიხარხარა კუკამ. — გაეღვიძა და მაშინ მიხვდა, ცოლი რომ მოვუყვანეთ.

— აბა, აბა! — გაწყრა ამირანი, მაღალ-მაღალი, ხმელი, სუფთად გაპარსული ვაჟკაცი. — დამუწეთ პირები, ნუ იგონებთ რაღაცებს. მე მოგიყვები, გენაცვალე, რა მოხდა ასეთი... არ გაღირია ეს ხალხი?! — კიდევ ერთხელ გადაუბრიალა თვალები სუფრის წევრებს.

ნელ-ნელა ისინიც დაშოშმინდნენ.

— მოკლედ მოგიყვები, ძვირფასო... (რაც შემეძლო, სტილი მისი მონაყოლისა დავიცავი, მეგრულად მიამბობდა და შეიძლება ზოგი „ხატოვანი" ნათქვამი ვერ ვთარგმნე. უნდა მომიტევოთ).

— ჰოდა, შენ ხარ ჩემი ბატონი... მიყვარდა ჩემო კარგო, ლეილა. არაფრით არ მომყვებოდა ცოლად. მოგიტაცებ-თქვა, დავექადნე. ვერ მომიტაცებო! — მომიგო. მაგასაც ვნახავ-თქვა და ასე დავშორდით ერთმანეთს. ჩვენი სოფელი და მაგის სოფელი ახლოსაა ერთმანეთთან, კი იცი შენ; ჩვენთან, სკოლაში მუშაობს ექთნად და აქამდე საღამოობით ავტობუსით მიდიოდა სახლამდე. მე რომ დავემუქრე, იმის მერე, სახლში შეუტყობინებია და ძმა აკითხავდა ხოლმე, ის მიაცილებდა. ძმამ ოქტომბერში ტექნიკუმში დაიწყო ჩხოროწყუში სიარული და შეწყვიტა გაცილება. რა ექნა, შენ ხარ ჩემი ბატონი. დეიდა ყავს აქ გათხოვილი და იმასთან რჩებოდა. ძალიან იყო შეშინებული, მაგრამ როდესმე ხომ უნდა წასულიყო სახლში?! შესაფერ მომენტს ვეძებდი, კარგი გეგმა მოვიფიქრე.

— შენ მოიფიქრე, არა? — ირონიულად ჰკითხა რეზომ.

(იცით, რა კარგები არიან ჩემი დედულეთელი ბიჭები, ჩაყლაპავთ. ერთმანეთზე უკეთესები სამეგობროდ, ჭირშიც და ლხინშიც გამტანები; არავითარი უზრდელობა მათგან არ გამიგია არასოდეს. ეს არის ცოტა, ტრაბახი უყვართ, მაგრამ, საამისო არგუმენტებიც რომ აქვთ?!.).

— ჩვენ, ერთად მოვიფიქრეთ! — აღარ გააწბილა მეგობარი ამირანმა.

ესიამოვნათ და აღარ შეუწყვეტინებიათ თხრობა.

— რა გეგმა? — ახლა მე გამოვიჩინე ცნობისმოყვარეობა.

— გიყვები, რაღა!.. — და გააგრძელა. — მოკლედ, თქვენებურად, ქალაქურად რომ ვთქვათ „შევკერეთ" ერთი მაგის თანასოფლელი მეზობელი ბიჭი, მოვარდა ლეილასთან და აუწყა სასწრაფოდ:

სახლში წადი, ბებიაშენი უკანასკნელ წუთებშია და გეძახიანო. გამოვიდა ესეც გარეთ და დაუწყო ავტობუსს ლოდინი. ყველაფერი გათვალისწინებული გვქონდა. ავტობუსი იმ დღეს, ადრე გაუშვით რაიონულ ცენტრში, ვთხოვეთ. მეორე საღამომდე აღარ ჩამოივლიდა. ჩაჯდა ჩვენი კუკა თავის მანქანაში და გაუჩერა ცხვირწინ. სად მიდიხარ, წაგიყვანო. არაფრით არ ჩაუჯდა, ფრთხილია ეს მამაძაღლი. მაინც რაღაცა ხიფათი იყნოსა. დავიღუპეთ, რა გვექნა აღარ ვიცოდით. თანაც, ადგა და შებრუნდა უკან სკოლაში. ცოტა ხნის მერე ისევ გამოვიდა. დავდექით მოსახვევში, მოფარებულში. ყველა მანქანას ვაფრთხილებდით, რომ მისთვის არ გაეჩერებინათ. უცებ ორადგილიანი ფურგონიანი „მოსკვიჩი“ არ გამოჩნდა?! ჩვენებური ბიჭი, მურადი, იცნობ შენ.

— ფეხბურთს რომ თამაშობდა, სკოლის დირექტორის ბიჭი?

— ჰო, სწორედ ის.

— მერე?

— ვიფიქრეთ, რომ ორადგილიან მანქანაში აუცილებლად ჩაჯდებოდა.

— მერე?

— ასეც მოხდა. წამოვიდა მურადი და აუწია ხელი. ჩვენ აქედან ვუთვალთვალებთ. და ჰოი, საკვირველებავ, რას ვხედავთ. გაღებინა უკან ფურგონი და შიგ არ ჩაჯდა. თუ-კი ამირანი სადმე უნდა დამხვდეს, ხომ დაინახავს რომ ამ „მოსკვიჩში“ არა ვზივარო.

— კინაღამ არ გადათქვა ამირანმა? — დაცინვით თქვა კუკამ. — მე რომ არ ვყოფილიყავი...

— შემეცოდა, ეტყობა, მაგრად ეშინოდა ჩემი. მურადისთვისაც იმდენი უხვეწნია, შენი ჭირიმე, არ გაუჩერო არავის, არ დამღუპოო.

— მაშინ, შენ ეგ რა იცოდი! — გაუწყრა ბესო, რომელიც აქამდე ჩუმად იჯდა.

— ვგრძნობდი! — მოუჭრა ამირანმა.

— ამათ ნუ უსმენ, განაგრძე თუ ძმა ხარ! — შეევეხვეწე მე.

— აწი, ამგვნმა განაგრძონ! — დაღონებულმა თქვა ამირანმა.

— მოკლედ, ახლა ამირანის ჩასმა გაჭირდა მანქანაში, — დაასწრო ყველას ისევ კუკამ. ჩავტენეთ მაინც ძალით და გამოვეკიდეთ ფურგონიან „მოსკვიჩს“. ასე, საპატიო ეკსკორტით მივაცილეთ ჩვენი ვანიას სახლამდე კურზუში. იქ ფართოდ გაღებულ ჭიშკარ-

თან გველოდნენ. გავუღეთ ფურგონის კარი ლეილას და ასე აღ-მოჩნდა იგი ამირანის მკლავებში!..

... ამიტყდა სიცილი. ახარხარდნენ ბიჭებიც. ამ დროს გაიღო კარი და ლეილამ ცხელ-ცხელი ხაჭაპურები შემოიტანა. მის დანახვაზე სიცილ-ხარხარი უმაღლეს რეგისტრში ავარდა.

ლეილა რაღაცას მიხვდა.

— რა გაცინებთ, თქვე მუხანათებო! — არ იცოდა თვითონაც გამხიარულებულიყო თუ გამწყრალიყო.

— ბიჭებო, ესეც თქვენი მოფიქრებული გეგმაა, ტყუპი გოგო-ბიჭი რომ აჩუქა ლეილამ ამირანს?! — წამოვდექი ფეხზე და აღტა-ცებულმა ჭიქა მიეუჯახუნე კუკას!

— აბა, რა, ერთი რომ დაბადებულიყო, ვაითუ გაქცეოდა. ეი-ცით ჩვენ ლეილას ამბავი! — ამაყად შესძახა რეზომ.

— ყოჩაღ! — არც ახლა დავმალე აღტაცება. — ასეც იყო სა-ჭირო! მომწონს თქვენი საქციელი, ძმებო!

— შენც კარგი მუხანათი ხარ, გეტყობა! — როგორც იქნა, გა-იცინა ლეილამ...

ᲨᲘᲓᲘᲚᲘ

აგვისტოს მზე სამხრეთისაკენ გადაიხარა. მარინეს ხიდისკენ წა-იყვანა ქალაქელი სტუმარი. დათოს სახლთან ახლოს ერჩია, მაგრამ არ დაანება გოგონამ, იქ ჯობია, თუ ცურვა იცი... ფოსტასთან მარინეს თანაკლასელი შემოხვდათ. უცხო ბიჭის დანახვაზე ცოტა დაიმორცხვა.

— ეს დათოა, ნანული, — ჩემი შამიდაშვილი. თბილისიდან გვესტუმრა. ჩვენი ტოლია, იცნობდეთ!

ხიდამდე მასლაათით მიუყვებოდნენ გოგონები. დათო ჩამორ-ჩებოდა ხოლმე და მაშინ მარინე შემოტრიალდებოდა, — ცოტა ჩქარაო! ბიჭი კი ორივეს ფარული ინტერესით აკვირდებოდა. მოს-წონდა ლერწამივით ტანაყრილი გოგონები. სოფელში ორი წელია არ ყოფილა. რატომღაც ეგონა, დიდი განსხვავებაა ქალაქელებსა და სოფლელებს შორისო. პატარაობიდანვე მიეჩვიო ამას. ახლა კი...

მაგალითად, რას დაუწუნებდი მარინეს და ნანულის თბილისში? ბარეგნობას? — ვერა! ჩაცმულობას? — ვერა! თავდაჭერას? — ცოტა მორცხვია ნანული. მერე რა? „ეუაჩკას“ ვერ ღეჭავს, ამიტომ, თუ რა?!

თეთრი, მაღალი ხიდი ორად გაყოფილ სოფელს აერთებს. მის ქვეშ ნაპირი ფართოდ შეუსილავს მთის ანკარა მდინარეს. მართლაც ჩინებული საბანაო ადგილია და მთელი სოფლის ბიჭებიც აქ იყრიან თავს. დილიდანვე მათი „მხარულისაგან“ დგაფუნობს და „დუღს“ ჩამოვაკებული წყალი, არის ერთი ყიჟინა და ჟრიამული. ხიდიდან მაცქერალი გამვლელ-გამომვლელი საკმაოდაა, მანქანებსაც კი აჩერებენ, რათა ხარბი მზერა შეავლონ ნჩქეფარე, უდარდელ ყმაწვილობას, საქმით და ყოველდღიური საფიქრალით გათანგული თვალი და ყური ერთი წუთით დაასვენონ, ასიამოვნონ...

ხიდზე გოგონების გამოჩენამ დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია. რამდენიმე ბიჭი ყიჟინით წყალში გადაეშვა. უფრო მოზრდილებმა ბურთი უმცროსებს დაუთმეს, თვითონ ქვიშაზე, ნაპირზე გადმოინაცვლეს, წამოგორდნენ და თვალები ზემოთკენ გამოექცათ.

— ზაურიც აქ ყოფილა?! — შეიცხადა რატომღაც ნანულიმ. მარინე უფრო დინჯად იყო და გულგრილად გადასცქეროდა მობანავეებს.

— ჩადი დათო, იბანავე, ჩვენ აქ დაგელოდებით, — შესთავაზა სტუმარს.

ის ორჭოფობდა. ცოტა არ იყოს, ეჩოთირებოდა ამდენ უცნობებში გარევა.

ამ დროს ხიდზე ტრუსების ამარა ამოირბინა ბიჭმა.

— „გაუმარჯოს!“ გაუცინა გოგონებს. მერე წამში ხიდის მოაჯირზე შეხტა.

„ამპრედუზო მედუზო!“ — ასწია ხელი და ჰაერში კამარა შეკრა. წყლიდან საოცრად სწრაფად ამოყვინთა და ნაპირისაკენ სულ ყივილით გასცურა.

დათოს გულიანად გაეცინა.

— ერთხელაც იქნება, კისერს მოიტეხ! — გადასძახა ზემოდან ნანულიმ და მერე დათოს მოუბრუნდა, — თავისი ვაჟკაცობა გვანახა, ვითომ.

შორს, მთის გადალმა ღრუბელმა გამოყო ბომბორა თავი. მაშინვე სუსტმა ნიავმაც ჩამოიქროლა.

— ჩადი რა, ჩადი. მალე სადილობის დროც მოვა. — შეწუხდა მარინე.

ნანული ცნობისმოყვარეობით შესცქეროდა ქალაქელ ბიჭს.

— ეეჰ! — გადაწყვიტა დათომ.

ნაპირზე მის გამოჩენას ერთსულოვანი დუმილით შეხვდნენ. მის ჯინსებს აშკარა შურით უყურებდნენ და უხერხულად იგრძნო თავი, აუჩქარებლად იხდიდა.

მერე სწორედ ის, ხიდიდან რომ გადმოხტა, მიუახლოვდა და მცოდნე მუშტარივით ჰკითხა: „სუპერებია?“

— არა, „ლევისია“! — თითით ეტიკეტზე უჩვენა.

იმედგაცრუებულს კიდევ რაღაც უნდოდა ეთქვა, მერე გადაიფიქრა, ისევ ქვიშაზე გაგორდა და შემთხვევით თუ ძალად ფეხი მუცელში მოარტყა გარუჯულ ქერათმიან ბიჭს.

— დიდს ბოდიშობანას მოვიხდით, ზაურ!.. გადაიქირქილა ცინიკურად.

— ფრთხილად, მერაბ, თორემ ჩაგარჭობ თავით სილაში!.. — დაემუქრა ზაური. მერაბმა დათოსკენ გამოიხედა. შეიშმუშნა.

— თვითონ არ ჩაერჭო... — ბოლო სიტყვები გაუბედავად წაიბურტყუნა.

— რაო?! — წამოიწია ქერათმიანი.

მერაბი, ყოველი შემთხვევისათვის, ცოტა მოშორებით გაიწია.

— რაც გაიგე!

— არ მომაკიდებინო ხელი...

— ყურებზე ხახვი არ ღამაჭრა! — იხტიბარი აღარ გაიტეხა ამანაც.

ხელად ჩამოხტნენ ბიჭები. „ჭიდაობას რა უნდა. ფეხის გამოკვრა უნდა?!“ — ერთი უკვე ფეხით ქვიშაზე წრეს ხაზავდა.

— გინდა? — წამოდგა ზაური და საკმაოდ მხარბეჭიანი გამოჩნდა.

მერაბიც წამოიზლაზნა. ზაურიზე მაღალი, მაგრამ თხელი ტანის ბიჭი იყო. ზურნის ხმას ბიბაძეს უცებ შეგროვილმა სეირის მაყურებლებმა, თუმცაღა დიდი ხანი აღარ დასცალდათ ჭიდაობის ყურება.

მართალია, გაურბოდა მერაბი ჭიდაობას, მაგრამ ერთხელაც დაიჭირა ზაურმა, ზემკლავით აიტაცა და ლავაშივით გაკრა ქვიშას ვაი-მოჭიდავე.

დამარცხებულს ყველამ სიცილი დააყარა.

ზაური ისევ წამოწვა და თავმომწონედ ახედა ხიდს.

— ყოჩაღ, ზაურ! — გადმოსძახა ნანულიმ.

მერაბი წამოდგომას აღარ ლამობდა. მერე, წამოიჩოქა, — შაგარი ხარ, ირა?! თუ ვაუკაცი ხარ, აი, იმას ეჭიდავე! — გესლიანად ჩაილაპარაკა, ისე, რომ ყველას გაეგო.

ცნობისმოყვარე მოყურადე ბევრი იყო და ზაურის თავმოყვარეობა შეელახა.

— სტუმარს თუ უნდა!.. — და ვითომ აქ არაფერიო, გვერდზე გადააპურჭყა.

— გახვალ, სტუმარო?

მხრები აიჩეჩა.

ზემოთ, მარინე მიხვდა გუმანით, რაღაც სასიკეთო არ ჩაიფიქრესო და დათოს გადმოსძახა:

— ჩქარა, დათო, იბანავე, გველოდებიან!

ნაპირზე აქა-იქ გაიცინეს.

— არა, თუ გეჩქარებათ... — ქირქილებდა მერაბი.

— შენ რა ყველას უნდა „ეიაზვო"? — ბიჭმა, რომელიც მსაჯობდა, მკაცრად შეუტია წამქეზებელს. მერე დათოს მიმართა: — ამას ნუ უგდებთ ყურს!

კიდევ ერთხელ გადაუბრიალა თვალები მერაბს, მაგრამ იმან მაინც მოასწრო ეთქვა, ახლა უკვე ზაურის მისამართით:

— შენც ხომ არ გეჩქარება?

— რა, თუ არ უნდა, ძალას ხომ არ დავატან? — ვერ მიუხვდა დაცინვას ზაური. დათოსაც ყოყმანი დაეტყო, მაგრამ გადაწყვეტილება უცებ მიიღო. ჯერ ერთი, რომ ამდენი თვალი ცდიდა მის გაბედულებას, ხიდზეც გაიგებდნენ...

დაიწყეს ისევ ბავშვებმა ზურნასავით ჭყვიტინი.

— ვაიმე, რა ექნა? — შეწუხდა მარინე.

— რა მოხდა, ხომ არ მოკლავს, იცის შენი მამიდაშვილი რომაა. — გაეცინა ნანულის.

მარინე გაბრაზდა: — წააქცევს აუცილებლად ზაურის. რა გგონია, — ძიუ-დოისტია, მოსწავლეთა შორის რესპუბლიკის ჩემპიონი. არ იჩხუბონ, მერე, მეშინია! — ვაი! — უნდა გავაფრთხილოთ! — მაგრამ უკვე გვიანი იყო. ბიჭები წრეში იდგნენ.

სტუმარი მართალია ტანად უფრო მომცრო იყო, მაგრამ ელასტიური, ზამბარასავით დაჭიმული ჩანდა.

ზაური ქორივით წამოადგა თავზე და ერთი შეხედვით ჭიდაობის ბედი გადაწყვეტილი იყო, მაგრამ...

ხელის წავლება ვინ აცალა, ფეხით ჩაუტარა ილეთი და ანხელა ბიჭი ნაფოტივით ისროლა.

ხმა გაკმინდეს „მეზურნეებმა", გაოცებისაგან პირი დააღეს. თვითონაც გაოგნებული იყო ზაური, ვერაფერს მიმხვდარიყო. სკოლაში — „ბეჭდაუდებლად" იცნობდნენ და... ვაი სირცხვილო!.. მარინე მაინც არ უყურებდეს.

მერე გამოერკვა და ფეხზე წამოვარდა.

— ბეჭი არ დამიკრიაო! — შესძახა და „კუჭატნელივით" ჯიქურ ეტაკა მეტოქეს.

დათომ ახლა „კისრულით" წამოიღო და შეუპოვარი მოწინააღმდეგე ისევ ძირს გაშხლართა.

ამას კი აღარავინ მოელოდა.

ჩამოვარდნილი ცივი დუმილი მარინეს წკრიალა სიცილმა დაარღვია.

— უხ, ჩემი!.. — დაიგმინა ზაურმა.

— მოიცა, ერთი წუთით, — ხელით ანიშნა მსაჯს და ბანცალით მდინარესთან მივიდა. ნატკენ მხარს იშუშებდა ცივი წყლით.

ამასობაში, მსაჯი დათოს მიუახლოვდა და ხმადაბლა უთხრა:

— არ გინდა მთლად ეგრე... ნუ! — მრავალმნიშვნელოვნად ზემოთ, გოგონებისაკენ თვალით ანიშნა.

აიხედა.

ხიდზე საკმაოდ მოეყარა ხალხს თავი, მარინე აღარ იცინოდა. შეწუხებული ზაურის ადევნებდა თვალს.

ის კი მშვიდად შემობრუნდა წრეში.

— მოჭიდავე ხარ?.. — უცებ ჰკითხა, ალალად გაუღიმა და ხელები საჭიდაოდ შემართა.

— კიდევ აგრძელებთ? — შუაში ჩადგა მსაჯი, მაგრამ ზაურმა გვერდზე გასწია.

— ეჭიდაობთ, შე კაცო, ხომ არ ვჩხუბობთ! — ისევ გაუღიმა დათოს.

ერთხანს, თვალით ზომავდა მეტოქეს.

მერე წელში შეუვარდა და გადაღუნვა დაუწყო... დაძაბულო-

ბისაგან ძაგძაგებდა, თითქოს ძალამაც ულალატა, მაგრამ უცებ იგრძნო, რომ მეტოქე მინებდა.

მიხვდა... წამში ბეჭებზე უნდა დაედო, მაგრამ ხელი უშვა. დათო სწრაფად ჰაერშივე შეტრიალდა და მუცლით დაეცა ქვიშაზე.

ჩაიმუხლა.

— ხომ არ გეტკინა, რამე?

— არა... — გაულიმა დათომ.

— ყაიმი! — გამოაცხადა მსაჯმა.

ერთბაშად გაქრა დაძაბულობა.

ბავშვები ყიჟინით გადაეშვნენ მდინარეში.

— არ ვიბანაოთ? — მოვიდა მსაჯი.

— წაველით! — თვალი ჩაუკრა ზაურმა სტუმარს.

ეამათ ბიჭებს გრილი წყალი.

მერაბს ჩაეცვა და ფერდობს შესდგომოდა.

ნანულის მთელი ყურადღება ჭიდაობას მიეპყრო და ეხლაღა გაახსენდა თავისი მეგობარი. მიიხედ-მოიხედა, მაგრამ თვალი ვერსად ჰკიდა.

მარინე კი იქვე მოსახლის სიმინდებში შემალულიყო და გულამოსკვნით სლუკუნებდა.

სარჩევი

„იუბილე“ 3
გატაცება 14
ცუდი სიზმარი 22
ბავშვობიდან 30
პეტრე 31
სიყვარული 33
ჯარისკაცი და ძაღლი 34
უჩინარი 35
შზე... და ზამთრის იები 53
„ძველი მენშევიკი“ 56
ცივი ოქტომბერი 61
დასაწყისი 64
ერთი დღის ქრონიკა 70
ერთხელ 78
შუხანათები 82
ჭიდილი 85

ДАРАСЕЛИ ЗАЗА ИВАНОВИЧ

Человек-невидимка

РАССКАЗЫ

(На грузинском языке)

Издательство «Мерани», пр. Руставели, 42
Тбилиси, 1985

Ь. Ъ. — 2527

რედაქტორი ლ. თურმანიძე
მხატვარი თ. კოხრეიძე
მხატვრული რედაქტორი ნ. ნარიმანიძე
ტექრედაქტორი დ. რაზმაძე
კორექტორი ნ. ლომაძე
გამომშვები ნ. კვატაშიძე

ჩაბარდა წარმოებას 29.05.85 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 24.09.85 წ. უე 11603. ფორმატი 60×84 1/16. საბეჭდი ფაღალდი № 2. გარნიტურა ჩვეულებრივი. ბეჭდვა მაღალი. პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 5,35. სააღრიცხვო-საგამომცემლო ფურცელი 4,42. პირობითი საღებავგატარება 5,58. ტირაჟი 5 000 ეგზ. შეკვ. № 587.

ფასი 40 კაპ.

გამომცემლობა „მერანი", რუსთაველის გამზ. 42, თბილისი, 1985

საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის № 1 სტამბა, თბილისი, ორჯონიკიძის ქ. 50

Типография № 1, Государственного комитета Грузинской ССР по делам издательств, полиграфии и книжной торговли, Тбилиси, ул. Орджоникидзе, 50